CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი 22 ნოემბერი, 2008 წელი. №262 (2006) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

წრე



რით დავეხმაროთ მათ?

A4

"ქართველების საკუთრება ხელშეუხებელია"

A3



ქუთაისის ციხეში პატიმრები შიმშილობენ

A5



საქართველო სოჭი-2014-ს "ჩქმიტავს"

A16




24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# საქართველოს ანექსიაში "გაზპრომი" ჩაერთო

## რუსეთი ვერასოდეს ამოიღებს იმ ფულს, რასაც ცხინვალამდე გაზსადენის მშენებლობაში დახარჯავს

ნინო დალაქიშვილი

რუსეთი არანაირ ხარჯს არ მოერიდება და იმდენს მოახერხებს, რომ 2009 წლის ზაფხულში ცხინვალმა გაზი პირდაპირ რუსეთიდან მიიღოს. ამ ინფორმაციას "გაზპრომის" ოფიციალური წარმომადგენელი სერგეი კუპრიანოვი ადასტურებს. "ეხო მოსკვის" ეთერში, ორი დღის წინანდელი გამოსვლისას, მან განაცხადა, რომ ამჟამად ცხინვალისთვის გაზის მიწოდება ტექნიკურად შეუძლებელია.

კუპრიანოვის განცხადებას წინ უსწრებდა ცხინვალის დე ფაქტო ლიდერ ედუარდ კოკოითის გამოსვლა. ამ უკანასკნელმა საქართველოს ხელისუფლება "არაადამიანურ მოპყრობაში" დაადანაშაულა. **"სამხრეთ ოსეთისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა კიდევ ერთხელ აღნიშნავს საქართველოში ჰუმანურობის გაგების არარსებობას. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძალიან გამძლე და შეუდრეკელი ხალხი ვართ, ამიტომ ამ ზამთარსაც გადავიტანთ და თანაც - ნორმალურად. სამაგიეროდ, 2009 წელს მივიღებთ რუსულ გაზს ისე, რომ ეს კომუნიკაცია არსად გადაკვეთს საქართველოს ტერიტორიას,"** - ასეთი გახლდათ კოკოითის განცხადება. მან ოს ხალხს მიმართა თხოვნით, გაგებით მიუდგნენ ხელისუფლების წინაშე მდგარ პრობლემებს. **"ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია მოსახლეობის მხარდასაჭერად,"** - განაცხადა კოკოითიმ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# თავდაცვის პოლიტიკის მემკვიდრეობითობა

ხათუნა გაბიევი

*შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის ვადის მოახლოებასთან ერთად, ნელ-ნელა იკვეთება ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკური კურსის კონტურები. გარდა იმისა, თუ ვინ დაინიშნება საკვანძო თანამდებობზე ახალ ადმინისტრაციაში, ინტერესს იწვევს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის რეკომენდაციებიც, რომლებიც, ერთი შეხედვით, არცთუ ისე პაციფისტური ჩანს.*

საინფორმაციო სააგენტო "ეი-პი"-ს ცნობებით, შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა სახელმწიფო მდივნის თანამდებობას 27 ნოემბრის - მადლიერების დღის შემდეგ შესთავაზებს ჰილარი კლინტონს, თუ გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა არ შეუშალა მას ხელი. სააგენტოს ინფორმაციით, ამ საკითხზე მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, ბარაკ ობამამ და ჰილარი კლინტონმა სხვა პრობლემებზეც ისაუბრეს, კერძოდ, შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონის ფინანსურ საქმიანობაზე.

გაგრძელება A7 გვერდზე



AFP ' 2008

*ობამამ თავის ყოფილ მეტოქეს, შესაძლოა, სახელმწიფო მდივნის პოსტი შესთავაზოს*

# ნაცნობი "პეიზაჟი" - სხდომათა ცარიელი დარბაზი

გიორგი ასანიშვილი

*ქართველ კანონმდებლებს უდისციპლინობა, ეტყობა, "სისხლში აქვთ გამჯდარი". დილის პლენარულ სხდომებზე მუდმივად არსებობს დეპუტატების "დეფიციტი", კვორუმის არარსებობა კი სხდომის გახსნისა და მუშაობის დაწყების საშუალებას არ იძლევა. ეს პრობლემა მიხეილ მაჭავარიანისთვის სულაც არ არის უცხო - პარლამენტის ხელმძღვანელობა ანალოგიური "გამოწვევის" წინაშე წინა მოწვევის პარლამენტების მოღვაწეობის დროსაც იდგა.*

**"აქ, პარლამენტში არის მათი სამსახური. ვინც უარს ამბობს მუშაობაზე, მოვეპყრობით როგორც უდისციპლინოებს,"** - "ნამუსზე აგდებს" მაჭავარიანი სხდომაზე არმისულ დეპუტატებს. ამასთან, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი კანონმდებლებს აფრთხილებს, რომ სხდომაზე გამოცხადებას ამიერიდან მათ აღარავინ შეახსენებს ("აზრი მაინც არა აქვს") და ფრაქციებიდან შესაბამისი SMS-ები აღარ მიუვათ.

თუმცა, მიხეილ მაჭავარიანს კარგად ესმის, რომ მხოლოდ მორალური ზემოქმედებით და ორგანიზაციული ზომებით კოლეგების "მორჯულება" გაჭირდება და გაცილებით ეფექტურია ფინანსური სანქციები - ხელფასიდან თანხის დაქვითვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

# ბარიერი საქართველოში უკანონოდ მოქმედი რუსული კომპანიებისთვის

გიორგი ასანიშვილი

*რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მხოლოდ სამხედრო აგრესიის განხორციელებით არ კმაყოფილდება. კრემლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ანექსიასაც ცდილობს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ელექტრონული მაუწყებლობისა და კომუნიკაციების, აგრეთვე საბანკო სფეროში მომუშავე მთელი რიგი რუსული კომპანიების საქმიანობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ღია სააქციო საზოგადოება "მეგაფონი", რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო რადიოსადგური "ვესტი FM" - ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ რუსული ფირმებისა, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობების უხეში დარღვევით საქმიანობენ. ამ უკანონობის აღსაკვეთად, საქართველოს ხელისუფლება კონკრეტული ზომების მიღებას აპირებს.*

**"კომპანია "მეგაფონს" პირდაპირი კავშირი აქვს კრემლთან და მის დავალებებს ასრულებს. ის უშუალოდ იყო ჩართული სამხედრო ინტერვენციაში. "მეგაფონმა" 7 აგვისტოს, როკის გვირაბით ანძა შემოიტა, 24 საათში დაამონტაჟა და ამ გზით უკანონო საქმიანობის მასშტაბი კიდევ უფრო გაზარდა,"** - აღნიშნული განცხადება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ გიორგი არველაძემ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობა კანონმდებლობის გადახედვას ითხოვს, რათა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ მოქმედ რუსულ კომპანიებს მაქსიმალური დისკომფორტი შეექმნათ.

**"უნდა მივაღწიოთ იმას, რომ "მეგაფონის" ხელმძღვანელები დაფიქრდნენ, ჯავის რაიონში აბონენტთა რაოდენობის გაზრდა ულირთ თუ არა იმ ზარალად, რაც მათ საერთაშორისო რეპუტაციას მიადგება,"** - აცხადებენ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

როგორც ირკვევა, ამჟამინდელი სამართლებრივი ბაზის პირობებში, კომისიას "მეგაფონთან" დავა მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ფარგლებში შეუძლია და შესაბამისად, რუსული კომპანიისთვის მცირე ოდენობის საჯარიმო სანქციების დაკისრებაზე შორს ვერ მიდის. თანაც, ამ მიზერული თანხების ამოღებაც ვერ ხერხდება - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვერ აღასრულებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს, ვინაიდან რუსეთ-საქართველოს შორის არანაირი შესაბამისი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას ითხოვს, რაც ქართულ მხარეს "მეგაფონის" წარმომადგენლებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საშუალებას მისცემს.

**"სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრისა და მსჯავრდებულებისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევაში, "მეგაფონის" ხელმძღვანელი პირები, სულ ცოტა, რუსეთის ფედერაციაში "შიდა პატიმრობაში" მოექცევიან, ვინაიდან მათი გვარები ინტერპოლისთვის იქნება გადაცემული. ეს უფრო რეალურს გახდის ამ კომპანიის უკანონო ქმედების აღკვეთას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე,"** - მიიჩნევენ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

ამასთან, საპარლამენტო კომისიის გუშინდელ სხდომაზე მკაფიოდ ითქვა, რომ საქართველოს ტერიტორიებზე უკანონოდ მოქმედი რუსული კომპანიების დასჯა ქართული მხარის თვითმიზანი არ არის.

**"ჩვენი მიზანია ამ კომპანიების მოქცევა საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობების ფარგლებში. ისინი ოფიციალურად უნდა დარეგისტრირდნენ ჩვენთან, მოექცნენ სამართლებრივ რეჟიმში, ლეგალურად აწარმოონ საქმიანობა და გადაიხადონ გადასახადები,"** - ურჩევს რუსულ კომპანიებს დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი შოთა მალაშხია.

ანალოგიური ვითარებაა საბანკო სექტორშიც: რუსული ბანკების 20-მდე ფილიალი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე უკანონოდ საქმიანობს.

გამოსავალი ამ შემთხვევაშიც მათთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაა, რაც ამ ბანკებს საერთაშორისო გადარიცხვების საშუალებას მოუსპობს.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მუშავდება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელსაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, პირველი მოსმენით, უახლოეს მომავალში განიხილავს.

# საქართველოს ანექსიაში "გაზპრომი" ჩაერთო

პირველი გვერდიდან

ამჟამად ცხინვალს გაზი არ მიეწოდება. ასეთი მდგომარეობაა აგვისტოდან ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ოკუპირება მოახდინა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში ცხინვალისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტას ობიექტური მიზეზებით ხსნიან. **"ომამდე ცხინვალი გაზს ჩვენგან უპრობლემოდ იღებდა. თუმცა ახლა ეს პროცესი შეწყვეტილია. ჩვენ ვიცით, რომ სროლების შედეგად მაგისტრალური გაზსადენი დაზიანდა. ამ დრომდე ვერ ხერხდება მისი დათვალიერება და აღდგენა. ამას თავისი ბუნებრივი მიზეზები აქვს. ტერიტორია, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ოკუპირებულია, მასზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, ამიტომ ჩვენი წარმომადგენლების იქ მისვლა და ვითარების ადგილზე შემოწმება შეუძლებელია. არ არსებობს უსაფრთხოების არანაირი გარანტია. ცხინვალს გაზს "იტერა" აწვდიდა, თუმცა მაგისტრალური გაზსადენი სახელმწიფოს საკუთრებაშია. ცხინვალის მიმართულებით გაზმომარაგების განახლება მილსადენის მდგომარეობის შესწავლამდე და უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფამდე შეუძლებელია. ცხინვალიდან ჩვენთვის ვინმეს რომ მოემართა განცხადებით - მოდით, შეამოწმეთ და შემდეგ მოგვაწოდეთ გაზი, მსგავსი არაფერი გვახსოვს,"** - აცხადებენ ენერგეტიკის სამინისტროში.

კუპრიანოვი ეჭვქვეშ აყენებს მილსადენის დაზიანების ფაქტს. **"ისტორიულად, ყოველთვის ასე იყო: ცხინვალი გაზს საქართველოდან იღებდა. სამხრეთ ოსეთმა გაზი პირდაპირ რუსეთიდან რომ მიიღოს, ამის ტექნიკური შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არსებობს. მილსადენი, რომელიც რუსეთსა და ცხინვალს დააკავშირებს, 2009 წლის ზაფხულამდე ვერ აშენდება,"** - აცხადებს კუპრიანოვი. იგი გაზის მომავალი ტარიფის შესახებ აცხადებს, რომ **"ეს საკითხი ცალკე უნდა გადაიჭრას"**.

**"ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ტარიფი განსხვავებულია. ყველა ცალკეული შემთხვევა უნიკალურია,"** - აღნიშნავს იგი. "გაზპრომის" წარმომადგენლის განცხადებით, გაზსადენის დაზიანების შესახებ ინფორმაციას კომპანია ვერ ადასტურებს, რადგან კომპანიის სპეციალისტებს მისი შემოწმების შესაძლებლობა არ აქვთ. კუპრიანოვის თქმით, ოფიციალური დასტური იმის შესახებ, რომ ქართული მხარე სამხრეთ ოსეთს მიმდინარე ზამთარში გაზს არ მიაწვდის, რუსულმა ენერგოკომპანიამ მხოლოდ ორშაბათს მიიღო.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "გაზპრომი" გაზაფხულისთვის მაგისტრალური მილსადენის მშენებლობას გეგმავს, სააგენტო "რეგნუმთან" "გაზპრომის" აქციონერთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ალან სასიევმაც დაადასტურა. მან განაცხადა, რომ 2009 წლის ზაფხულისთვის მათი მთავარი ამოცანა ცხინვალის გაზმომარაგებით უზრუნველყოფა იქნება, თუმცა მანამდე მძიმე ზამთარი ელით.

უკვე 18 თვეა, მიმდინარეობს მილსადენის მშენებლობა, რომელიც კავკასიის ქედის გავლით ცხინვალში შევა. გეგმის თანახმად, ცხინვალმა ბუნებრივი აირი რუსეთიდან პირდაპირ, საქართველოს გვერდის ავლით უნდა მიიღოს.

რუსულ კომპანია "გაზპრომში" აცხადებენ, რომ გაზის ღირებულება ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ყველაზე იაფი იქნება.

**"ჩრდილო კავკასიაში მილსადენის გაყვანას არავითარი აზრი არა აქვს. რუსეთი ვერასდროს ამოიღებს იმ თანხას, რასაც მის მშენებლობაზე დახარჯავს. ეს წმინდად პოლიტიკური პროექტია. არც ერთი ჭკუათმყოფელი ამას არ გააკეთებდა. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მშენებლობა რამდენიმე ასეული მილიონი ჯდება, მეორეც იმიტომ, რომ ტექნიკურად ძალიან რთული შესასრულებელია. რუსეთის მხრიდან ეს ნაბიჯი შეიძლება ავხსნათ, როგორც ანექსიის ერთ-ერთი ელემენტი. ამ მილსადენის მშენებლობის არავითარი საჭიროება არ არსებობს. ჩვენგან ცხინვალი გაზს ყოველთვის დაუბრკოლებლად იღებდა,"** - აცხადებს ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში თემურ გოჩიტაშვილი.

# გაუკითხაობის ფატალური შედეგი

*სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობისა თუ კონფერენციებზე მიღებული შეთანხმებების მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვითარება კვლავაც უკიდურესად მძიმე რჩება. იქაურებისთვის ცხოვრება დღემდე დისკრიმინაციულ გარემოში გრძელდება. დაუსჯელობის ხიბლით წაქეზებული ბანდფორმირებები კი დანაშაულს ყოველდღიურად ჩადიან.*

ნინო დალაქიშვილი

რუსულ ჯარში მომსახურე ეთნიკურად ოსმა ჯარისკაცებმა, სხვა ჯარისკაცებთან ერთად, ახალგორის რაიონის სოფელ ყანჩაეთში ქართველი მწყემსი ნოდარ ტატუნაშვილი ცემით მოკლეს.

როგორც ახალგორის რაიონის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა განაცხადა, ჯარისკაცებმა ნოდარ ტატუნაშვილისთვის ცხვრის წართმევა მოინდომეს, ტატუნაშვილმა კი მათ წინააღმდეგობა გაუწია.

"ოსური **კრიმინალური დაჯგუფებების გასვლის მიუხედავად, ახალგორში ვითარება კვლავ დაძაბულია. სოფელ კორინთაში ოსური ფორმირებების მცირე ნაწილია დარჩენილი. ისინი ყველა სახლს ძარცვავენ. ამ სოფელში მოსახლეობის ათი პროცენტიღა ცხოვრობს და ისინიც ეთნიკურად ოსები არიან,"** - განაცხადა ზურაბ ფიცხელაურმა.

რაც შეეხება საქართველოს სხვა ოკუპირებულ ზონას, საჩხერის რაიონის სოფელ პერევში ოკუპანტები კვლავ დგანან. ოსური ფორმირებების გასვლის შემდეგ სიტუაცია შედარებით დაწყნარდა, თუმცა პერევის მოსახლეობა მაინც პანიკაშია და ყოველდღიურად საფრთხეს ელის. საჩხერის რაიონის გამგებელი ზურაბ ცერცვაძე აცხადებს, რომ არავინ იცის ოკუპანტების გასვლის ზუსტი თარიღი. **"რუსი ჯარისკაცები ადგილობრივ მცხოვრებლებთან ამბობენ, რომ შესაძლოა, პერევიდან გავიდნენ, მაგრამ როდის, არ იციან,"** - აცხადებს ზურაბ ცერცვაძე.

ევროკავშირის დამკვირვებლები ოკუპანტების ბლოკ-პოსტზე თითქმის ყოველდღე მიდიან და ვითარებას ამოწმებენ, თუმცა მათ რუსები სოფელში შესვლის საშუალებას არ აძლევენ.

აფხაზეთში, გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში, ოკუპანტებმა ტერორის შორსმჭვრეტელურ გზას მიმართეს და განათლების სისტემის კორექტირება გადაწყვიტეს. მათ სკოლების დირექტორები გალის აფხაზური ადმინისტრაციის განათლების განყოფილებაში დაიბარეს. აფხაზური მხარე გალის რაიონის დაბალი ზონის სკოლებს სწავლის შეწყვეტის უფლებას არ აძლევს, რაც სკოლების ხელმძღვანელობამ 20 ნოემბერს გადაწყვიტა - როცა ვითარება უკიდურესად დაიძაბა და სროლები დაიწყო.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის მხრიდან სკოლების დირექტორების დაბარებას ქართულ მოსახლეობაზე **"მორიგ ზეწოლად"** აფასებს. **"დაბალი ზონის სოფლების სკოლების დირექტორთა დღევანდელი შეკრება მორიგი ზეწოლაა. მათ აიძულებენ, სკოლებში რუსული სახელმძღვანელოებით ასწავლონ და რუსული პასპორტები აიღონ,"** - აღნიშნა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის პრესცენტრის უფროსმა რაულ ქირიამ.

აფხაზურ ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის შეწყვეტა არ სურს, სკოლებში რუსული ლიტერატურის შეტანას აგრძელებს და მოსწავლეებს პრორუსულ განწყობას უნერგავს.

# კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტის თავმჯდომარე კორეინ იონკერი საქართველოს კონფლიქტის და ბუფერულ ზონებში შექმნილი ვითარების გამო შეშფოთებას გამოთქვამს. მისი განცხადებით, საქართველოში 6-დღიანი ვიზიტის მიზანი იყო, გაცნობოდა საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარულ შედეგებს.

გუშინ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე იონკერმა აღნიშნა, რომ გალისა და ახალგორის რაიონებსა და სხვა ბუფერულ ზონებში ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მისი თქმით, ბოლო თვეების განმავლობაში ამ რეგიონებში ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და ვითარება ახლაც მძიმეა.

როგორც კორეინ იონკერმა განაცხადა, იგი კმაყოფილია იმ სამუშაოებით, რაც აგვისტოს მოვლენების შედეგად დევნილების დასახმარებლად ჩატარდა, მაგრამ 90-იან წლებში დევნილებისთვისაც იგივე საცხოვრებელი პირობები უნდა შეიქმნას.

ევროსაბჭოს წარმომადგენელმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ყველანაირად შეეცადა ცხივნალში შესვლას, რათა იქაური ვითარება შეესწავლა. თუმცა, ამის საშუალება არ მისცეს. "შემოგვთავაზეს, რომ ცხინვალში რუსეთის მხრიდან შევსულიყავით, თუმცა ჩვენ ამის არც პირობები გვქონდა და არც სურვილი. ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, რომ კონფლიქტის ზონებში თავისუფალი გადაადგილების პრობლემაა. ამ ვიზიტის შედეგებს 10 დეკემბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტში განვიხილავთ და შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთ," - განაცხადა კორიენ იონკერმა. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველო მიღებული დიდი დახმარებიდან თითოეულ ცენტს სათანადოდ გამოიყენებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "ქართველების საკუთრება ხელშეუხებელია"

ლევან ღირსიაშვილი
*ბრიუსელიდან*

*საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ჰავიერ სოლანას პრესსპიკერმა, ქალბატონმა ქრისტინა გალაკმა გუშინ კავკასიელი ჟურნალისტებისთვის ბრიუსელში სპეციალური ბრიფინგი გამართა. მან კიდევ ერთხელ გაახმოვანა ევროკავშირის პოლიტიკა და ძირითადი მიმართულებები ქართულ-რუსული კონფლიქტის საკითხებში.*



*ქრისტინა გალაკი*

ქრისტინა გალაკის განცხადებით, ევროკავშირი ჟენევის მოლაპარაკებების პროცესს ყურადღებით აკვირდება და მოუთმენლად ელის შედეგებს. მან ასევე ისაუბრა იმ პრობლემაზე, რომლის წინაშეც ევროკავშირის მონიტორინგის მისია დგას: როგორც ცნობილია, 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, მისიის თანამშრომლები ვერ ახერხებენ კონფლიქტურ ზონებში შესვლას. **"ეს ჩვენი ყოველდღიური მუშაობის უმთავრესი მიზანია. ჩვენ კვლავ და კვლავ ვაგრძელებთ კარზე კაკუნს და რუსეთისგან ვითხოვთ, ჩვენი მისიის თანამშრომლების კონფლიქტის ზონის სიღრმეში შეშვებას. ეს თავად რუსეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, რადგან არ დარჩეს კითხვის ნიშნები,"** - განაცხადა გალაკმა. თუმცა, მისი განცხადებით, ევროკავშირი ამ საკითხზე რუსეთთან დიალოგის გარდა სხვა პოლიტიკის გატარებას არ გეგმავს, რადგან ბრიუსელში მიაჩნიათ, რომ სადავო საკითხები მხოლოდ და მხოლოდ თანამშრომლობით და მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს.

ქრისტინა გალაკმა დასძინა, რომ კონფლიქტის ზონებში მიმდინარე პროვოკაციების, აფეთქებების მიუხედავად, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ფორმატის შეცვლა არ იგეგმება და არც განიხილება. **"ჯერჯერობით, ასეთი საკითხი დღის წესრიგში არც დგას,"** - განაცხადა გალაკმა.

ჰავიერ სოლანას პრესსპიკერმა "24 საათის" შეკითხვებსაც უპასუხა. კითხვაზე - აქვს თუ არა ევროკავშირს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის და სეპარატისტული სოხუმის მხრიდან დაწყებულია აფხაზეთში ქართველი ლტოლვილების საკუთრების შესყიდვის პროცესი? - გალაკმა განაცხადა: **"ჩვენ ჯერჯერობით ასეთი ინფორმაცია არ გვაქვს. თუმცა, მიმაჩნია, რომ აფხაზეთში საკუთრების თემა ფუნდამენტური საკითხია და საქართველოს ინტერესის და მონაწილეობის გარეშე ასეთი პროცესი მიუღებელია. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთი საკითხები ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესის ფორმატში უნდა იქნას განხილული. ჯერჯერობით, ეს ფორმატი ახალი დაწყებულია და მას ყველასგან სჭირდება ხელშეწყობა."**

**"24 საათი":** იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი მიიღებს დადასტურებულ ინფორმაციას, აფხაზეთში ქართველების ქონების შესყიდვის მცდელობის შესახებ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს კიდევ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას?

**"რასაკვირველია. მე აღვნიშნე, რომ ეს არის ფუნდამენტური საკითხი. თუკი აფხაზეთში ასეთი პროცესი მართლაც მიმდინარეობს, ეს არის საფრთხე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. ევროკავშირი კი საქართველოს მთლიანობის საკითხს ეჭვქვეშ არ აყენებს და აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს არ განიხლავს დამოუკიდებელ ტერიტორიებად. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართველების საკუთრება ხელშეუხებელია, ხოლო საკუთრების ყიდვის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და საქართველოს მხარის მონაწილეობით განხორციელდეს,"** - განაცხადა ქრისტინა გალაკმა.

# ნაცნობი "პეიზაჟი" - სხდომათა ცარიელი დარბაზი

*პირველი გვერდიდან*

ისე, დეპუტატები მსგავს მუქარასაც უკვე შეჩვეულები არიან და იციან, რომ ასეთი სასჯელი რეგლამენტში მათ შესაშინებლად უფრო არის ჩაწერილი და, როგორც წესი, იშვიათად გამოიყენება.

მიუხედავად ამისა, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მაინც საჯაროდ კითხულობს იმ დეპუტატების გვარებს, ვისი სხდომაზე არყოფნის მიზეზიც მისთვის უცნობია. ასეთი დეპუტატების ჩამონათვალი კი საკმაოდ ვრცელია და მასში შედიან: ვახტანგ ბალავაძე, დავით ბეჟუაშვილი, რომან ბჟალავა, კახა გეწაძე, გიორგი გოგუაძე, ზაზა გულიკაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ლაშა თორდია, თემურ კოხოძე, კობა კურდღელაშვილი, ავთო ლეკაშვილი, პაატა ლეჟავა, გელა ლონდარიძე, ზაზა მადურაშვილი, თამაზ პეტრიაშვილი, ლაშა ჟვანია, კახა სუხიშვილი, გიორგი ტალახაძე, სერგო ქიტიაშვილი, ეკა ხერხეულიძე და კობა ნაყოფია.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ მაჭავარიანის "შავ სიაში" მოხვედრა სულაც არ იძლევა იმის "გარანტიას", რომ ზემოთ დასახელებული პარლამენტარების მიმართ აუცილებლად გატარდება ფინანსური სანქციები. რეგლამენტის შესაბამისი მუხლი საკმაოდ ლიბერალურია - საკმარისია პარლამენტარის სიტყვიერი განცხადება, ან სატელეფონო ზარი იმის შესახებ, რომ ავად არის და... პრობლემა მოხსნილია: ხალხის რჩეულს არანაირი სამედიცინო ბიულეტენი არ სჭირდება, მას "სიტყვაზე უნდა ენდონ" და სხდომის გაცდენა საპატიოდ ჩაუთვალონ. ასე რომ, ზემოთ ნახსენები "შავი სია", სავარაუდოდ, მაქსიმალურად შემცირდება ან, შესაძლოა, სულაც "განულდეს".

მით უმეტეს, რომ კოლეგებისთვის ხელფასების დაქვითვა თავად მაჭავარიანს ძალიან არ ეხალისება. გუშინ იგი თავად ეძებდა მიზეზებს, რომ პარლამენტარებს რეგისტრაციის არგავლა საპატიოდ ჩათვლოდათ.

**"ხუხუნაიშვილი, მელაძე და ოქრიაშვილი დარბაზში არიან და უბრალოდ, მათმა პულტმა არ იმუშავა... გივი ჯერ არ ჩამოსულა მივლინებიდან?.. მირზა დავითაიას პულტით ვინ მისცა ხმა და ამით ამ კაცს ცუდი საქმე ვინ გაუკეთა?"** - ფლომასტერით ხელში დიდხანს ჩაჰკირკიტებდა პარლამენტართა სიას მაჭავარიანი.

არადა, პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს არც ის უნდა, რომ "გულჩვილობასა" და სუბიექტურობაში დაადანაშაულონ. ამიტომ იგი უდისციპლინო დეპუტატებს ხელფასის დაქვითვაზე უფრო მკაცრი სასჯელით აშინებს.

**"გაითვალისწინეთ, რომ უმრავლესობის პარტიული სიიდან ბევრი არის პარლამენტს გარეთ დარჩენილი..."** - გამოუსწორებელ დეპუტატებს საკანონმდებლო ორგანოდან მოკვეთით ემუქრება მაჭავარიანი.

ისე, ბოლო პერიოდში სახელისუფლებო ფრაქციიდან მართლაც "მოკვეთეს" ერთი დეპუტატი, ოღონდ, არა უდისციპლინობის მიზეზით: საპარლამენტო უფლებამოსილება კობა სუბელიანს მინისტრად დანიშვნის გამო შეუწყდა. გუშინ მისი ადგილმონაცვლის, მმართველი პარტიის საარჩევნო სიის მომდევნო ნომერ ზურაბ კიკალიშვილის უფლებამოსილება საკანონმდებლო ორგანომ 76 ხმით, ერთხმად დაამტკიცა.

**"როგორც ერთმა გურულმა უთხრა მეორე გურულს, მეც ისე გეტყვი, კობას წასვლა შენმა მოსვლამ უნდა გადაგვატანინოს,"** - იუმორით ხვდება მიხეილ მაჭავარიანი ახალ თანაფრაქციელს.

# ახალი გზა ზემო აფხაზეთში

სეპარატისტები ზემო აფხაზეთიდან სოხუმის მიმართულებით არსებული გზის აღდგენას აპირებენ. როგორც "პირველს" აფხაზეთის მედიაცენტრმა აცნობა, აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა შესაძლოა, რამდენიმე დღეში ზემო აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ახალი გზა ჩახერგონ.

"სეპარტისტები ხეობიდან სოხუმის მიმართულებით არსებული გზის აღდგენას აპირებენ, რომლის მეშვეობით სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის ორგანიზებისთვის ზემო აფხაზეთში არსებული ხე-ტყის გატანას გეგმავენ," - აღნიშნეს ცენტრში.

"ზემო აფხაზეთში სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები სამხედრო ბაზებს ხსნიან. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი სამხედრო ბაზა ოკუპანტებს სოფელ გენწვისში აქვთ, სადაც დიდი რაოდენობით ტანკები და მძიმე ტექნიკაა მობილიზებული. რუსების ბლოკ-პოსტი არის ასევე სოფელ საკენში, სადაც მძიმე ტექნიკასთან ერთად, ცოცხალი ძალაც დგას," - იუწყება წყარო. ამ დროისთვის ზემო აფხაზეთში მხოლოდ ოცდაათამდე აფხაზი ბოევიკი იმყოფება, ხეობას მთლიანად რუსი ჯარისკაცები აკონტროლებენ. აფხაზი ბოევიკები სოფელ ომარიშარას სასაზღვრო პოლიციის შენობაში არიან დაბანაკებული.

*პირველი*

## ბაზა რუსული გემებისთვის შავ ზღვაში

წყალქვეშა მეზღვაურები უახლოეს მომავალში შავი ზღვის ოჩამჩირის აკვატორიაში ფსკერის გამოკვლევას დაიწყებენ, - იუწყება "ინტერფაქსი".

დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზეთში რუსული გემებისთვის ბაზის შექმნის შესახებ მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. ოჩამჩირეში საბჭოთა პერიოდში საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების საბრძოლო გემების რაზმი იყო განთავსებული.

აფხაზური მხარის მიერ გახმაურებულ ინფორმაციას ოჩამჩირის აკვატორიაში რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის შესაძლო განთავსების შესახებ, რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის შტაბში არსებული წყაროც ადასტურებს. "აფხაზეთში ოჩამჩირის პორტის რაიონში შავი ზღვის ფლოტის ბაზირების პუნქტის განთავსება იგეგმება. გემების რაოდენობა კი აკვატორიის სიღრმეზე იქნება დამოკიდებული. ამჟამად ფლოტის სპეციალისტები სწორედ ამ აკვატორიის გამოსაკვლევად მუშაობენ," - აცხადებს შავი ზღვის ფლოტის შტაბში არსებული წყარო. **საკუთარი ინფორმაცია**

## ევროკავშირი საქართველოსთან პარტნიორობის ახალ გეგმას განიხილავს

მიმდინარე წლის 3 დეკემბრიდან ევროკავშირი საქართველოსთან პარტნიორობის ახალ გეგმას განიხილავს. "ევროკავშირი საქართველოსთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ თანამშრომლობას გეგმავს," - განუცხადა ქართველ ჟურნალისტებს ევროკავშირის მაღალჩინოსანმა მარტინ კორნარმა.

მისივე თქმით, მსგავსი ფორმით პარტნიორობას ევროკავშირი კიდევ რამდენიმე ქვეყანასთან გეგმავს, მათ შორის - აზერბაიჯანთან და მოლდოვასთან.

საქართველო და უკრაინა ახლო მომავალში შესაძლოა, ევროკავშირის წევრობის პრივილეგირებული კანდიდატები გახდნენ. აღნიშნული ინიციატივით 2 კვირის წინ ევროკავშირის თავმჯდომარე, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გამოვიდა. **პირველი**

## შტაინმაიერის მოსაზრება ჟენევის მოლაპარაკებებზე

"საქართველოში მდგომარეობის სტაბილიზაციის გზა პარტნიორების პირდაპირ მოლაპარაკებებზე გადის," - ამის შესახებ განცხადება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა გააკეთა. იგი საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების მეორე რაუნდს მნიშვნელოვან ნაბიჯს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს საკმაოდ პოზიტიური შეხვედრა იყო.

"ის, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ყველა მხარის ერთ მაგიდასთან დაჯდომა და მოლაპარაკების პროცესის გამოცოცხლება მოხერხდა, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ბოლო დღეების მოვლენებმა გვიჩვენა, თუ როგორი დაძაბულია რეგიონში ვითარება, ამიტომ, კონფლიქტის ყველა მონაწილემ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს იმაში, რომ შეძლებისდაგვარად განმუხტოს ვითარება," - აცხადებს შტაინმაიერი.

იგი იმედს გამოთქვამს, რომ ამიერიდან მოლაპარაკებების მონაწილეები სერიოზულად განეწყობიან მოლაპარაკებათა პროცესის გაგრძელებაზე. ამიერკავკასიის საკითხზე ჟენევის დისკუსიის მესამე რაუნდი 17-18 დეკემბერსაა დაგეგმილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული დელეგაცია ნატო-ს შტაბ-ბინაში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში, სამხედრო პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე საქართველოს მიერ თავდაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შეფასებითი დოკუმენტის განხილვას დაესწრო. საქართველოს დელეგაციას თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი მუჩაიძე ხელმძღვანელობდა. სხდომაზე საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესები და სამომავლო გეგმები განიხილეს. ალიანსმა საქართველოს მიერ თავდაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და სამომავლო რეფორმების სამოქმედო გეგმები დადებითად შეაფასა. შეხვედრაზე ნატო-ს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თავდაცვის სფერომ საქართველოში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ალიანსმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენეტის მიმართ ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოხატა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნატო გაფართოებას განაგრძობს

ნატო გაფართოებას განაგრძობს და პარალელურად ამ საკითხში რუსეთთან პარტნიორული უსაფრთხოების განვითარებას აპირებს. ამის შესახებ ალიანსის წარმომადგენელმა ოელიო ბუშამ უნგრეთის პარლამენტში ნატო-ს ტრანსფორმაციისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე განაცხადა. "ჩვენ არ ვაპირებთ, უარი ვთქვათ საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში არსებულ გეგმებზე. ადრე თუ გვიან ისინი ალიანსის წევრები მაინც გახდებიან," - აღნიშნა ბუშამ. ამავე კონფერენციის ფარგლებში უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ დეკემბრის მინისტერიალზე უნგრეთი იმ ქვეყანათა რიცხვში იქნება, რომლებიც საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას მიემხრობიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

პროექტი ერთობლივად ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოსა" და გაზეთ "24 საათის" მიერ.

# რით დავეხმაროთ მათ?

*როგორც ჩვენი "წრის" ერთ-ერთი sms-ისტი კითხულობს - გადავიქეცით თუ არა მარადიული ლტოლვილების ქვეყნად? რითი დავეხმაროთ შიდა ქართლის დევნილ მოქალაქეებს? რატომ უწოდებს ზოგიერთი აშენებულ სახლებს ქოხებს? საკუთარ სახლებში დაბრუნების გარდა კიდევ რა სჭირდებათ მათ?..*



ეს დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან, სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების სახელმწიფო მოსამსახურისა და კერძო მესაკუთრის, ასევე დევნილი მოქალაქეების არაsms გზავნილებია:

- მე დავრჩი, ქმარ-შვილი გამოვუშვი, ვიფიქრე ოსი ვარ და იქნებ სახლ-კარი გადავარჩინო-მეთქი. რუსები შემოვიდნენ და ცოდვას ვერ ვიტყვი, გამარჯობის მეტი არა უთქვამთ რა, მეორე დღეს ოსები გამოჩნდნენ, სოფელში მარტო ასაკოვანები ვიყავით დარჩენილი, დარიეს ხელი, ჩაყარეს მანქანებში, ცხინვალში წაიყვანეს. შვიდმა გამოქცევა მოვახერხეთ ... ოსი ვარ-მეთქი რომ ვუთხარი, ჩვენი მტრები ხომ გაზარდეთ და ისე, როგორც ჩვენი დედები არ დაინდეს, ისე ჩვენც არ დაგინდობთო... ერთმა ოსმა კაცმა ქართველი ბიჭი გაათავისუფლა, ნაპირნაპირ იარე თვალში არავის მოხვდეო... დამწვარია ყველაფერი, ორი შვილის სახლკარი; კარგად ვცხოვრობდით, კამაზი გვყავდა... ერთი ხალათით წამოვედი, პურიც ვერ წამოვიღე, იმითანა პური გვქონდაა...

- ჩვენ ისეთი ცხოვრება დავტოვეთ, რომ იმ სახლებში ვერ ვიცხოვრებ, მომცენ ჩემი კუთვნილი ფული და მე თვითონ ვიყიდი სახლს. ააშენეს ჭაობებზე ქოხები, ახლაც გველებითაა იქაურობა სავსე და ზაფხულში რა იქნება?

- ჩემი კონსტიტუციური უფლებაა, რომ ჩემით ავირჩიო საცხოვრებელი ადგილი და არა მერაბიშვილის არჩეულში ვიცხოვრო;

- არ მინდა თბილისში, აქ რა გამაძლებინებს, აკრძალონ თბილისში სახლების ყიდვა და ფული ისე მოგვცენ, სახლები იყიდება ქარელში და იმას ვიყიდით;

- ყველაზე დიდი ტკივილი, იცით, რა არის, რომ არავინ არ გაგვაფრთხილა დაცალეთ ხეობაო, ჩვენი იქ დახოცვა უნდოდათ, 15-20 ადამიანი რომ მომკვდარიყო, ეგრევე ნატო-ში შევიდოდით; ყურაშვილს უბრძანეს, ხიდი ჩაენგრია, რომ ჩვენ იქიდან არ გამოვსულიყავით. არ ჩაანგრია. ჩვენით გადავირჩინეთ თავი, ახლა იმას ეძებენ, ვინ გააფრთხილა ხალხი, რად დავცალეთ ხეობა. ვიცით, ჩვენი წყაროები გვაქვს;

- კეთილი ხალხითა ვართ, მთავრობა სად არის, ორი დღე მერაბიშვილთან ისე ვიდექით, კაცმა არ მოგვხედა, მერე მეზობლების რჩევით ძალით შემოვიჭერით აქ, ან აქ რა არის, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ჩემები გადამირჩნენ;

- მე აუცილებლად აღვძრავ სარჩელს რუსეთის წინააღმდეგ;

- ერთმა იურისტმა ქალმა მირჩია საქართველოს წინააღმდეგ აღძარი სარჩელიო, არა, რა თქმა უნდა არა, მაგრამ ძალიან ცუდი რჩევაა;

- რა ვიცი, ვინ ისროლა, ასე სულ ისროდნენ, ხან აქ, ხან იქ, მივეჩვიეთ. ჩვენ ხელს არავინ გვკიდებდა და რა ვიცი, ცხინვალში თვითმფრინავიდან რომ ისროდნენ, იქ ქართველებიც იყვნენ, რუსებიცა და ოსებიც...

- ისეთი სკოლა გვქონდა, ისეთი კარგი, რომ ახლა რომაც შემომთავაზონ, აქაურ სკოლაში ვერ ვიმუშავებ; იქ მასწავლებელს სოფელში ავტორიტეტი ჰქონდა;

- აქ გვიცდება ხშირად. იქ ჩვენთან არ ცდებოდა. ცალკე კლასი გვაქვს დევნილებს, კარგად გვექცევიან. ჩემი სოფლელი თანაკლასელი სხვა სკოლაშია და აღარ დადის, დამცინიანო;

- რას ერჩოდნენ ერგნეთის ბაზრობას, ის რომ მოშალეს, მაშინ აირია თითქმის დალაგებული. იმ ქარელმა რუსულიც კი არ იცოდა; რამე ერგნეთზე კარგი რომ გაეკეთებინათ, უკეთესად რომ მოქცეოდნენ ოსებს და იმათთვის რუსებზე კარგი ცხოვრება მოეწყოთ, ვინ ოხერი გაიხედავდა იქით;

- ვისი რა საქმეა, როგორ ნაშოვნი ცხოვრება გვქონდა, მოპარვით არ ვიპარავდით და ვლადიკავკაზში და რუსეთში გაგვქონდა ჩვენი მოსავალი, არაფერი არ გვაკლდა; იცით, ერთი ვაშლი რუსეთში რა ღირს? ახლა ჩემი ვაშლებით ოსები აიწყობენ ცხოვრებას;

- როგორ არ შეიძლებოდა კეთილად მოეგვარებინათ ყველაფერი, შევარდნაძეს არ უნდოდა, თორემ ჩიბიროვი ისეთი კაცი იყო, მასთან ყველაფერი გამოვიდოდა. ახლაც რომ არ გაგვებრაზებინა რუსეთი "ლილიპუტინებითა" და ასეთებით, ასე არ მოხდებოდა;

- რუსეთის მოქალაქეობის მიღებას რა უნდოდა;

- თუ სანაკოევის კაცი იყავი, იცოცხლე კარგად იქნებოდი, ახლაც ტბაბიძეზე ადლევენ სახლსო, რაში, ჩვენი ცხოვრება რომ გააოხრა და თავს უშველა? თვითონ ხომ დროზე დატოვა იქაურობა, მე რა, არა მყავს ცოლ-შვილი?!

- დღესაც გამოდის კოკოითი ტელევიზიით, დაბრუნდით, მოქალაქეობა შეიცვალეთ და ხელს ვერავინ გახლებთ, ისევ იქ იცხოვრეთო. ადრეც გამოდიოდა, ჩვენ "ალანიასაც" ვუყურებდით და ცხინვალის ტელევიზიასაც, სულ გვეუბნებოდა მოდითო;

- ჩემი ნათესავები გადავიდნენ იმ სახლებში, თონის ჩადგმა სთხოვეს და უდგამენ, ჩემი ბიჭიც ამბობს, ჩემი კლასელის ოჯახი გადავიდა და კარგიაო;

- თითო სოფელი ერთად მაინც რომ დაგვასახლონ, თავსაც და ერთმანეთსაც უფრო გავიტანთ, ბავშვებიც ერთმანეთს მიჩვეულები არიან და მშვიდად გაიზრდებიან;

- მე არსად წამსვლელი არა ვარ, მომცენ თანხა, 35 000 ჯდებაო და ჩემით ვიყიდი სახლს, სადაც მინდა;

- ბომბზე ვცხოვრობდით ამდენი ხანი, მაგრამ ხომ ვცხოვრობდით? როგორ არ ხდებოდა ცუდი რაღაცეები, მაგრამ ახლა უფრო ცუდი არ მოხდა? ვინ გვიშველის, სახელმწიფო სად არის, კაცი არ ინტერესდება, რა გვჭირს. ამ უბნის მეზობლებით და არასამთავრობო ორგანიზაციებით გვიდგას სული;

- ბავშვებს ავტობუსში უთხრა მძღოლმა, რა გააჭირეთ საქმე ამ ლტოლვილებმაო და ატირებულები მოვიდნენ;

- იცით, ერთმა დიდი კაცის მდივანმა მკითხა, ქურთა რომელი სოფელია, ქურთები რომ ცხოვრობენო?!

- ახლა მივხვდი, ეს რა ძნელი ყოფილა, აფხაზეთიდან რომ გამოდევნეს ხალხი, მაშინ ეს მაინც სხვისი ჭირი იყო. ასეა, სანამ თავს არ დაგატყდება, ვერ მიხვდები. ყველა ასეა;

- მე მაინც თბილისში უნდა ჩამოვსულიყავი, უნდა ჩამებარებინა და მესწავლა. ახლა არ ვიცი. მამაჩემი სოჩში გვიპირებს გადაყვანას, ისიც ჩვენი მიწაა ისევე, როგორც ახლა ცხინვალიაო.



**"წრე" თქვენი, საქართველოს მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი SMS და E-MAIL ავტოგრაფებით იკვრება.**

- დევნილებში, იძულებით გადაადგილებულებში, ტერიტორიული რღვევის შედეგად საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მკვიდრი მოსახლეობა იგულისხმება. მაგრამ უმუშევართა უზარმაზარი არმია? ერთმა ნაწილმა ქვეყნის გარეთ "ნებაყოფლობით" გადაადგილებაში იპოვა გამოსავალი, სხვებმა ესეც ვერ მოახერხეს და უსახსრობის გამო საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებაც კი უჭირთ. მათ რა ჰქვიათ? გამოდის, რომ მთელი ქვეყანა ლტოლვილად ქცეულა.

- საქართველო ვერასოდეს შეურიგდება ტერიტორიების დაკარგვასო - გაიგონებ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მერე და ვის ეტყობა ეს შეურიგებლობა?

- მე ველი ჩვენი მედიისგან იმ დონეზე ამასვლას, რომ თავად შეეძლოს გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე და თუ გაზეთს პრეტენზია აქვს ინგლისური სახელი ატაროს, უხეირო ქართულით არ უნდა ასახავდეს მოვლენებს;

- ზოგჯერ შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჟურნალისტი მხოლოდ უხმოდ უსმენს რესპონდენტს და არ შეეკამათება მას, რა სისულელეც არ უნდა გაიგოს. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები რუსეთის დუმაში, ეშინიათ თუ არგუმენტები არ ჰყოფნით? სულ მახსენდება, ვაცლავ ჰაველის ერთი პიესის გმირი ჟურნალისტი ქალია, რომელიც ასეთი შეკითხვისთვის რესპოდენტმა დიქტატორმა სიცოცხლეს გამოასალმა. მე მგონია, რომ ჟურნალისტს შეეძლო დაესვა ჟირინოვსკისთვის სავსებით უწყინარი შეკითხვა: თქვენი აზრით, აჭარლები, მეგრელები და სვანები ქართველები არ არიან?!

- ბ-ნ ლადარიას აზრი გადაცემა "პროფილის" შესახებ მართლაც გასაზიარებელია, ეს მართლა კიჩია. ერთმა გერმანელმა მითხრა, კიჩი მიყვარს, მაგრამ ზომიერი დოზითო. ვაღიაროთ, რომ "პროფილი" ჟურნალ "სარკის" ეკრანიზაციაა, მისმა ავტორებმა კი ოქროს საბადოს მიაგნეს;

- მედია, ბუნებრივია, ანალიზს უნდა უკეთებდეს ცუდსა და კარგს წარსულში, აწმყოსა და მომავალშიც, მაგრამ, როდესაც ნაკლოვანებებზე საუბრობენ, მათი აღმოფხვრის გზებიც უნდა წარმოადგინონ. აქ გამოჩნდება, თუ ვინ როგორი გონებისაა და რისთვის ავლენს ნაკლოვანებას, მის გამოსასწორებლად თუ ჰონორარისთვის;

- და, როდესაც სუპერმარკეტის თვალებგაბრწყინებული პატრონი აცხადებს, რომ კვლავაც გააგრძელებს რუსული არყის გაყიდვას, მე ველი ჟურნალისტის შეკითხვას, გაუგია თუ არა მას რაიმე იმ ამერიკელის შესახებ, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო უარი თქვა რუსულ არაყზე;

- ჩვენი კოდექსი მართლაც შესაცვლელია, ოცი კილო ლითონის ქურდობისთვის ციხეში კი არ უნდა სვამდნენ, არამედ ოცჯერ უნდა აგვეყვინებდნენ რუსთაველს - ციხეები დაიფერთხება, თანხები დაიზოგება, აბა, ამდენი პატიმრის შენახვა იოლია? მოზარდ დამნაშავეებს კი რამდენიმე სხვადასხვა ხელობას უნდა ასწავლიდნენ;

- სსრკ-ის დროს ჩადებული ნაღმები უკვე აფეთქდა, განაღმვა ვერ მოვახერხეთ. თუმცა, თუ ჭკუის ნატამალი მაინც შეგვრჩენია, შეიძლება ქვეყნის გამთლიანებისთვის ბრძოლა მაინც არ წავაგოთ!

- ჟენევა, ვალენსია, რა ვიცი, თუკი სადმე საერთაშორისო პოლიტიკა კეთდება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მთავარი თემაა. ყველაზე ცუდად, სულმოკლედ და სულსწრაფად ჩვენ ვუდგებით ჩვენსავე პრობლემებს;

- იმდენი სპეკულაცია და ტყუილი იფრქვევა ხალხის სახელით, აღარც ის სამოთხე მინდა, ამ საცოდავ ხალხს რომ პირდებიან. ბ-მა დავითაშვილმა განაცხადა, ტელეარხი "იმედი" ხალხის საკუთრებაა და ხალხს უნდა დაუბრუნდესო. სასაცილოა არამარტო თვითონ დავითაშვილი, არამედ ხალხის კუთვნილი ტელევიზიაც. ბარემ ლოზუნგიც გამოეტანა საშვიდნოემბროდ - "ტელევიზია მშრომელებს";

- მგონი, დავით აღმაშენებლისდროინდელი ისტორია უფრო ზუსტად გვაქვს წარმოდგენილი, ვიდრე ტერიტორიების დაკარგვის დღევანდელი ვითარება; ალბათ, ისევ წმინდა მხედრის გამოჩენას და მორებით ჩახვრილ ბრძოლის ველს ველოდებით;

- მე შიდა ემიგრაციაში წავედი... ჩემი ენა მაქვს, მამული და სარწმუნოება...

- მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევაზე დროის ფუჭ ფლანგვას, ის არ ურჩევნიათ დეპუტატებს, იზრუნონ, რომ რუსეთიდან საქონლის შემოტანა შეწყდეს და საქართველო მთლიანად გადავიდეს პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტზე? თან ეროვნულ ნაწარმსაც სჭირდება პოპულარიზაცია და ხელშეწყობა. კარგი იქნება, მაგალითად, შეიქმნას მაღაზიათა ქსელი "დამზადებულია საქართველოში", სადაც მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულით, მხოლოდ საქართველოში დამზადებული ხარისხიანი პროდუქცია გაიყიდება;

- "რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს"... ერთი ცოცხალი ჯაჭვიც კი ვერ გაგვიკეთებია ხეირიანად! იმათ რომ თავი დავანებოთ, ვინც ამაში მონაწილეობა არ მიიღო და დაცინვით შეხვდა ამ აქციას, თვითონ მონაწილეებიც კი "მორცხვობდნენ" ერთმანეთისთვის ხელის ჩაჭიდებას ანუ "სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა კი"... ჩვენ რო გვჭირს, ისეთი უნდა;

- საქართველოში იმდენი პოლიტიკანი დაწანწალებს, ზოგი ჯიპით და ზოგი ფეხით, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპი დიდი ხანია დარღვეულია: შემოთავაზება გაცილებით ჭარბობს მოთხოვნას. აივსო საქონლით პოლიტიკის დახლი. აღარ გვინდა ნაადვოკატარ-ნაფიზიკოსარ-ნაისტორიკოსალი პოლიტიკანები!

- ნეტავ, რა ხდება ყოფილი მეფისნაცვლის, ყოფილი მენშევიკური მთავრობის, ყოფილი პიონერთა სასახლის შენობაში? მახსოვს, რა შუბების ლეწვა იყო მაგ შენობისთვის, ნეტა, ვინმეს მაინც თუ ახსოვს, თუ აკითხავს, ხანდახან მაინც?

- მოკლე შეტყობინება: მოკლედ! ან იქით, ან აქეთ! თორემ ვრჩებით ხახამშრალი იმ ვირივით, თივის ორ ზვინს შორის არჩევანი რომ ვერ გააკეთა და შიმშილით მოკვდა!

ოპოზიციონერობა შეიძლება ქართულ ხალხურ თამაშობად იქცეს დროთა განმავლობაში, ისე, როგორც ლახტი, კუკუდამალობანა, დაჭერობანა და სხვ. ამ უკანასკნელს, სხვათა შორის, მგელობიასაც ეძახოდნენ დასავლეთ საქართველოში;

- ძირს დემოკრატია! ძირს ასპარტიულობა! გაუმარჯოს საქართველოს დედა-ეკლესიას!

- ამ სააკაშვილისა ვერაფერი გავიგე, ხან შეიარაღებულ რუს ჯარისკაცებს თითის ქნევით ერეკება, ხან დაბომბვის დროს კურდღელივით გამორბის. ხან მწვადი ურჩევნია, ხან ჰალსტუხი. თუმცა, ჩვენც ასე არა ვართ: გამსახურდიას შემდეგ შევარდნაძეს ვირჩევთ, სააკაშვილის მერე - გრეჩიხას?!

- ნდობის დეფიციტი ძეხვის დეფიციტზე მწვავე ყოფილა, ბატონებო! პირადად მე, ვაი-ვაგლახით გამაქვს თავი, მაგრამ არც სხვისი მშურს და არც გაჭირვების მრცხვენია. აი, უნდობლობა კი მაცოფებს. არადა, ამ უნდობლობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ: გამყიდველისგან, დალაქისგან, მძღოლისგან, მეზობლისგან... მე ხომ არც მთავრობა ვარ და არც სასამართლო... უნდობლობა და ეჭვი თვითგადარჩენის ინსტიქტად და იარაღად ქცეულა, ნდობა და ადამიანის რწმენა სირცხვილად და გოიმობად ითვლება ქვეყანაში;

- მე ნეიტრალიტეტის მომხრე ვარ. არც ჩრდილოეთი, არც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი! რატომ არ შეიძლება რომ ჩრდილში დავრჩეთ, მზე ხომ მაინც გვაქვს ჩვენი, ღვთის წყალობით;

- "ყველა ყველას წინააღმდეგ" - ეს უფრო შეეფერება ჩვენს გერბს, უფრო ასახავს ჩვენს რეალობას;

- პროექტი მაქვს: დავგრიხოთ ერთი გრძელი ბაწარი და ბაგირის გადაწევით ჩავატაროთ ღია და პირდაპირი არჩევნები, რეფერენდუმები. არჩევნებიდან არჩევნებამდე კი, ბაწრის გრეხვაზე დავსაქმდეთ, თან ხელფასიც დავინიშნოთ. ჟიურიც იაფი დაგვიჯდება და შედეგსაც ყველა თავისი თვალით იხილავს, ბიულეტენების თვლა აღარ დაგვჭირდება;

- ობამა მარტო პირველი შავკანიანი პრეზიდენტი კი არ იქნება, პრეზიდენტებში პირველად იცხოვრებს თეთრ სახლში სიდედრთან ერთადო, - ტელევიზორში თქვეს. ამერიკელებს თუ სიდედრიც ჰყავდათ, ეგ სულ არ მიფიქრია;

- მინისტრი პატიოსნებით კი არ უნდა ფასობდეს, ეს ხომ სახელმწიფო მოხელისთვის აპრიორია, ამას კანონი უნდა არეგულირებდეს, მინისტრმა საქმე უნდა აკეთოს - იცოდეს რა არის გასაკეთებელი;

- ხელისუფლების ყველა კრიტიკოსს თავი მომავალ ხელისუფლად წარმოუდგენია. რატომაც არა, სანამ ძალაუფლება გაქვს, ფულსაც შოულობ და სახელსაც. მერე, თუ გაასწარი, ტერიტორიებიც რომ დაკარგო, უბატონოდ ხმას ვინ გაგცემს, ჩვენ ხომ ცივილიზებული ნაცია ვართ, "ყოფილების" რეზიდენციებიც კიდევ ბევრი გამოჩნდება. თუ არა და, დურთავ თავს და სადმე შეაფარებ, ფულით მოსკოვშიც იცხოვრებ, ლონდონშიც და ლევილშიც. როგორც ვიცი, ეგ მამული ნაყიდი გვაქვს;

- 23 ნოემბერს ვზეიმობთ თუ ვგლოვობთ? მოდი, როგორც გრეჩიხა გვპირდებოდა, რუსთაველზე ერთი საერთო სუფრა გავშალოთ და გიორგობა აღვნიშნოთ. რამდენი ხანია, კარგ ქეიფში არ ვყოფილვარ;

- ერთი თბილისელი უკრაინელი ქალი მეუბნებოდა, გუშინ "რასკლადუშკა" შემომთავაზეს, კარგი იყო, მაგრამ ძვირი, მატრასით მეტიც უნდოდაო; საბავშვო ბაღის დარაჯი ყიდდა, ლტოლვილების დახმარებააო - არ გრცხვენიათ ხალხო?!

- დევნილებს უნდა დავეხმაროთ ერთად და, რაც მთავარია, ორგანიზებულად. სამინისტრო იმისთვისაა სწორედ, რომ დაგეგმოს, ხოლო შედეგი ხალხს უნდა მიაწოდონ. კობა სუბელიანის იმედი მაქვს;

**P.S. შემდეგი წრის თემა "განათლება".**

# ამნისტიის კანონი მიღებულია

*ამნისტიის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით ერთხმად მიიღო.*

კანონში მხოლოდ ერთი ცვლილება შევიდა. ამნისტია შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლსაც, რაც კომერციულ მოსყიდვას გულისხმობს.

მას შემდეგ, რაც კანონს ხელს პრეზიდენტი მოაწერს, იგი ამოქმედდება და წინასწარი ინფორმაციით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება 12 081 ათასამდე პირი - დანაშაულში ეჭვმიტანილები, ბრალდებულები, განსასჯელები და მსჯავრდებულები.

ამნისტია შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებს: 124-ე, 128-ე, 129-ე, 191-ე, 193-ე, 195-ე, 196-ე, 203-ე, 204-ე(1), 207-ე, 211-ე, 213-ე, 216-ე, 219-ე, 221-ე, 243-ე, 259-ე, 279-ე, 301-ე, 303-ე, 305-ე, 344-ე, 344(1)-ე, 347-ე, 357-ე, 360-ე, 361-ე, 384-ე, 385-ე, 386-ე, 387-ე მუხლებს. 118-ე მუხლის პირველ ნაწილს, 187-ე მუხლის პირველ ნაწილს, 188-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს, 192-ე მუხლის პირველ ნაწილს, 197-ე მუხლის პირველ ნაწილს, მე-200 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს, 239-ე მუხლის პირველ ნაწილს, 246-ე მუხლის პირველ ნაწილს, 276-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებს, 284-ე მუხლის პირველ ნაწილს და 304-ე მუხლის პირველ ნაწილს.

პასუხიმგებლობისგან თავისუფლდებიან 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გასამართლებული არასრულწლოვნები. სასჯელი გაუნახევრდებათ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებულ პირებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის არასრულწლოვნები იყვნენ.

სასჯელის მოუხდელი ნაწილი უნახევრდებათ: სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-200(1) მუხლის პირველი ნაწილით, მე-200(2) მუხლის პირველი ნაწილით, 220-ე მუხლით, 272-ე, 273-ე მუხლით, 276-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით, 284-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 363-ე მუხლის პირველი ნაწილით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 261-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით მსჯავრდებულ პირებს.

ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ამნისტიის კანონით გათვალისწინებული დანაშაულები ჩაიდინეს 2008 წლის 15 ოქტომბრამდე.

12 081 პირიდან 3025-ი მსჯავრდებულია, 847-ს განსასჯელი, 5 976 პრობაციონერი, ხოლო 2 233 ბრალდებული.

# ქუთაისის ციხეში პატიმრები შიმშილობენ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

*ქუთაისის N2 საპყრობილესა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 40-მდე პატიმარი შიმშილობს, რომლებიც ნარკოტიკების დიდი ოდენობის შენახვა-რეალიზაციის ბრალდებით (სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები) არიან გასამართლებული. მათი მოთხოვნაა, ამნისტია გავრცელდეს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებზეც.*



ბესო გულაშვილის ფოტო

*პატიმრები ამნისტიის კანონზე მუხლების დამატებას ითხოვენ.*

მოშიმშილეებმა ამ მოთხოვნით საქართველოს პარლამენტსა და სახალხო დამცველის ოფისს მიმართეს.

**"მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმას და მოვითხოვთ, ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი და სახალხო დამცველი სოზარ სუბარი პირადად შეგვხვდეს, რათა ჩვენი საქმეების გადახედვა მოხდეს,"** - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს 36 პატიმარი აწერს.

შიმშილობა ქუთაისის ციხეში 17 ნოემბერს 52-მა პატიმარმა დაიწყო. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ორ დღეში 11-მა მათგანმა შიმშილობა შეწყვიტა.

**"დანარჩენი მოშიმშილეები მიუთითებენ, რომ შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ, ვიდრე მათი ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული,"** - ამბობს სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე. სახალხო დამცველის წარმომადგენლები მოშიმშილე პატიმრებს 19 ნოემბერს შეხვდნენ. პატიმრებმა მათ განცხადება გადასცეს და სთხოვეს, იგი საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს გააცნონ.

**"საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მრავალგზის დაპირების მიუხედავად, რომ შეიცვლება კანონი და ნარკომანია აღიარებული იქნება დაავადებად, ისე როგორც ეს ევროპულ და ცივილიზებულ ქვეყნებშია, ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. კანონპროექტი, რომელიც დღემდე დევს პარლამენტში და გადადის კომიტეტიდან კომიტეტში, რატომღაც ჯერჯერობით ვერ მიიღეს,"** - ნათქვამია პატიმრების განცხადებაში.

სახალხო დამცველის რწმუნებულის მადონა ბასილაძის თქმით, ამნისტია ქუთაისის ციხეში მოშიმშილე პატიმრებს არ შეეხებათ.

**"ამნისტია ნარკოტიკების მოხმარებისთვის მსჯავრდებულებს (სსკ 273-ე მუხლი) და 260-ე მუხლის პირველ ნაწილს - მცირე ოდენობით ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციას ეხება. ეს ადამიანები კი 260-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით არიან გასამართლებული,"** - ამბობს მადონა ბასილაძე.

პატიმრები ამბობენ, რომ ისინი მომხმარებლები არიან და ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელიც მათ დაკავების მომენტისთვის აღმოაჩნდათ, მოხმარების მიზნით ჰქონდათ შეძენილი, ან დაკავების დროს ჩაუდეს. პატიმრები თავს ავადმყოფებად მიიჩნევენ, რის გამოც, მათი მდგომარეობის გათვალისწინებასა და სასჯელისგან გათავისუფლებას ითხოვენ.

**"ეს ამნისტია სულაც არ არის ისეთი მასშტაბური და გრანდიოზული, როგორც ამას წარმოაჩენენ. მაგალითად, ის პატიმრები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარება-რეალიზაციისთვის სასჯელს იხდიან და ამნისტია ეხებათ, კი არ თავისუფლდებიან პატიმრობიდან, არამედ მხოლოდ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ვადა უნახევრდებათ,"** - ამბობს მადონა ბასილაძე.

ბოლო ორი კვირის მანძილზე ქუთაისის ციხეში პატიმრებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას უკვე ორჯერ მიმართეს. თავდაპირველად, შიმშილობა იმ 29 პატიმარმა გამოაცხადა, რომლებსაც პროკურატურა ხონის კოლონიიდან გაქცევის ორგანიზებას ედავება. ამჯერად ქუთაისის ციხეში 41 მსჯავრდებული შიმშილობს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განაცხადა, რომ **"ამ დროისთვის ქუთაისის მე-2 საპყრობილეში რამდენიმე პატიმარი შიმშილობს, თუმცა არა - ათეული. როდესაც ერთი პატიმარი შიმშილობდა, არასამთავრობოები ამბობდნენ, რომ 60 შიმშილობსო. იყო შემთხვევა, როდესაც 2 შიმშილობდა და 600-ს ასახელებდნენ,"** - განაცხადა მახარაძემ.

მისივე თქმით, პატიმრებს, რომლებიც ქუთაისის ციხეში 260-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებზე ამნისტიის გავრცელების მოთხოვნით შიმშილობენ, შეღავათი არ შეეხებათ.

**"ეს ნაწილები დამამძიმებელ გარემოებებში ნარკოტიკების შენახვას, გადაზიდვას და გასაღებას ეხება. მათ ძალიან დიდი სასჯელები აქვთ. თუ მაინც გააგრძელებენ შიმშილობას, ეს მათი ნებაა,"** - განაცხადა სალომე მახარაძემ.

## დისკრიმინაციის აკრძალვის თემა სახალხო დამცველის ოფისში

24-25 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების დისკრიმინაციის თემაზე ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა გაიმართება.

24 ნოემბრის ტრენინგის ძირითადი თემა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად დისკრიმინაციის აკრძალვა იქნება. რელიგიურ, გენდერულ და სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე მომხდარი დისკრიმინაციის საკითხებს განიხილავენ. ასევე, რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისიისა და დისკრიმინაციის საკითხებზე ევროპული სოციალური ქარტიის რეკომენდაციებს.

25 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე კი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დისკრიმინაციის თემაზე შემოსულ საჩივრებს და ასეთი ტიპის საჩივრების წარმოების შესახებ სხვა ქვეყნების პრაქტიკას განიხილავენ.

ტრენინგს ორი უცხოელი ექსპერტი - მარეკ ნოვიცკი, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ყოფილი წევრი და გაერო-ს მიერ დანიშნული კოსოვოს საერთაშორისო ომბუდსმენი 2000-2005 წლებში, და მარკ უილერსი, ადვოკატი, დიდი ბრიტანეთის გარდენ ქორთის პალატის წევრი წარმართავენ. სამუშაო შეხვედრას კი მარეკ ანტონი ნოვიცკი გაუძღვება.

ღონისძიება სახალხო დამცველის ოფისის და ევროპის საბჭოს ორგანიზებით ხორციელდება. მას დანიის მთავრობა აფინანსებს.

სახალხო დამცველის ოფისის და ევროპის საბჭოს თანამშრომლობა 2008 წლის თებერვალში დაიწყო, პროექტი ორწლიანია. პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სხვადასხვა სახის ტრენინგები და სემინარები გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თურქეთში ქართველი მოკლეს

თურქეთში მოკლული ქართველი თბილისში ჩამოასვენეს.

31 წლის სამსონ წულაძე სტამბულში 19 ნოემბერს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

მკვლელობის ზუსტი მიზეზი ამ დროისთვის დაუდგენელია. ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა ხელფასის თაობაზე შელაპარაკებას მოჰყვა. წულაძის ახლობლების თქმით, დამქირავებელი მას 500 დოლარს არ აძლევდა. ცნობილია მკვლელის ვინაობაც - თურქეთის მოქალაქე იაშინ ახარია, რომელიც ჯერ არ დაუკავებიათ. იგი იძებნება.

წულაძე ორი წელი თურქეთში ცხოვრობდა და ერთ-ერთ სასტუმროში მუშაობდა. **ინტერპრესნიუსი**

## იურიდიული დახმარების სამსახური დამოუკიდებელი იქნება

იუსტიციის სამინისტროს კიდევ ერთი საქვეუწყებო დაწესებულება, იურიდიული დახმარების სამსახური გამოეყოფა. პროკურატურის შესახებ კანონის გარდამავალ დებულებაში აღნიშნულია, რომ იუსტიციის სამინისტრომ 2009 წლის 1 მარტამდე უნდა უზრუნველყოს კანონის პროექტის მომზადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილის განსაზღვრის მიზნით.

ეს საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც იუსტიციის სამინისტროში პროკურატურა შევიდა, რომელიც სახელმწიფო ბრალდებას ახორციელებს. ასეთ სიტუაციაში იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც პროკურატურის მიერ დაკავებული ადამიანების ინტერესებს იცავს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში ვერ დარჩებოდა.

ამჟამად შესაბამისი ადგილის განსაზღვრამდე და კანონის მიღებამდე იურიდიული დახმარების სამსახური იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაშია. ამ სამსახურში 90 ადვოკატია, რომლებიც ბრალდებულების, განსასჯელების და მსჯავრდებულების ინტერესებს იცავენ.

იურიდიული დახმარების სამსახური 2007 წელს სახაზინო ადვოკატის ბაზაზე შეიქმნა. **საკუთარი ინფორმაცია**

## ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის გვანცა გუგეშაშვილის რეკომენდაციით, ბრალდებული წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ქურდობის ბრალდებით დაკავებულ გრიგოლ ს.-სთვის ბრალდების მხარე, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. საზოგადოებრივმა ადვოკატმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სათანადო მტკიცებულებები არ არსებობდა და მას წინასწარი პატიმრობა არ უნდა შეფარდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლემ ადვოკატის მოთხოვნა დააკმაყოფილა და გრიგოლ ს. სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. **ინტერპრესნიუსი**

## პროექტი "დახმარება საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტისთვის"

რეგიონული პროექტის "დახმარება საქართველოს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტისთვის" ფარგლებში პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც შსს-ს პრესსამსახური იუწყება, ცერემონიის შემდეგ, საფრანგეთის მხარის მიერ აღჭურვილობის კომპლექტი (რეაგირების სპეცტანსაცმელი, პირველადი დახმარების ჩემოდნები) ოფიციალურად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტს გადაეცემა. აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები: ეკატერინე ზღულაძე, შალვა ჯანაშვილი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში და შიდა უსაფრთხოების ატაშე. **ინტერპრესნიუსი**

## მეკობრეების ტყვე ქართველები გაათავისუფლეს

სომალელმა მეკობრეებმა ტყვეობიდან გაათავისუფლეს ლიბერიის დროშის ქვეშ მცურავი გემი "ჯენიუსი", რომლის ეკიპაჟის შემადგენლობაში საქართველოს ექვსი მოქალაქეც იყო.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა ეთერ ყამარაულმა განაცხადა, მეკობრეებთან მიღწეული იყო შეთანხმება, რომ გემს 20 ნოემბერს, გამოსასყიდი თანხის გადაცემის შემდეგ გაათავისუფლებდნენ.

მისივე ინფორმაციით, 25 ნოემბერს "ჯენიუსი" დუბაიში შევა, სადაც საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს კონსული დახვდება.

ყამარაულის თქმით, ექვსივე ქართველის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მათ რეაბილიტაციისთვის საქართველოში ჩამოსვლა შეუძლიათ, თუმცა გადაწყვეტილებას მეზღვაურები ინდივიდუალურად მიიღებენ.

"ჯენიუსი" მეკობრეების ტყვეობაში ერთ თვეზე მეტი იმყოფებოდა. გამტაცებლებთან მოლაპარაკებას გამოსასყიდი თანხის შესახებ გემის მფლობელი კომპანია აწარმოებდა. **ინტერპრესნიუსი**

## ბათუმში ქალაქის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე დააკავეს

ბათუმში, ერას ქუჩაზე ქალაქის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ბადრი ქაჯაია დააკავეს. ბადრი ქაჯაიას დაკავება, გავრცელებული ინფორმაციით, ნარკოტიკებს უკავშირდება. ადგილობრივი სამართალდამცველები ამ ვერსიას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. დაკავებას, რომელიც 20 ნოემბერს მოხდა, თვითმხილველებიც ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანია გაზეთ "ბათუმელების" ჟურნალისტი ნათია როყვა.

ჟურნალისტი ამბობს, რომ სპეცრაზმელებმა საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე დაკავებისას სასტიკად სცემეს. ბადრი ქაჯაიამ თანამდებობა საკუთარი სურვილით ერთი თვის წინ დატოვა. იგი აცხადებდა, რომ სამუშაოდ გადადიოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. **ინტერპრესნიუსი**

## სწავლება საჯარო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლებისთვის

იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოს თანამშრომელთათვის ორდღიანი სწავლება დაიწყო თემაზე: "უძრავი ნივთების რეგისტრაცია."

როგორც იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, სემინარზე ყველა იმ პრობლემურ საკითხს განიხილავენ, რომელიც უძრავი ქონების რეგისტრაციისას წარმოიშობა.

ექსპერტებად მიწვეული არიან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგისტრაციის და კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ნინა გერსამია, სააგენტოს იურიდიული სამსახურის იურისტი იაგო ხვიჩია და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის განყოფილების უფროსის მოადგილე ლაშა ექიზაშვილი. **ინტერპრესნიუსი**

## ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს. შსს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებული არიან 46 წლის ვაჟა დიასამიძე, რომელსაც ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 13,43 გრამი "ჰეროინი" აღმოაჩნდა, 32 წლის ავთანდილ ბერიძე, რომლისგანაც ამოღებულია 5 წონაკი "ჰეროინი" და 31 წლის გოჩა მელიქაძე, რომელსაც 2 წონაკი "ჰეროინი" აღმოაჩნდა.

ყველა ფაქტთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით აღიძრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დეზერტირობაში ბრალდებულთან საპროცესო გარიგება გაფორმდება

*გამოძიება დეზერტირობის ბრალდებით დაკავებულ, სოფელ ურბნისში მცხოვრებ ჯარისკაც ლევან ხანიშვილთან საპროცესო გარიგების გაფორმებას აპირებს.*
*როგორც სააგენტო "ინტერპრესნიუსს" ხანიშვილის ადვოკატმა ბესო კაიშაურმა განუცხადა, 25 ნოემბერს, გორის სასამართლოში დაგეგმილია სასამართლო სხდომა, სადაც საპროცესო გარიგება საბოლოოდ გაფორმდება.*

რამდენიმე დღის წინ თბილისში, სოფელ ურბნისში მცხოვრებმა ჯარისკაცის მამა ილია ხანიშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და შვილების მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა.

როგორც ილია ხანიშვილმა განაცხადა, მისი ორივე შვილი ომში იბრძოდა, თუმცა ბრძოლის დასრულების შემდეგ, სამართალდამცველებმა ერთი დეზერტირობის ბრალდებით დააკავეს, მეორეს კი 14-ათასიანი ჯარიმის გადახდა დააკისრეს.

ჯარისკაცების მამის თქმით, უფროსი ვაჟი - ლევან ხანიშვილი იმ მიზეზით დააკავეს, რომ ვაზიანში იარაღი ორი დღის დაგვიანებით ჩაიტანა.

**"ლევანის ბატალიონის ასმეთაური, ვინმე ამონაშვილი, იარაღის ვაზიანში ჩატანას დაჟინებით მოითხოვდა, თუმცა ქართველი ჯარისკაცი რუსების ბლოკპოსტებზე იარაღს როგორ გაატარებდა, გაურკვეველი იყო. ჩემი შვილი მხოლოდ ორი დღის დაგვიანებით, 27 აგვისტოს ურბნისის ეკლესიის მოძღვრის, მამა ლევანის დახმარებით ჩავიდა ვაზიანში და იარაღი ჩააბარა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დააკავეს დეზერტირობის ბრალდებით და 5-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება,"** - ამბობს ილია ხანიშვილი.

როგორც ადვოკატი ბესო კაიშაური ირწმუნება, პროკურატურასთან შეთანხმებით, ლევან ხანიშვილს საპროცესო გარიგების საფუძველზე სასჯელი წელიწადნახევრით განესაზღვრება.

**"მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს, იძულებული ვართ საპროცესო გარიგებაზე დავთანხმდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას 5-10 წლამდე სასჯელი ემუქრება. ჩვენ შევეძლო, მის გამართლებაზე გვებრძოლა, მაგრამ ამ სასამართლოს პირობებში ამას აზრი არ აქვს,"** - განაცხადა კაიშაურმა.

მისივე თქმით, საქმეში არის მეთაურების ჩვენებები, სადაც აღნიშნავენ, რომ ხანიშვილი ნაწილიდან, უკან დახევის ბრძანების მიღებიდან ორი საათით ადრე წამოვიდა. ამასვე ადასტურებენ ოფიცრებიც.

**"ეს ტყუილი ჩვენებებია. მე შემეძლო, სხვა პირები დამეკითხა, რომლებიც ადასტურებენ, რომ ხანიშვილი უკან დახევის ბრძანებამდე არ წამოსულა, მაგრამ ამას აზრი არ აქვს,"** - ამბობს ადვოკატი.

ლევან ხანიშვილისგან გამოძიება პირველად 5 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმას და 2-წლიან სასჯელს ითხოვდა. თუმცა, იმის გამო, რომ ოჯახი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას განეკუთვნება და თანხის გადახდის საშუალება არა აქვს, საბოლოოდ, თანხის გადახდა მოეხსნა. ბრალდების და დაცვის მხარეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ მოთხოვნილი ორი წლის ნაცვლად, ჯარისკაცი ციხეში წელიწადნახევარს გაატარებს.

**"მერე ჯარისკაცის შეწყალებაზეც ვიზრუნებთ. საპატრიარქოს ხანიშვილის გათავისუფლების საკითხში დახმარების თხოვნით მივმართავთ,"** - განაცხადა კაიშაურმა.

რაც შეეხება ხანიშვილის მეორე შვილ ზურაბ ხანიშვილს, როგორც მამა აცხადებს, მას კონტრაქტი ძალით დაარღვევინეს და 14-ათას ლარიანი ჯარიმის გადახდა ემუქრება.

**"ამ ჯარიმას ოჯახი ვერანაირად ვერ გადაიხდის, ვინაიდან სოციალურად დაუცველები ვართ და ამის დამადასტურებელი მოწმობაც გვაქვს. ხელისუფლებას ძალიან ვთხოვ, რომ ჩემი შვილების მიმართ დევნა შეწყდეს და ისინი გამოუშვან. ჩემი ორივე ვაჟი ფრონტის წინა ხაზზე გავგზავნე. იმის მაგივრად, რომ გმირებად ეღიარებინათ, მათ მიმართ უკანონო დევნა დაიწყეს,"** - განაცხადა ჯარისკაცების მამამ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# მიმართვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს

*შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენლები საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს მიმართავენ და პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის დროული განხილვის უზრუნველყოფას სთხოვენ.*

"კაფე რუსთაველის" წარმომადგენლების ინფორმაციით, ამ თხოვნით კუბლაშვილს ორი დღის წინ მიმართეს.

პოლიციამ "კაფე რუსთაველი," რომელიც რუსთაველის N30-ში მდებარეობდა, 2007 წლის აგვისტოში დალუქა. არადა, საწარმოს აღნიშნულ კომერციულ ფართზე გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. კონტრაქტის გასვლამდე "კაფე რუსთაველი" მაინც დალუქეს, რაც კაფის ადმინისტრაციის მტკიცებით, კანონის დარღვევაა. სწორედ, ამიტომ მათ მართლმსაჯულებას მიმართეს.

როგორც საწარმოში აღნიშნავენ, 2008 წლის ივნისიდან დღემდე მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე არც ერთი სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა. 2008 წლის 20 ნოემბერს მოსამართლის მიერ სასამართლო განხილვა იყო დანიშნული, თუმცა მათთვის გაუგებარი მიზეზით მოსამართლის არყოფნის გამო, პროცესი კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო.

"კაფე რუსთაველის" წარმომადგენელმა 2008 წლის 30 ივნისს კუბლაშვილს წერილით ერთხელ უკვე მიმართა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2007 წლის თებერვლის დასაწყისში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ შპს "კაფე რუსთაველის" სარჩელი წარმოებაში მიიღო თბილისის საგადასახადო ინსპექციის წინააღმდეგ. თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე 2008 წლის 30 ივნისისთვისაც არ ჰქონდა განხილული.

წერილში ასევე იყო ხაზგასმული, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გაჭიანურებით "კაფე რუსთაველს" უმძიმესი მატერიალური ზიანი ადგება. წერილში მოთხოვნა იყო დაყენებული, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მისი კომპეტენციის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მირანდა ირემაძისთვის "კაფე რუსთაველის" სარჩელის დროული განხილვა დაევალებინა.

**"ერთ-ერთ ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა აღნიშნა, თითქოს "კაფე რუსთაველის" ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით ჩატარდა რვა სასამართლო სხდომა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ სასამართლო პროცესი გრძელდება და სასამართლო გადაწყვეტილებას დროულად მიიღებს,"** - აღნიშნულია "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელთა მიერ კუბლაშვილისადმი გაგზავნილ ახალ მიმართვაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

# საერთაშორისო კორპორაცია და უზენაესი სასამართლო თანამშრომლობას იწყებენ

*მსოფლიო ბანკის წევრი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) თანამშრომლობას იწყებს საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან. მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს ცოტა ხნის წინ მოეწერა ხელი. გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, 21-22 ნოემბერს, გუდაურში მრგვალი მაგიდა იმართება.*

როგორც უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურში აცხადებენ, IFC-სა და უზენაესი სასამართლოს ორგანიზებით გუდაურში ტარდება მრგვალი მაგიდა, სადაც შეიკრიბნენ მოქმედი მოსამართლეები და იმსჯელებენ საქართველოს სამეწარმეო კანონში შესული ცვლილებების შესახებ, ამასთან განიხილავენ კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის კუთხეს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს.

ეს რეკომენდაციები IFC-სა და უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემული იქნება სახელმძღვანელოს სახით და ხელმისაწვდომი გახდება ყველა მოქმედი მოსამართლისათვის.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გოგიშვილი აცხადებს, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიესალმება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლობის ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს, სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოსთან თანამშრომლობას, მოსამართლეთა გადამზადების კუთხით.

**"მოხარულნი ვართ, რომ ასეთი ინიციატივა გამოიჩინა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციამ. გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების პირველი შედეგები კი უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. მეწარმეთა შესახებ კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ერთობლივი სემინარი გუდაურში, სადაც მოწვეულნი არიან ექსპერტები, პრაქტიკოსი მოსამართლეები. ისინი იმსჯელებენ განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობასა და თითოეული ნორმის განმარტების საკითხზე, მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე,"** - განაცხადა გოგიშვილმა.

IFC-ს კორპორაციული მართვის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილის მაია თევზაძის თქმით კი, დისკუსიები ქარველ მოსამართლეებს და IFC-ს ექსპერტებს შორის ნათელს მოფენს სამეწარმეო კანონის მრავალ ასპექტს, რაც შემდეგ პრაქტიკულად გამოიყენება სასამართლო პროცესების მსვლელობისას.

IFC-ს კორპორაციული მართვის პროექტი ხორციელდება კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (CIDA) და BP-ს და მისი ნავთობისა და გაზის პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით.

# თავდაცვის პოლიტიკის მემკვიდრეობითობა

პირველი გვერდიდან

ყოფილი პრეზიდენტი საქველმოქმედო ფონდს ხელმძღვანელობს, რომელიც 20-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. ობამას გუნდი ყურადღებით სწავლობდა ბილ კლინტონის ფონდის ფინანსურ ოპერაციებსა და უცხოეთიდან მიღებულ შემოწირულობებს, რათა შემდგომში, ჰილარი კლინტონის თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში, რისკფაქტორი გამოერიცხათ. მათ დაინტერესებას განსაკუთრებით უცხოელი მეცენატების სია იწვევდა - ობამა შიშობდა, მათ შორის არ აღმოჩენილიყო ვინმე ისეთი, ვისი პოლიტიკაც ადმინისტრაციის მიზნების საწინააღმდეგოდ იქნებოდა მიმართული. გამოძიების პროცესში გაჩნდა ინფორმაციაც იმის შესახებ, რომ უცხოელ დონორთა შორის იყვნენ საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლები, მაროკოს მეფე, კუვეიტისა და კატარის მთავრობები. ზოგიერთი მონაცემებით, ფონდში ირიცხებოდა იმ ბიზნესმენთა თანხებიც, რომლებიც ყაზახეთისა და ჩინეთის ხელისუფლებასთან იყვნენ დაახლოებულნი. აღნიშნული ქვეყნების ხელისუფლებებს ჰილარი კლინტონი თავის წინასაარჩევნო კამპანიაში ადამიანთა უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდა.

ბოლო რვა წლის განმავლობაში ბილ კლინტონმა თავის ფონდში, დაახლოებით, 500 მლნ აშშ დოლარის აკუმულირება შეძლო, რომლის დიდი ნაწილიც საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის მშენებლობაში დაიხარჯა, ნაწილი აფრიკაში შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიასა და სხვა საქველმოქმედო პროექტებში ჩაიდო.

ბარაკ ობამას მეტოქე წინასაარჩევნო კამპანიაში და ამჟამინდელი სენატორი ნიუიორკიდან ჰილარი კლინტონი სახელმწიფო მდივნის თანამდებობას თუ დათანხმდება, იძულებული იქნება, სენატში მოღვაწეობის გაგრძელებაზე უარი თქვას. სენატორის რანგში იგი საერთაშორისო ურთიერთობებსა და თავდაცვის საკითხებზე მუშაობს.

ექსპერტთა თქმით, ყოფილ პირველ ლედის დიდი შანსი აქვს მართლაც მიიღოს ამერიკის პოლიტიკურ იერარქიაში რიგით მესამე პოსტი.

კლინტონის გარემოცვა ჯერჯერობით თავს იკავებს გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარისგან. მომავალი კარიერული აღმასვლის შესახებ ცნობა ასევე არ დაუდასტურებია და არც უარუყვია თავად ჰილარი კლინტონს.

სახელმწიფო მდივნის გარდა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობას - ნაციონალური უსაფრთხოების მინისტრის პოსტს ასევე ქალბატონი, იტალიური წარმოშობის ამერიკელი, არიზონას შტატის "დემოკრატი" გუბერნატორი ჯანეტ ნაპოლიტანო დაიკავებს. აღნიშნული უწყება ჯორჯ ბუშმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ჩამოაყალიბა.

იტალიური გამოცემა "კორიერე დელა სერას" თანახმად, 50 წლის ნაპოლიტანო ობამას ადმინისტრაციაში "ძლიერი მამაკაცის" პოზიციას დაიკავებს, რომელიც მზად არის, ამერიკის შეერთებული შტატები ტერორისტული საფრთხისგან დაიცვას. ნაპოლიტანოს დანიშვნა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, სხვა კანდიდატების დარად, მისი პოლიტიკური წარსულის ყურადღებით შესწავლის შემდეგ მოხდება. მედია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ ნაპოლიტანოს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ბილ და ჰილარი კლინტონებთან.

ბარაკ ობამა ნაციონალური უსაფრთხოების მრჩევლის თანამდებობაზე შესაფერის კანდიდატს, სავარაუდოდ, მალე შეარჩევს. აღნიშნულ პოსტზე ჯერჯერობით ჯიმ სტეინბერგისა და მადლენ ოლბრაიტის ყოფილი მოადგილის სიუზან რაისის კანდიდატურები განიხილება.

ახალი პრეზიდენტის გუნდის ფორმირებისას შეთავაზებულ თანამდებობაზე უარიც თქვა ერთ-ერთმა გავლენიანმა პირმა. ბარაკ ობამა ვაჭრობის მინისტრის პორტფელს ჩიკაგოელ მეწარმე პენი პრიცკერს სთავაზობდა. პენი პრიცკერი სასტუმრო "Hyatt"-ის ქსელის დინასტიის მემკვიდრეა. პრიცკერის თქმით, იგი ქვეყანას მეწარმის რანგში გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანს.

პრეზიდენტის უფროსი მრჩეველი დევიდ აქსელროდი იქნება, ლიზა ბრაუნი ადმინისტრაციის კადრების განყოფილების ხელმძღვანელი გახდება, გრეგ კრეიგი იურიდიულ საკითხებში მრჩეველი, ხოლო კრის ლიუ - მინისტრთა კაბინეტის მდივანი.

სოციოლოგიური სამსახურის "Gallup Media"-ის მიერ ჩატარებული კვლევებით, ამერიკელები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ქვეყნის ახალი პრეზიდენტის გუნდის ფორმირების პროცესს. სოციოლოგთა აზრით, ასეთი დიდი ინტერესი აფროამერიკელ პრეზიდენტზე დიდი იმედების დამყარების გარდა, იმითაც არის გამოწვეული, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბარაკ ობამამ პირველ პრესკონფერენციაზე, პრაქტიკულად, არაფერი თქვა თავისი ადმინისტრაციის სავარაუდო შემადგენლობაზე.

რაც შეეხება უშუალოდ ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკურ კურსს, არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ამჟამინდელი ადმინისტრაცია, პენტაგონის შეფ რობერტ გეითსის ხელმძღვანელობით, ბარაკ ობამას, სულ მცირე, ხუთი წლის ვადით ურჩევს სამხედრო ხარჯების ზრდის გაგრძელებას.

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯონ იანგის თქმით, პენტაგონის ბიუჯეტის ზრდის გარეშე რთული იქნება ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ომის წარმოება. 2010 წლის საფინანსო წლისთვის ქვეყნის ბიუჯეტის კონგრესში განსახილველად წარდგენა ახალ ადმინისტრაციას 2009 წლის 1 ოქტომბერს მოუწევს.

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ თავი შეიკავა, გაემხილა კონკრეტული თანხა, რასაც ბუშის კაბინეტი ობამას თავდაცვის ხარჯების გასაზრდელად სთავაზობს. თუმცა, როცა ჟურნალისტებმა 56 მლრდ აშშ დოლარის ოდენობა დაასახელეს, იანგმა მიუგო - **"რაღაც ამდაგვარი პრესაში მეც ამოვიკითხე."**

პრეზიდენტმა ბუშმა პენტაგონის 2009 წლის საფინანსო წლის ბიუჯეტისთვის 500 მლრდ აშშ დოლარზე მეტის გამოყოფა მოითხოვა. ამერიკას ერაყსა და ავღანეთში თავისი სამხედრო კამპანია წლიურად, დაახლოებით, 160 მლრდ აშშ დოლარი უჯდება.

ვაშინგტონის სტრატეგიული და საბიუჯეტო შეფასების ცენტრის მონაცემებით, თეთრ სახლში ჯორჯ ბუშის ყოფნის დროს ქვეყნის სამხედრო ხარჯები 60 პროცენტით გაიზარდა.

**"მე ვივარაუდებდი თავდაცვაზე ხარჯების ზრდის შენელებას... მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი შეკვეცა, როგორიც "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ მოხდა, არ განმეორდება. თუნდაც ამჟამინდელი ეკონომიკური პრობლემების ფონზე,"** - განაცხადა რობერტ გეითსმა მიმდინარე წლის სექტემბერში ვაშინგტონის ნაციონალური თავდაცვის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას.

# იუშჩენკოს ულტიმატუმი ტიმოშენკოს

*უკრაინის რუსეთის მიმართ გაზის დავალიანების თემა რუსეთ-უკრაინის, ასევე უკრაინის პრეზიდენტსა და პრემიერს შორის კონფლიქტის მიზეზი გახდა. მოსკოვი ფულს კიევისგან ითხოვს, პრეზიდენტი იუშჩენკო - პრემიერ ტიმოშენკოსგან. ტიმოშენკო კი აცხადებს, რომ უკრაინას გაზის დავალიანება არ აქვს.*

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ მთავრობას რუსული გაზის დავალიანების ხუთ დღეში დაფარვა დაავალა. ამის შესახებ მან გუშინ, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

მან აღნიშნა, რომ უკრაინის სახელმწიფო ნავთობკომპანია "ნაფტოგაზის" დავალიანების დაფარვა, რომელიც 2 მილიარდ დოლარს აღემატება, მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობაა. იუშჩენკომ განაცხადა, რომ მთავრობის პოლიტიკას გაზის სფეროში **"უკრაინა კოლონიზაციისკენ მიჰყავს", "ვინაიდან გაზი დიდი პოლიტიკაა".**

მისი თქმით, მთავრობამ დღემდე ვერ დაფარა ჯერ კიდევ 2008 წლის პირველი კვარტლის დავალიანება. იმავდროულად, აღნიშნა პრეზიდენტმა, რუსული გაზის საფასური 2009 წლისთვის, რომელიც ჯერ არ არის დადგენილი, **"უნდა იყოს ეკონომიკური, და არა პოლიტიკური",** ასევე, ეკონომიკური ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული რუსული გაზის ტრანზიტის საფასურის და რუსული შავი ზღვის ფლოტისთვის იჯარის გადასახადის დაწერსებისას.

20 ნოემბერს "გაზპრომის" ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან შეხვედრისას განაცხადა, რომ უკრაინული მხარის გაზის დავალიანება 2,4 მილიარდ დოლარს აღემატება და ის კიდევ იზრდება. მილერმა ასევე აღნიშნა, რომ კიევთან მოლაპარაკებებში პერსპექტივას ვერ ხედავს. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა "გაზპრომს" დაავალა უკრაინის ვალი **"ნებით ან იძულებით"** ამოიღოს.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო გუშინ იუშჩენკოს განცხადებას გამოეხმაურა. **"მიმაჩნია, პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ ის ვალები, რაზეც იგი საუბრობს, უკრაინის ვალები არ არის. ეს დავალიანება საშუამავლო კომპანია "როსუკრენერგოს" ეკუთვნის და წინა პერიოდებში დაგროვდა. უკრაინას კი "როსუკრენერგოსი" არაფერი მართებს",** - განაცხადა ტიმოშენკომ. მან იმედი გამოთქვა, რომ მისი მთავრობა გაზის სექტორში არსებული კორუფციის დაძლევას შეძლებს და **"პირდაპირ და გამჭვირვალე კონტრაქტებს"** გააფორმებს.

## რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ საკონსტიტუციო ცვლილებები დაამტკიცა

გუშინ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ მესამე მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო. ცვლილებები პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გაზრდას ითვალისწინებს. პრეზიდენტობის ვადა - 4-დან 6 წლამდე, ხოლო პარლამენტის 4-დან 5 წლამდე იზრდება. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ასეთი ინციატივით ნოემბრის დასაწყისში გამოვიდა. პარლამენტის ქვედა პალატაში ცვლილებების განხილვა გასულ კვირაში დაიწყო და დაჩქარებული ტემპებით დასრულდა.

ცვლილებებს დუმაში 392 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი ფრაქცია "კომუნისტების" 57 წევრი იყო. ქვედა პალატის მიერ მოწონებული კანონპროექტი განსახილველად ფედერაციის საბჭოს გადაეცემა, სადაც მას, სულ მცირე, სენატორების სამმა მეოთხედმა უნდა დაუჭიროს მხარი. **ინტერპრესნიუსი**

## შვედეთმა ლისაბონის ხელშეკრულებას მხარი დაუჭირა

შვედეთის პარლამენტმა ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. რატიფიკაციას 243 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 39 წინააღმდეგი წავიდა, ხოლო დაჩენილი 54 კანონმდებელი საერთოდ არ ესწრებოდა კენჭისყრას.

ამგვარად, ახალი ევროპული კონსტიტუციის პროექტს ევროკავშირის 27 ქვეყნიდან უკვე 24-მა დაუჭირა მხარი. ამის მიუხედავად, ლისაბონის ხელშეკრულებას კანონიერი ძალა რომ მიეცეს, ყველა წევრი-ქვეყნის თანხმობა სჭირდება.

ცნობისთვის - 2008 წლის ივლისში ირლანდიამ კანონის რატიფიკაცია არ მოახდინა, რადგან ეს საკითხი ქვეყანაში რეფერენდუმზე გაიტანეს, მოსახლეობა კი არაერთგვაროვნად, შეიძლება ითქვას, უკმაყოფილოდ შეხვდა საერთო კონსტიტუციის შემოღებას. გარდა ამისა, ხელშეკრულებას ჩეხეთის და პოლონეთის ხმები არ დამატებია. ჩეხეთში ამ საკითხს ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს, პოლონეთში კი, მართალია, პარლამენტმა მოიწონა კანონპროექტი, მაგრამ პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ჯერჯერობით ხელი არ მოუწერია.

ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროკონსტიტუცია უნდა შეცვალოს, რომელიც თავის დროზე ვერაფრით ვერ დამტკიცდა, რადგან დოკუმენტს საფრანგეთისა და ნიდერლანდების მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა. **მედიანიუსი**

## ბრიტანეთის დედოფალმა შიმონ პერესს რაინდის ტიტული უბოძა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ 20 ნოემბერს ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს რაინდის ტიტული უბოძა. საზეიმო ცერემონია ბუქინჰემის სასახლეში გაიმართა. პერესმა დედოფლის ხელთაგან მიიღო წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის დიდი ჯვარი. ეს ორდენი ბრიტანულ ორდენებში მეექვსეა და ლეკვერთხის, თავცეცხლას (ნარშავას), წმინდა პატრიკის, აბანოსი და ინდური ვარსკვლავის ორდენების კვალდაკვალ მოდის. ეს ჯილდო გადაეცემა პიროვნებას, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბრიტანეთთან და თანამეგობრობის ქვეყნებთან საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. კავალრებს შორის არიან აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტები რონალდ რეიგანი და ჯორჯ ბუში, ასევე "მაიქროსოფთის" დამაარსებელი ბილ გეითსი და ჯგუფ "იუთუს" სოლისტი ბონო. **მედიანიუსი**

## ჩინეთი ავარიული მაღაროების დახურვას აპირებს

ჩინეთი, ავარიების რიცხვის შემცირების მიზნით, უახლოესი ორი წლის განმავლობაში ექვსი ათას ნახშირმომპოვებელ მაღაროს დახურავს. ამ ზომების გაატრების შემდეგ ქვეყანაში ათი ათასზე მეტი მსგავსი მაღარო მაინც დარჩება.

2005 წლიდან დღემდე ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად, მაღაროელთა სიკვდილიანობა 20 პროცენტით შემცირდა. ამის მიუხედავად, მარტო შარშან გაუმართავ შახტებში დღეში, სულ ცოტა, 10 მაღაროელი იღუპებოდა. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მაღაროელთა სიკვდილიანობას მიწისქვეშ გავრცელებული დაავადებებიც უწყობს ხელს, ექსპერტთა აზრით, მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა. ქვეყნის ხელისუფლება იმ საწარმოთა შავი სიის შედგენას აპირებს, სადაც ავარიები ხშირია და მათი მეპატრონეებისთვის საბანკო რესურსების გადაკეტვას გეგმავს. ნავარაუდევია, რომ გათავისუფლდება ყველა ის ზემდგომი პირი, ვინც ამ სექტორის გამართულად მუშაობაზეა პასუხისმგებელი, თუკი მის დაქვემდებარებულ მაღაროში ავარია მოხდება და ამას ადამიანების დაღუპვა მოჰყვება. **მედიანიუსი**

## აშშ-მ გუანტანამოს ციხიდან ხუთი ტყვის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო

აშშ-ს ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გუანტანამოს სამხედრო ციხიდან გაათავისუფლოს ხუთი ალჟირელი, რომლებიც ტერორიზმში იყვნენ ეჭვმიტანილნი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად უკვე გათავისუფლებას დაქვემდებარებულმა ხუთმა ალჟირელმა გუანტანამოს სამხედრო ტყვეთა ბანაკში შვიდი წელიწადი გაატარა და მიუხედავად ამისა, მათთვის ბრალი შვიდი წლის განმავლობაში ოფიცილაურად არ წაუყენებიათ. ინფორმაციას ამის შესახებ "ასოშიეითიდ პრესი" ავრცელებს. როგორც გამოცემა დასძენს, აშშ-ს ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ გათავისუფლებას დაქვემდებარებული ხუთი ალჟირელიდან ერთ-ერთი შესაძლოა, ციხეში კიდევ ცოტა ხნით შეყოვნდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სასამართლოთი უკმაყოფილო ებრაელებმა ჯავრი მეჩეთზე იყარეს

ისრაელის სასამართლოთი უკმაყოფილო ებრაელებმა, რომლებსაც ჰებრონში დაკავებული სახლი დაატოვებინეს, მუსლიმური მეჩეთის გრაფიტიები სალანძღავი სიტყვებით შებღალეს, ხოლო სასაფლაოები დაარბიეს.

თვითმხილველთა თქმით, დაბის ერთ-ერთ მეჩეთზე წინასწარმეტყველ მუჰამედის სალანძღავი სიტყვები წუხელ გაჩნდა, წუხელვე, ახლომდებარე მუსულმანურ სასაფლაოზე ექვსქიმიანი დავითის ვარსკვლავებიც მიახატეს და არაბების შეურაცხმყოფელი ფრაზებიც არ დაიშურეს.

პალესტინელი ებრაელების გაღიზიანება ისრაელის სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომლის ძალითაც მათ საცხოვრებელი სახლის დატოვება მოუხდათ, სახლი კი პალესტინელ არაბს გადაეცა.

ებრაელები ამტკიცებდნენ, რომ სახლი 700 დოლარად ჰქონდათ შეძენილი, მაგრამ არაბმა დაამტკიცა, რომ ასეთი გარიგება საერთოდ არ მომხდარა და სახლიც დაიბრუნა.

კონფლიქტის მიზეზად ქცეული ოთხსართულიანი სახლი შარშან ათეულობით პალესტინელმა ებრაელმა დაიკავა და "მშვიდობის სახლი" უწოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰევბორნში ამჟამად 500 პალესტინელი ებრაელი და 170 ათასი არაბი ცხოვრობს. **მედიანიუსი**

## ტყუილების მსოფლიო ჩემპიონატში პოლიტიკოსებს და ადვოკატებს მონაწილეობა ეკრძალებათ

ხუთშაბათს ინგლისურ ქალაქ სენტონ ბრიჯში ყოველწლიური საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა ტყუილების თქმაში, - იუწყება "ბი-ბი-სი". გამარჯვება ტყუილების ბრიტანელ ოსტატს, 69 წლის ჯონ გრემს, მეტსახელად "ჯონი მატყუარას", მეშვიდედ ერგო წილად. შეჯიბრის პირობების თანახმად, თითოეულ მონაწილეს უნდა მოეყოლა ცრუ ისტორია, რომელსაც კომპეტენტური ჟიური შეაფასებდა.

კონკურსის ისტორია სათავეს მე-19 საუკუნეში იღებს, როდესაც კამბრიის ოლქში მცხოვრები მემამულე უილ რიტსონი სხვადასხვა სახის მოგონილი ისტორიებით ტავერნებში ხშირად ართობდა ადგილობრივებს. ეს შეჯიბრებაც სწორედ მის ხსოვნას ეძღვნება.

ტრადიციისამებრ, პაექრობა ბარ "ბრიჯ ინში" იმართება. თითოეულ მონაწილეს თავისი გამოსვლისთვის და ყველაზე დამაჯერებელი ცრუ ისტორიის მოსაყოლად ხუთი წუთი ეძლევა. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსებს და ადვოკატებს კონკურსში მონაწილეობა ამ საქმეში "საკმაოდ დიდი პრაქტიკის" გამო არ შეუძლიათ.

წელს მთავარი მატყუარის წოდებისთვის ბრძოლა ძალზე დაძაბულად წარიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ როგორც გამობრძმედილი ვეტერანები, ისე ახალბედები. კონკურსი ღია იყო ყველა მსურველისთვის, ვინც შესასვლელ ბილეთს იყიდდა. გამარჯვებულს, თასის გარდა, გადაეცემოდა ფულადი ჯილდო და ჰალსტუხი წარწერით - "მსოფლიოს ყველაზე დიდი მატყუარა."

"ჯონი მატყუარამ", რომელიც კონკურსში 1990 წლიდან მონაწილეობს, თავისი მეშვიდე ჯილდო შოტლანდიის გარშემო ნაგვის ურნაში მოგზაურობის შესახებ მოყოლილი ისტორიისთვის მიიღო. "მე უკვე თითქმის ოცი წელია, ამ ტურნირში ვმონაწილეობ, მაგრამ დღევანდელი გამარჯვება ისე მიხარია, თითქოს პირველი იყოს," - განაცხადა ტურნირის გამარჯვებულმა. **საკუთარი ინფორმაცია**

# ირანს ატომური ბომბის შესაქმნელად საკმარისი ბირთვული საწვავი აქვს

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) ხელმძღვანელ მუჰამედ ელ-ბარადეის ახალი მოხსენების თანახმად, ირანმა უკვე მიიღო 630 კილოგრამი ბირთვული საწვავი. როგორც ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, ბირთვული საწვავის ეს რაოდენობა ერთი ატომური ბომბის შესაქმნელად საკმარისი იქნებოდა. რუსი და ევროპელი სპეციალისტები კი, თავის მხრივ, აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში ირანელებს საერთაშორისო ინსპექტორების ქვეყნიდან გაძევება მოუწევდათ, რათა ურანის შემდგომი გადამუშავება გაეგრძელებინათ. ამასთან, ოფიციალურმა თეირანმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ აესსთან თანამშრომლობას გააგრძელებს.



27 ნოემბერს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო მუჰამე ელ-ბარადეის ანგარიშს მოისმენს.

ელ-ბარადეის მოხსენება ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ოფიციალურად მისი გამოქვეყნება 27 ნოემბერს აესს-ის მმართველთა საბჭოს სხდომაზეა დაგეგმილი. თუმცა, ოთხგვერდიანი დოკუმენტის შინაარსი უკვე ცნობილია.

ანგარიშის თანახმად, თეირანმა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სამი რეზოლუციის მოთხოვნების მიუხედავად, არათუ შეაჩერა თავისი ბირთვული პროგრამა, არამედ განაგრძობს მის განვითარებას. ირანი საერთაშორისო ინსპექტორებს გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს და ურანის გასამდიდრებელი ახალი მოწყობილობის ამუშავებას გეგმავს.

ელ-ბარადეის მოხსენების ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია, რომ აესს-ს პრაქტიკულად არ გააჩნია ინფორმაცია ირანელების მიერ ბირთვული იარაღის კომპონენტების კონსტრუირებასა და წარმოებაზე ან ფიზიკურ გამოკვლევებზე. ელ-ბარადეი აღნიშნავს, რომ სააგენტომ ამ გამოკვლევების შესახებ ბირთვული მასალების გამოყენების ფაქტები ვერ დაადგინა.

თუმცა, ამერიკელ ექსპერტებს აშფოთებთ საშიში მასალების რაოდენობა, რომელსაც ირანელები უკვე ფლობენ. საუბარია 630 კილოგრამ მცირედ გამდიდრებულ ურანზე, რომელიც ირანელებმა ნათანზას ბირთვულ ქარხანაში მიიღეს.

ბირთვული ფიზიკის სფეროში წამყვან ამერიკელ სპეციალისტ რიჩარდ გარვინის თქმით, რომელიც წყალბადის ბომბის შექმნაში მონაწილეობდა, ბირთვული საწვავის ეს რაოდენობა ერთი ატომური ბომბის დასამზადებლად საკმარისია. ამასთან, "ნიუ იორკ თაიმზთან" ინტერვიუში გარვინმა განაცხადა, რომ ირანელებმა ურანის გამდიდრება ისწავლეს, მაგრამ უცნობია, შეძლებენ თუ არა ისინი თავად ბომბის შექმნას.

რუსი და ევროპელი ექსპერტები თავიანთ შეფასებებში შედარებით ფრთხილები არიან. კურჩატოვის ინსტიტუტში "ნეზავისიმაია გაზეტას" განუცხადეს, რომ ირანელებს, ერთი ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობისთვის საჭირო 25 კილოგრამი მაღალგამდიდრებული ურანის მისაღებად, დაახლოებით, ერთი ტონა მცირედ გამდიდრებული ურანი დასჭირდებოდათ. ამასთან, ირანელები წააწყდებოდნენ ტექნიკურ პრობლემებსაც - მათ მოუწევდათ კასკადების კონფიგურაციის შეცვლა ცენტრიფუგებში, რომლებიც აქამდე ურანს ატომური ელექტროსადგურების რეაქტორებისთვის საჭირო საწვავის მისაღებად ამდიდრებდნენ.

თავის მხრივ, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და კონტროლის პროგრამა SIPRI-ის (სტოკჰოლმი) ხელმძღვანელმა შენონ კაილმა "ნეზავისიმაია გაზეტასთან" ინტერვიუში, ფაქტობრივად, რუსი ფიზიკოსების დასკვნები დაადასტურა და განაცხადა, რომ ირანელებს ბომბის შესაქმნელად 700 კილოგრამიდან ერთ ტონამდე მცირედ გამდიდრებული ურანი დასჭირდებოდათ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ირანელები მცირედ გამდიდრებული საწვავის გადამუშავებას გადაწყვეტდნენ, მათ ორი გზა ექნებოდათ: ან დატოვებდნენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებას, ქვეყნიდან გააძევებდნენ აესს-ის ინსპექტორებს და ურანის გამდიდრებაზე მუშაობას გააგრძელებდნენ, ანდა სააგენტოს მიერ კონტროლირებად მცირედ გამდიდრებულ ურანს მოიპარავდნენ და მას ირანის რომელიმე საიდუმლო ობიექტზე გაამდიდრებდნენ. "ვფიქრობ, ამერიკელი ანალიტკოსები ცოტათი აზვიადებენ," - განაცხადა კაილმა.

როგორც "ინთერნეშენალ ჰერალდ ტრიბუნი" წერს, ადრე ამერიკული დაზვერვა ირწმუნებოდა, რომ ირანი ატომური ბომბის შექმნას 2009 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში შეძლებდა. გასულ წელს კი გამოქვეყნდა სადაზვერვო სამსახურების მონაცემები, რომელთა თანახმად, 2003 წლის ბოლოს ირანმა ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა შეაჩერა.

იმავდროულად, ელ-ბარადეის მოხსენებაში გამოთქმულია შეშფოთება, რომ ინსპექტორები არ დაუშვეს არაქში მძიმე წყალბადის რეაქტორის მშენებლობაზე. აღნიშნული რეაქტორზე შესაძლებელი იქნება პლუტონიუმის მიღება, 8 კილოგრამი ეს ნივთიერება კი ატომური ბომბის შესაქმნელად საკმარისია. "**ირანელებს კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდებათ, რათა არაქის რეაქტორი აამუშაონ. ჯერჯერობით არ არსებობს მტკიცებულებები, რომ ქვეყანა ახორციელებს ექსპერიმენტებს, რაც შესაძლებელს გახდიდა არაქის რეაქტორზე გამოყენებული საწვავის გადამუშავებას,**" - განაცხადა კაილმა.

# პუტინი მხსნელის როლს თამაშობს და კრემლში დასაბრუნებლად ემზადება

ლორენ მიიო
"ტაიმ"

*"ედინაია როსიას" ყრილობაზე გამოსვლისას პრემიერ-მინისტრი რუსეთის მოქალაქეებს კრიზისის პირობებში დახმარების ზომების გატარებას დაჰპირდა. პრეზიდენტ მედვედევს შეუძლია, მას ადგილი დაუთმოს.*



AFP ' 2008
პუტინმა ერის მხსნელის როლი მოირგო

კრიზისი, როგორც "ბუნებრივი კატასტროფა", ბოლოს და ბოლოს, რუსეთსაც ეწვია. ხუთშაბათს ვლადიმირ პუტინმა პირველად აღიარა, რომ მისი ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკურმა კატაკლიზმმა სერიოზულად დააზარალა. პრემიერ-მინისტრმა თავისი პარტიის - "ედიანაია როსიას" ყრილობაზე გამოსვლისას რუსული საწარმოებისა და ქვეყნის მოქალაქეების დასაცავად ზომების მთელი სერია წარმოადგინა. ის ერის მხსნელის როლში გამოვიდა, რადგან გაცილებით გულახდილი იყო, ვიდრე ოდესმე.

ვლადიმირ პუტინის მიერ დაპირებულ ზომებს შორის გახლავთ 2009 წლის პირველი იანვრიდან საწარმოთა მოგების გადასახადის 24-დან 20 პროცენტამდე შემცირება, 2010 წლისთვის პენსიების, საშუალოდ, ორნახევარჯერ გაზრდა, უმუშევრობისთვის დახმარების გაზრდა და ა.შ. ამ კონტექსტში სრულიად ნათელი გახდა, რომ პრემიერი საზოგადოების შესაძლო მღელვარებისთვის ემზადება.

ჟურნალისტ იულია ლატინინას აზრით, იკვეთება მკაფიო სცენარი: კრიზისის გამწვავების შემთხვევაში რუსეთის ხელმძღვანელობას "განტევების ვაცი" დასჭირდება და ამ როლს ახალგაზრდა პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი საკუთარ თავზე აიღებს. შემდეგ კი "მხსნელი" ვლადიმირ პუტინი კრემლში თავის ადგილს კვლავ დაიკავებს. მედვედევი განმარტებას გააკეთებს, რომ მწვავე კრიზისის პირობებში ქვეყნის მართვის უნარი არ შესწევს, ამომრჩევლების მოლოდინი ვერ გაამართლა და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს. ახალი პრეზიდენტი კი უკვე 6 წლის ვადით აირჩევა.

როგორც პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ალექსეი მაკარკინი აღნიშნავს, "კრემლი და მთავრობა ძალიან ნერვიულობენ". მისი თქმით, რუსი ხელმძღვანელები უკვე დიდი ხანია, ამგვარ რთულ სიტუაციაში არ ჩავარდნილან, ყველა მიეჩვია ეკონომიკურ ზრდას. ახლა კი კრიზისის გამო მრავალი პრობლემა ამოტივტივდა: "მაგალითად, უცნობია, ვის მოუწევს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ხარჯების გაღება." დეპუტატ სერგეი მარკოვის თქმით, "გეგმა A"-ს თანახმად, მედვედევი უნდა დანერგილიყო რუსეთის პოლიტიკურ პეიზაჟში, ხოლო პუტინს ყველაფერი გაეკეთებინა, რათა სისტემას ფუნქციონირება გაეგრძელებინა. თუმცა, მარკოვის აზრით, გამორიცხული არც "გეგმა B" გახლავთ: თუ მედვედევი სიტუაციას თავს ვერ გაართმევს, იგი თავის კანდიდატურას შემდეგ არჩევნებზე აღარ დააყენებს და მას პუტინი შეცვლის.

# რევიუ

## შუამავალი დანაშაულსა და სიკვდილს შორის

### დიტო ცინცაძის "მედიატორი" ეკრანებზე გამოვიდა

ია ვეკუა




ხათია ჯიჯეიშვილის ფოტო

მკვლელობა, სისხლი, სექსი, იდუმალი წარსული და კიდევ უფრო იდუმალი აწმყო - ეს ის კომპონენტებია, რომლებიც დიტო ცინცაძის ახალ მხატვრულ ფილმს "მედიატორს" კრავს, აგურ-აგურ აგებს და ერთიან სხეულად ქცეული მაყურებლის წინაშე წარსდგება. ფილმი, რომლის ჩვენებაც კინოთეატრ "ამირანში" უკვე დაიწყო, მიმდინარე წლის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური კინოპროექტი იყო. მისი გადაღება ხმაურიანად დაიწყეს და ხმაურიანადვე დაასრულეს - ფილმი საქართველოდან "ოსკარის" შესაბამის ნომინაციაში მოსახვედრადაა წარდგენილი. არავინ იცის, მოხვდება თუ არა "მედიატორი" საუკეთესო ხუთეულში, მაგრამ თავად წარდგენის ფაქტი უკვე ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის წლის საუკეთესო ქართული ფილმია.

უკანასკნელი წლების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ 2008 წელი კინემატოგრაფის მხრივ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უხვმოსავლიანი იყო. მიმდინარე წელს კინოეკრანებზე ოთხი ქართული ფილმი გამოვიდა, რაც უკვე პრაქტიკულად რეკორდია. გაზაფხულზე მაშინვე ბესტსელერად ქცეული სოსო და ბადრი ჯაჭვლიანების "სვანი" ვიხილეთ. "სვანზე" დასწრებამ პრაქტიკულად ყველანაირი რეკორდი მოხსნა, თუმცა ფილმისადმი მაყურებელის ინტერესი უფრო მისმა ემოციურმა მხარემ განაპირობა, ვიდრე კინემატოგრაფიულმა ფაქტორმა. კიდევ ორი ფილმი: "სამი სახლი" და "იდიოტოკრატია" ჩვენს კინოთეატრებში ჯერ კიდევ გადის (არსებობს ალტერნატივაც - ინტერნეტში მოიძიეთ) და მათი შეფასება თავადაც შეგიძლიათ, თუმცა გზამკვლევის სახით ერთ მიმართულებას მაინც მოგცემთ: თუ გსურთ, საღამო მარტივი სიუჟეტითა და მსუბუქი იუმორით სავსე ფილმის ყურებაში გაატაროთ, მაშინ ავთო ვარსიმაშვილის "იდიოტოკრატიის" ბილეთები შეიძინეთ, ხოლო თუ თქვენი კინოგემოვნება გაცილებით დახვეწილია და გაქვთ პრეტენზია საინტერესო სიუჟეტთან ერთად კარგი ოპერატორული ნამუშევარი და სამსახიობო ანსამბლიც იხილოთ, მაშინ ზაზა ურუშაძის "სამ სახლს" გირჩევთ.

გაგრძელება A10 გვერდზე





ეიჩ ეს ბი სი ბანკი უკვე საქართველოშია

მომსახურების არეალი
10,000-მდე ოფისი 85 ქვეყანაში

მომხმარებელი
128 მილიონზე მეტი

ჯგუფის აქტივები
2,354 მილიარდი აშშ დოლარი

მის.: რუსთაველის გამზ. 15 ტელ.: 17 77 77

www.hsbc.ge

HSBC
თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში



## აფიშა

**22 ნოემბერი**

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
მცირე სცენა
"Play ანუ სიკვდილის როკვა"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

ექსპერიმენტული სცენა
ფიზიკური თეატრი ImproArt
"გიჟები"
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ზაფხულის ღამის სიზმარი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

თეატრი სხვენში
თითების თეატრი
"კედელი"
რეჟისორი ბესო კუპრაშვილი
დასაწყისი: 20.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
"სახლი საზღვარზე"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"ხანუმა"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"ძმები"
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრი**
"სალამურა"
დასაწყისი: 13.00
"ნაცარქექია და კონკია"
დასაწყისი: 15.00
"თითით საჩვენებელი"
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"რუსთაველი"**
"კოსმონავტი მაიმუნები"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30
"მკვლელობის უფლება"
დასაწყისი: 19.30; 21.30
"ჯეიმს ბონდი: შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00

**"ამირანი"**
"მარადონა"
დასაწყისი: 13.00; 15.30; 20.00; 22.00
"სამი სახლი"
დასაწყისი: 15.00; 17.00; 19.30; 21.30
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 12.45; 15.00

### გალერეა

**"ქარვასლა"**
კოკა რამიშვილის პერსონალური გამოფენა

**"ბაია გალერეა"**
"XX საუკუნე - საწყისი სივრცე"
ქართული მოდერნისტული მხატვრობა

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

**"აკადემია +"**
გიორგი აფციაური, გოგა ჯაფარიძე, კახა დემურაძე
"ქართლი" - ფერწერა, გრაფიკა, ობიექტი

**"კოპალა"**
ფოტოგამოფენა
"საქართველო იღებს მრავალფეროვნებას"

**"ვერნისაჟი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

**თიბისი ბანკის საგამოფენო დარბაზი**
კახა ჩხატარაშვილის პერსონალური გამოფენა

# შუამავალი დანაშაულსა და სიკვდილს შორის

პირველი გვერდიდან

არაერთი ღირსების მიუხედავად ეს უკანასკნელი რატომღაც ვერ აღმოჩნდა იმ სამეულში, რომლიდანაც სპეციალური კომისია ელდარ შენგელაიას, ნანა ჯანელიძის, ზურა ყიფშიძის, რობიკო სტურუასა და კოტე ჩლაიძის შემადგენლობით წელს "ოსკარზე" წარსადგენ ფილმს არჩევდა. სამეულში ძმები ჯაჭვლიანების "სვანი", ნანა ჯორჯაძის "ცისარტყელას შემქმნელი" და დიტო ცინცაძის "მედიატორი" შედიოდა. მართალია, "ოსკარის" წესების თანახმად მხოლოდ ეკრანზე გამოსული ფილმის წარდგენა და ნომინირება შეიძლება, სწორედ გუშინ გამოსული "მედიატორი" აღმოჩნდა იმ 70-მდე ფილმს შორის, რომლებიც "საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის" ნომინაციაში მოსახვედრად იბრძოლებენ.

"ფილმს "ოსკარის" ნომინაციაში მოსახვედრად 1,5 პროცენტიანი შანსი აქვს", - ასე იწყებს საუბარს პროდიუსერი გუკა რჩეულიშვილი, რომლის კინოსტუდია "სანგუკოსაც" "მედიატორის" გადაღება 2 მილიონი დოლარი დაუჯდა. ცხადია, თავმდაბლობა კარგი ტონია, მაგრამ ალბათ ასეთ დროს მეტი ამბიციაა საჭირო - მაყურებლის უმეტესობა ხშირად ეგება რეკლამით შელამაზებულ სატყუარაზე, ხოლო პრაქტიკულად უშანსო ფილმის ნახვისთვის კი თავსაც არ შეიწუხებს.

"მედიატორი" აკა მორჩილაძისა და დიტო ცინცაძის სცენარის მიხედვითაა გადაღებული - ზოგჯერ მისტიკურია, საიდუმლოებით მოცული პერსონაჟების სცენადაა ქცეული, ხანაც სასტიკია და სწორედ იმ რეალობის ერთგვარი ანარეკლია, რომელშიც ნებისმიერ ჩვენგანს ყოველდღიურად უწევს ცხოვრება. სიუჟეტი ერთი შეხედვით მარტივი, თუმცა საკმაოდ ჩახლართულია, რასაც დიტო ცინცაძის რეჟისურა, მისეული თხრობის მანერა განაპირობებს. თხრობა კი ფილმს არათანმიმდევრობითი, უფრო კი კალეიდოსკოპური აქვს, რომლის მცირე ნაწილები მაყურებელმა მთელი ფილმის მსვლელობისას უნდა აგროვოს და გონებაში ერთ მთლიანობად შეკრას. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც დარბაზიდან გამოსული მაყურებელი კვლავ განაგრძობს ფილმზე ფიქრს და ეკრანზე ნანახს სავარძელში არ ტოვებს.





*დიტო ცინცაძე და მერაბ ნინიძე*

**დიტო ცინცაძე:** "საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ბევრი უცნაური და ბინძური თამაში მიმდინარეობს, რომელთა შესახებაც ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს. მაგრამ ვინაიდან ეს თამაშები ჩვენი ცხოვრების ნაწილია, მათთან დამაკავშირებელი რაღაც რგოლი მაინც საჭიროა. სწორედ ამ რგოლს წარმოადგენენ მედიატორები, ადამიანები, რომლებიც ახდენენ გარიგებებს, ატარებენ მოლაპარაკებებს, ყიდულობენ, ყიდიან, ცვლიან. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა არის კონკრეტული გარიგების საგანი, რადგან დღეს მსოფლიოში ადამიანიდან დაწყებული ინფორმაციით დამთავრებული, ყველაფერი იყიდება. ამ ფილმით სწორედ იმ დინებების ზოგადი სურათი მინდოდა მეჩვენებინა, რომლებზეც ჩვეულებრივ ადამიანებს წარმოდგენაც არ გვაქვს. მინდოდა მაყურებლისთვის გამეცნო ის შუამავლები, რომლებიც სახიფათო თამაშებში ისე ერთვებიან, რომ არც იციან, ვინაა დამკვეთი. ჩემი აზრით, ფილმი ბევრ კითხვას ტოვებს, მაგრამ არ ისმის პასუხები, რადგან მათზე პასუხები არავინ იცის, მაყურებელს კი არჩევანის საშუალება რჩება. გარდა ამისა, კითხვებზე გაცემული პასუხები ფილმს ძალიან გააუბრალოებდა".

ფილმის სიუჟეტი თანამედროვე თბილისში ვითარდება. ხდება მკვლელობა. კლავენ უცხოელს. იგი საქართველოში საიდუმლო მისიით ჩამოვიდა. მუდამ შეშინებულია, დადარაჯებულია, თითქოს იცის, რომ ეს დღე მისთვის შესაძლოა ფატალურად დასრულდეს. ასეც ხდება და მომდევნო სცენაში მას უკვე პროზექტურის საკაცეზე მისვენებულს ვხედავთ. გარკვეულია სიკვდილის მიზეზი და დრო, გასარკვევი კი მკვლელობის მოტივი და რაც მთავარია, მკვლელის ვინაობა რჩება (მთავარი ინტრიგა სწორედ მკვლელის, უფრო კი მისი როლის შემსრულებლის ვინაობაა).

სწორედ ამ დროს გამოდის სცენაზე გიორგი ნაკაშიძის გამომძიებელი, რომელიც ამ ისტორიის არათუ ცენტრალურ ფიგურადაც იქცევა, არამედ ყველაზე სახასიათო პერსონაჟიც ხდება. გიორგი ნაკაშიძე ფილმის უალტერნატივო ვარსკვლავია. იგი არაჩვეულებრივად ახერხებს გამომძიებლის ყველასთვის კარგად ნაცნობი ტიპაჟის შექმნას, ხოლო მისი სამსახიობო ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი სტერეოტიპებისგან შეკოწიწებულ ადამიანს თავისებურად ძერწავს. ნაკაშიძის გამომძიებელი არაფრით განსხვავდება ფილმის დანარჩენი პერსონაჟებისგან, რომელთა შორის პრაქტიკულად არ არსებობს დადებითი გმირი. ყველა მათგანს უკვე აქვს მანკიერი წარსული, ან სწორედ ახლა, ჩვენს თვალწინ ქმნის თავის მომავალს - გაურკვეველს და ალბათ ისევ მანკიერს.

როგორც წესი, ქართული ფილმების კრიტიკას სამსახიობო ანსამბლის თამაშით იწყებენ, რაც "მედიატორთან" დაკავშირებით ნამდვილად უადგილოა. დიტო ცინცაძე გამოცდილი რეჟისორია და იცის, როგორ მოარჯულოს მსახიობი. "მედიატორში" კი მას ორმაგი ძალისმევის გამოვლენა მოუწევდა, რადგან სხვადასხვა ეროვნების და შესაბამისად განსხვავებული კინოსკოლის მსახიობებთან მუშაობდა (ბრიტანელი იუენ ბრემნერი, გერმანელი ბურქჰარდ კლაუსნერი, რუსი დინა კორზუნი და ქართველები: გიორგი ნაკაშიძე, მერაბ ნინიძე, ზაზა კოლელიშვილი, ლევან დობორჯგინიძე, ნუცა კუხიანიძე და სხვა).

პრობლემა უფრო ფილმის ცვალებად ტემპში, ზედმეტად ბუნდოვან სიუჟეტში, პარალელური, თითქმის მეათეხარისხოვანი პერსონაჟების სიუხვესა და ჟანრობრივ გაურკვევლობაშია, რაც ქართული კინოსთვის იმდენად უცხოა, რომ ალბათ ჩვენს მაყურებელს გაუჭირდება რეალური შეფასება მისცეს ეკრანზე ნანახს. სწორედ აქ ვაწყდებით ერთ საკმაოდ საინტერესო ფაქტორს: გავიხსენოთ ყველაზე მარტივი მაგალითი, ტარანტინოს "მაკულატურა", სადაც კონკრეტულ პერიოდში მომხდარი ამბავი სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა პერსონაჟის მხრიდანაა მოთხრობილი. ფილმი ოდესღაც შედევრად აღიარეს და ასეთივე იყო ქართველი მაყურებლის შეფასებაც. ახლა კი იმავე ქართველმა მაყურებელმა უბრალოდ უნდა გადალახოს ის მცირე ბარიერი, რომელსაც დიტო ცინცაძის ქართული კინოსთვის უჩვეულო თხრობის მანერა ქმნის და თუ ბარიერი გადაილახება, მაშინ "მედიატორი" შეძლებს წლის საუკეთესო ფილმის წოდების მოპოვებას - ცხადია ჩვენს ქვეყანაში...

# ტომ ჯონსის ქველმოქმედება

ბრიტანეთის ესტრადის მომღერალმა ტომ ჯონსმა ლონდონის ქუჩაში საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა. ამის შესახებ ინფორმაცია პირველად გამომცემლობა New Musical Express-ის საიტზე იქნა გავრცელებული. ჩატარებული კონცერტიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად ონკოლოგიური ავადმყოფობებით დაავადებული ხალხის დასახმარებლად შექმნილ საქველმოქმედო ფონდს გადაერიცხა.

კონცერტი 19 ნოემბერს საკონერტო დარბაზის Royal Festival Hall-ის შენობის მოპირდაპირე მხარეს გაიმართა. მომღერლის გამოსვლას BBC2-ის გადამღები ჯგუფი ესწრებოდა, რომელიც Culture Show-ს პროგრამაში, ტომ ჯონსის კონცერტის შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს გაუშვებს. თავისი სიმღერების გარდა, ჯონსმა ჯერი ლი ლიუისის კომპოზიცია - Great Balls of Fire და 1950-იანი წლების კლასიკური როკ-ნ-როლის სხვა ნაწარმოებები შეასრულა. მთლიანობაში მომღერალმა თერთმეტი კომპოზიცია შეასრულა, ხოლო საბოლოოდ, საქველმოქმედო კონცერტის ჩატარების შედეგად, ჯონსმა 460 ფუნტი სტერლინგის (690 დოლარი) გამომუშავება შეძლო.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ტომ ჯონსი შემოქმედებითად უფრო გააქტიურებულია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ცოტა ხნის წინ მომღერალმა 51 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, თავის მეუღლეს - ლინდსის სიმღერა მიუძღვნა. კომპოზიცია, სახელწოდებით - Road, მუსიკოსის ახალ სტუდიურ ალბომ "24 Hours"-შია შესული. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეს ჯონსის პირ-



ველი ალბომია, რომლის პრეზენტაციაც ამერიკის შეერთებულ შტატებში 25 ნოემბერს შედგება. ახალ ალბომში შესულია ორი რიმეიკი - ბრიუს სპრინგსტინის სიმღერაზე - The Hitter და ტომი ჯეიმსისა და The Shondells-ის ერთობლივ სიმღერაზე - I'm Alive. U2-ს ორმა წევრმა ბონომ და ედჟმა მონაწილეობა მიიღეს სიმღერა Sugar Daddy-ის ჩაწერაში. დისკს პროდიუსერობა გაუწია ბრიტანულმა დუეტმა Future Cat, რომლებიც ლილი ალენთან და კეიტ ნეშთან ერთად მუშაობდნენ. ალბომი შეგნებულად რეტრო-სტილშია გაკეთებული.

ტომ ჯონსმა პირველი სიმღერა - It's Not Unusual 1965 წელს გამოუშვა. მისი პირველი ალბომის გამოსვლის დღიდან, მთელს მსოფლიოში დისკების მილიონობით ეკზემპლიარი გაყიდა. ამ დროისთვის 68 წლის მომღერლის ქონება 170 მილიონ ფუნტ სტერლინგს (დაახლოებით 272 მილიონი დოლარი) შეადგენს და ძველებურად "კონკურენტუნარიან" მომღერლად ითვლება.

# "ვეფხისტყაოსნის" თანამედროვე მთხრობელი

## ლევან გველესიანი - ავტორი წიგნისა "მოგითხრობთ შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანს"

თამარ კიკნაველიძე



*ცოტა ხნის წინათ, ქართულმა საზოგადოებამ წიგნის - "მოგითხრობთ შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანს" გამოცემა იზეიმა. ის "GEOEX PUBLISHING"-ის მიერ "ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაციის მიზნით ამოქმედებული პროექტის "პირველი მერცხალია". პროზად, თანამედროვე კომენტარებითა და შენიშვნებით დაწერილი. ტექსტის ავტორი კი, განათლებით ეკონომისტი, ფილოსოფოსი და ორგანიზაციის განვითარების ექსპერტი, ლევან გველესიანი გახლავთ. მას ქართულ, გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ასზე მეტი სამეცნიერო, ბელეტრისტიკული და პუბლიცისტური სტატია აქვს დაწერილი. ლევან გველესიანი უკვე თხუთმეტი წელია, რაც ოჯახთან ერთად გერმანიაში მოღვაწეობს, საიდანაც გაზეთ "24 საათის" მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.*

**- როგორ ჩაერთეთ პროექტში, რომელიც მიზნად შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაციას ისახავს?**

- დიდი ლიტერატურული ნაწარმოებები იმით გამოირჩევა, რომ მათ, აკადემიურობის გარდა, პოპულარული მხარე აქვთ. ისინი, არა მარტო გასააზრებლად, წასაკითხადაც სასიამოვნოა. ანტიკურ ხანაში ჰომეროსის სტროფები მასებმა ზეპირად იცოდნენ. ასეთი იყო "ვეფხისტყაოსანიც", სანამ მისი ენა ქართველებისათვის გასაგები იყო. დღეს ჩვენი ქართული იმდენად განსხვავდება შოთა რუსთაველის ენისაგან, რომ "ვეფხისტყაოსნის" წაკითხვასა და გაგებას, მასობრივი მკითხველის მხრივ, სერიოზული ძალისხმევა სჭირდება. ამ დროს, პოემაში იმდენი რამ ქართულია ჩადებული, რომ არ შეიძლება ქართველმა ის არ წაიკითხოს. ამიტომ ვიფიქრე, რომ ჩემი გამარტივებული ინტერპრეტაცია მკითხველს თვით პოემის წაკითხვას გაუადვილებდა. გარდა ამისა, მინდოდა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას, გარდა იმ გმირებისა (ბეტმენების, სპაიდერმენების, ჯეიმს ბონდების), რომელთაც მასობრივი კულტურა მას ასე ინტენსიურად აწვდის, თავისი, ქართველი გმირები შეეძინა.

**- რას გვეტყვით ამ პროექტზე?**

- პროექტს მივესალმები და ბედნიერი ვარ, რომ მასში მონაწილეობის საშუალება მომეცა.

**- საინტერესოა, "ვეფხისტყაოსანი" პროზად საგანგებოდ ამ პროექტისათვის დაიწერა თუ ეს საკითხი დამოუკიდებლადაც გაწუხებდათ?**

- საგანგებოდ. პროექტის ხელმძღვანელმა ქალბატონმა მანანა კარტოზიამ წლინახევრის წინ გამანდო, რომ ასეთ პროექტს გეგმავდა. მე ორი ვარიანტი შევთავაზე ჩემი მხრიდან: ერთი ის, რომელიც შემდგომში დაიბეჭდა და მეორე, ოდნავ განსხვავებული, უფრო ირონიული და მეტი კომენტარით. ბოლოს პირველ ვარიანტზე შევჩერდით.

**- ტექსტზე მუშაობის თავისებურებებზე რომ ვისაუბროთ**

- ტექსტის წერას 2007 წლის აგვისტოს დასასრულს შევუდექი და იმავე წლის დეკემბერში დავამთავრე. მივყვებოდი რუსთაველის თხრობას და შესრულებულ თავებს რედაქტორს ვუგზავნიდი. პარალელურად კი, ჩემს მეუღლესაც ვაკითხებდი. ასე, რომ კრიტიკა ორივე მხრიდან მომდიოდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქება და შეგულიანება მეტი იყო. კიდევ ოთხი-ხუთი თვე კორექტურებს, რუსთველოლოგებთან კამათსა და რედაქტირებას მოვანდომეთ. ყველაზე ძნელი მხატვარ-გამფორმებლის მოძებნა იყო, მაგრამ ღვთის წყალობით, მამუკა ცეცხლაძის ნამუშევრები რომ ვნახეთ, არც მე, არც პროექტის ხელმძღვანელს აღარ გვიყოყმანია. დაწერიდან თერთმეტი თვის თავზე წიგნიც გამოიცა.

**- ამ გამოცემის პოპულარიზაციის მიზნით, ტექსტის სხვა ენაზე თარგმნას ხომ არ გეგმავთ?**

- თარგმნას არა, მაგრამ, თუ გამომივიდა, მინდა ანალოგიური რამ რუსულად, ინგლისურად და გერმანულად დავწერო

**- თუ არის ისეთი რამ, რაც მასში არ ითქვა?**

- პრინციპიალური არაფერი. რედაქტორმა აქა-იქ რამდენიმე "უზრდელური" ფრაზა გადამიხაზა, თორემ დანარჩენი, ყველაფერი მოხვდა წიგნში, რისი თქმაც მინდოდა.

**- "ვეფხისტყაოსანის" გაანალიზება არაერთმა ავტორმა სცადა და მასზე ნაშრომებიც დაიწერა მათ შორის, განსაკუთრებით რომელმა მათგანმა დაგაინტერესათ?**

- ჯერჯერობით არც ერთი "ვეფხისტყაოსანი" არ მომწონებია შოთა რუსთაველის არმოთხრობილი. ისინი ან ძალიან შემოკლებულია, ან გაწელილი და მოსაწყენი; რუსთაველის დინამიკა იკარგება. მე შევეცადე ეს დინამიკა არ დამეკარგა. არ ვიცი, როგორ გამომივიდა. ჯერჯერობით, ისინი, ვის აზრსაც ანგარიშს ვუწევ, მაქებენ. გარდა ამისა, რუსთველოლეგების უმეტესი სტატიები "ვეფხისტყაოსანზე" ძალზე აკადემიურია. მე სწორედ ამ აკადემიურობას მინდოდა გავცლოდი. გარდა ამისა, ამ სფეროში არსებობს სტანდარტული მიდგომა, რომელიც თვით რუსთველოლოგიის ავტორიტარულ ხასიათს უკავშირდება. ამიტომაც, მართალია წიგნის მზადების პერიოდშიც და ადრეც დიდძალ ლიტერატურას გავეცანი, ვცდილობდი ახლებურად მივდგომოდი ნაწარმოებს.

**- რას იტყვით მამუკა ცეცხლაძის ილუსტრაციებზე?**

- მამუკა ცეცხლაძის ნამუშევრები "ვეფხისტყაოსნის" თემაზე გენიალურია. არ ვაჭარბებ, მე მათ მართლაც გენიალურად მივიჩნევ. წიგნი ვნახე. ძალიან მომეწონა. სამწუხაროდ ტექსტში ერთი-ორი მცირე შეცდომაა გაპარული, თორემ ისე ამ წიგნით ძალიან ვამაყობ.

**- თქვენმა შვილებმა თუ წაიკითხეს "ვეფხისტყაოსანი?**

- არა, ჯერ არ წაუკითხავთ. როცა დრო მოვა წაიკითხავენ. როცა პატარები იყვნენ ჩემი მეუღლე მათ უკითხავდა და ასწავლიდა კიდეც რუსთაველის სტროფებს.

**- ორიოდე სიტყვით, თქვენს საქმიანობაზე... რითი ხართ გერმანიაში დაკავებული?**

- საერთოდ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვარ. ისევე, როგორც საქართველოში, გერმანიაშიც ძნელია ფილოსოფოსობით თავის გატანა და ამიტომ ჩემი პატარა ბიზნესი მაქვს. ვარ სერტიფიცირებული მრჩეველი ორგანიზაციის განვითარების საკითხებში და ვიღებ მონაწილეობას განვითარების პროექტებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მაინის ფრანკფურტის ახლოს ვცხოვრობ პატარა ქალაქში.

**- როგორია გერმანიიდან დანახული საქართველო?**

- ვინც საქართველოსა და ქართველებს იცნობს, ის საქართველოს დადებითად უყურებს, თუმცა ჩვენს უარყოფით თვისებებსაც კარგად იცნობს. ვინც არაფერი იცის ჩვენზე, პრესატელევიზიით ძირითადად სიცრუეს ან ნახევარსიმართლეს იღებს. ჩვენ გვიცნობენ რუსებზე უარესად, მაგრამ აზერბაიჯანელებზე უკეთ.

ინტერვიუს ბოლოს, იმასაც ავღნიშნავ, რომ ქართველ მკითხველს ლევან გველესიანის ნარკვევების, თარგმანების, მოთხრობებისა და ლექსების გაცნობის საშუალება ავტორის ვებ გვერდზე - www.gvelesiani.de შეუძლია.




## სოჭში აფხაზი მხატვრების გამოფენა გაიხსნა

სოჭში სეპარატისტული აფხაზეთის წარმომადგენელი აფხაზი მხატვრების გამოფენა გაიხსნა. რუსული მედიის ინფორმაციით, ეს არის აფხაზი თანამედროვე მხატვრების პირველი გამოფენა, რომელსაც ოფიციალურად საერთაშორისო სტატუსი აქვს. ინფორმაცია ამის შესახებ ქალაქ სოჭის ადმინისტრაციის კულტურის განყოფილების უფროსმა იულია ივანოვამ გაავრცელა.

"აფხაზი და რუსი მხარტვრების მრავალწლიანმა ურთიერთობამ თავისი შედეგი გამოიღო. აფხაზი მხატვრების პირველი საერთაშორისო გამოფენა სახელწოდებით "სამხრეთის ტრანზიტი" კი სოჭის არტ მედია ცენტრ "როდინაში" გაიხსნება", - აცხადებს ივანოვა.

მისივე თქმით, ექსპოზიცია დიდი არ არის, მაგრამ ძალიან ფასეულია პროფესიონალიზმის თვალსაზრისით და სხვა და სხვა თაობის ავტორთა ნამუშევრებს შეადგენს.

სოჭში წარმოდგენილ ნამუშევართა უმეტესი ნაწილი მოსკოვში ქვეყნის მთავარ გამოფენაზე "როსია" გამოიფინება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პოპ-ვარსკვლავი მადონა და გაი რიჩი ოფიციალურად განქორწინდნენ

21 ნოემბერს ლონდონის უმაღლეს სასამართლოში, პოპ-ვარსკვლავი მადონასა და გაი რიჩის განქორწინება ოფიციალურად გაფორმდა. განქორწინების გამოცხადებას ყოფილი მეუღლეები არ ესწრებოდნენ. სასამართლო მოსმენა დაახლოებით ერთი წუთი მიმდინარეობდა. სავარაუდოდ, პრესის ყურადღების შესამცირებლად სტანდარტული პროცედურა შეამოკლეს.

მადონასა და გაი რიჩის განქორწინების შესახებ ცნობილი 2008 წლის ოქტომბერში გახდა. ისინი ქორწინებაში რვა წელი იმყოფებოდნენ. მომღერლის 12 წლის ქალიშვილი ლურდესი დედასთან რჩება. წყვილის საერთო შვილები, (8 წლის როკო და 3 წლის ნაშვილები დევიდი) დროის ნაწილს დედასთან, ნაწილს კი, მამასთან გაატარებენ.

გაი რიჩმა მადონას მიერ შეთავაზებულ ფულზე, რომლის სანაცვლოდ ბავშვები დედასთან იქნებოდნენ, უარი განაცხადა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოპერისა და ბალეტის თეატრი 23 ნოემბრის საზეიმო კონცერტისთვის ემზადება

როგორც კულტურის სამინისტროდან იუწყებიან, "ვარდების რევოლუციის" მეხუთე, საიუბილეო წლის აღსანიშნავად, ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში გალა-კონცერტი გაიმართება.

კონცერტი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებს თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ოპერის გუნდი და სოლისტები ნატალია ვოლჩენკო, თემურ გუგუშვილი, ლევგი იმედაშვილი, სულხან გველესიანი და მარიამ ქობალიანი. საიუბილეო გალა-კონცერტს საქართველოს ჰიმნი გახსნის, შესრულდება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა "დაისის" II აქტის ფინალი, ჯაკომო როსინის უვერტიურა ოპერიდან "ქურდი კაჭკაჭი" და რაველის "ბოლერო". საზეიმო კონცერტს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია დაასრულებს.

გალა-კონცერტისთვის მზადება ოპერის თეატრში უკვე დაიწყო. **ინტერპრესნიუსი**

## თბილისის ისტორიის მუზეუმში გამოფენა იხსნება

28 ნოემმბერს ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნება უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტეს (იფა) გამოფენა "ჰორსტ იანსენი. გრავიურები ", რომელსაც წარმოადგენენ გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ჰორსტ იანსენი (1929-1995) თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ და პროდუქტიულ გერმანელ გრაფიკოსად ითვლება. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში წარმოდგენილი იქნება მისი ქრონოლოგიურად და თემატურად დალაგებული, მთლიანობაში 160 გრაფიკული ნამუშევარი, რომლებიც ნათლად ასახავენ მხატვრის გრაფიკული ოსტატობის განვითარებას 50-იანი წლების ბოლოდან 70-იანი წლების შუამდე. აღნიშნული გამოფენისათვის შეირჩა როგორც გრაფიკული ციკლები "ჰოკუსაის გასეირნება" და "ვენეციის კარნავალი", ასევე სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ცალკეული ტილოები.

ჰორსტ იანსენის გრაფიკული ნამუშევრების ძირითად სიუჟეტს ლანდშაფტები, უფრო სწორად კი ლანდშაფტების ასოციაციები წარმოადგენს, რომლებსაც ის მცენარეებისა და ცხოველების სტრუქტურებთან, და ასევე, მის საკუთარ სახის ნაკვთებთან აკავშირებს. ჯერ კიდევ ადრე სწორედ ასეთი სახის ავტოპორტრეტებით გახდა იანსენი გერმანიის ფარგლებს გარეთ ცნობილი. გარდა ამისა, იანსენი ხშირად მიმართავს სხვა ხელოვანების შემოქმედებას (მათ შორისაა ჰოკუსაი, ენზორი, კლინგერი, დიუბუფე) და იყენებს მათ მოტივებს როგორც ასლს ან თავისუფალ ვარიაციას საკუთარი ნამუშევრებისათვის. **მედიანიუსი**

## გამოცხადდა მხატვრული კონკურსი: "მშვიდობის ფრესკა"

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და კავშირი "მსოფლიო მშვიდობის ფედერაცია აცხადებს მხატვრულ კონკურსს სახელწოდებით: "მშვიდობის ფრესკა". კონკურსი 3 ნომინაციას მოიცავს, ესენია: პოეზია, პროზა და სახვითი ხელოვნება. კონკურსში მონაწილეობის მიღება 20 წლამდე ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდებს შეუძლიათ და მათ 28 ნოებმრამდე საკუთარი ნაწარმოებები ჟურნალ "რიწის" რედაქციაში უნდა წარადგინონ. კონკურში გამარჯვებულები ჟიურის მიერ 7 დეკემბერს დაგეგმილ დასკვნით ღონისძიებაზე გამოვლინდებიან და ისინი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდებიან. **მედიანიუსი**

## ჩინელი იმპერატორის საათები რეკორდულ ფასად შეიძინეს

შვეიცარიაში ჯიბის საათების წყვილი რეკორდულ ფასად - 2,6 მილიონ შვეიცარულ ფრანკად (1.45 მილიონი ფუნტი სტერლინგი) გაიყიდა. ამის შესახებ გუშინ გაზეთი The Times იუწყებოდა. ორი ჯიბის საათი ორი ქალისა და ბავშვის სარკის გამოსახულებით 1815 წელს დამზადდა. 1816 წელს ისინი ბრიტანეთის მეფის გეორგ მესამის მიერ საჩუქრად ჩინელ იმპერატორს ცზიაცინს გადაეცა.

საათები, რომლებიც ინახებოდა ერთ-ერთ ჩინურ ოჯახში, ჟენევის აუქციონზე - Antiqourum შეისყიდა ვინმე ჩინელმა კოლექციონერმა. მყიდველმა გადაიხადა ყველზე დიდი თანხა, რომელიც კი ოდესმე შეუთავაზებიათ საათებისათვის. შედარებისათვის, "ტიტანიკის" ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრის საათი ახლახანს 92 ათას ფუნტ სტერლინგად "გასაღდა", ხოლო 1623 წელს დამზადებული მაგიდის საათი - 120 ათას ფუნტ სტერლინგად.

## მევიოლინე გილ შაჰამმა ამერიკის პრესტიჟული პრემია მიიღო

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამერიკული პრემია კლასიკური მუსიკის დარგში, რომელიც ევერი ფიშერის (Avery Fisher Prize) სახელს ატარებს, 2008 წლის დაჯილდოვებაზე ამერიკელმა-ისრაელელმა მევიოლინემ გილ შაჰამმა (Gil Shaham) მიიღო. პრემიის ფულადი ჯილდო 75 ათას დოლარს შეადგენს. სიახლე, იმის შესახებ, რომ შაჰამი პრემიის ლაურეატი გახდა, უჩვეულო გზით შეატყობინეს. მევიოლინემ უკვე დაასრულა ნიუ-იორკის ლინკოლ-ცენტრში გამოსვლა და კულისებისკენ მიდიოდა, როცა მასთან ვენესუელელი დირიჟორი გუსტავო დუდამელი მივიდა და უთხრა: "შეჩერდი მეგობარო. მე მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ევერი ფიშერის პრემია მოგენიჭათ". შაჰამი მომხდარმა გააოცა და აღნიშნა, რომ მას 20 წლის წინაც ერგო პატივი ახალგაზრდობისთვის გამოყოფილი ფიშერის პრემიის ლაურეატი გამხდარიყო. დარბაზში მყოფმა ევერი შიფერის ქალიშვილმა ნენსი ფიშერმა განაცხადა, რომ მისი გარდაცვლილი მამა მუსიკოსებისთვის სიურპრიზების გაკეთებაზე გიჟდებოდა.

1974 წელს ევერი ფიშერის სახელობის პრემია 19 ადამიანმა მიიღო, მათ შორის იყვნენ პიანისტი ემანუელ აკსი, ეფიმ ბრონფმანი და მიურეი პერაია, ვიოლონჩელისტი იო-იო მა, მევიოლინე მიდორი გოტო და ჯოშუა ბელი.

## ბრიუს სპრინგსტინმა საუკეთესო ტურნესთვის ჯილდო მიიღო

ამერიკელმა მუსიკოსმა ბრიუს სპრინგსტინმა და მისმა ჯგუფმა E Street Band-მა Billboard Touring Award-ის პრემია მიიღო. მუსიკოსსა და მის კოლეგებს ჯილდო წლის საუკეთესო საკონცერტო ტურისთვის ერგოთ. Billboard Touring Award-ის პრემია კოლექტივებს, ჯგუფებს და ყველაზე წარმატებულ შემსრულებლებს გადაეცემათ, რომლებიც საკონცერტო ტურნეზე ყველაზე მეტ ბილეთებს გაყიდიან. პრემიის დაჯილდოვების ცერემონია ნიუ-იორკში 20 ნოემბერს გაიმართა. ბრიუს სპრინგსტინმა თავისი ბოლო ალბომის Magic-ის მხარდასაჭერი ტურნე გამართა, რომლის რელიზიც 2007 წლის ოქტომბერში შედგა. სპრინგსტინის მენეჯერი და პროდიუსერი ჯონ ლანდაუ, რომელიც მუსიკოსთან უკვე 30 წელზე მეტია მუშაობს, წლის მენეჯერად დასახელდა. Billboard Touring Award-ის პრემია მიიღო ასევე 15 წლის ამერიკელმა შემსრულებელმა მილი საირუსმა, რომელსაც საუკეთესო დებიუტისთვის ერგო ჯილდო. ბრიტანულმა ჯგუფმა Spice Girls, რომელიც 2007 წლის საფხულში კვლავ გაერთიანდა, ყველაზე მომგებიანი ტურნესთვის დააჯილდოვეს. ამერიკულმა ჯგუფმა Bon Jovi მიიღო პრემია ნომინაციაში - "საუკეთესო საქველმოქმედო ტურნე". მუსიკოსების გარდა ჯილდო მიიღეს ორგანიზატორემა, პრომოუტერებმა, მარკეტოლოგებმა და საკონცერტო მენეჯმენტის სხვა სპეციალისტებმა.

## დიდ ბრიტანეთში უძველესი ოქროს ყელსაბამი აღმოაჩინეს

ბრიტანელმა მოყვარულმა არქეოლოგმა მორის რიჩარდსონმა (Maurice Richardson) მეტალოდეტექტორის დახმარებით ანტიკური ხანის ულამაზესი ყელსაბამი აღმოაჩინა, რომელიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე I-II საუკუნით თარიღდება. ყელსაბამი ექსპერტებმა 350 ათას ფუნტ სტერლინგად (525 ათას დოლარად) შეაფასეს და ბოლო ნახევარი საუკუნის საუკეთესო აღმოჩენად დაასახელეს.

ბრიტანული კანონების მიხედვით, რიჩარდსონს აღმოჩენის შეფასებული ღირებულების ნახევარი ეკუთვნის, რომელიც დაახლოებით 175 ათას ფუნტს შეადგენს. ყელსაბამი ქალაქ ნიუარკის მუზეუმმა შეიძინა. მისი მსგავსი სამშვენისი ბრიტანეთის მუზეუმშიც ინახება, რომელიც სპეციალისტებისთვის სედგეფორდის ყელსაბამის (Sedgeford torc) სახელწოდებითაა ცნობილი. 59 წლის მორის რიჩარდსონმა, რომელიც ხის ქრაზე მომუშავე სპეციალისტი გახლავთ, თავისი აღმოჩენა ნოტინგემის საგრაფოში გააკეთა. იგი მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ნარჩენებს ეძებდა და იუველირული ხელოვნების ნიმუშს გადააწყდა, რომელიც ორ ფუნტს (დაახლოებით 900 გრამი) იწონიდა.

## ამერიკელები იტალიას თავის საკუთრებას უბრუნებენ

კლივლენდის სამხატვრო მუზეუმი (The Cleveland Museum of Art) დიდი ხნის მოლაპარაკებების შემდეგ დათანხმდა იტალიიდან უკანონოდ წამოღებული 13 ანტიკური ნამუშევარი სამშობლოს დაუბრუნოს. დაბრუნებულ ნივთებს შორის არის ოსტატ დარიას მიერ შექმნილი აპულინის კრატერი, რომელიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე IV-საუკუნით თარიღდება და ჩვენს წელთ აღრიცხვამდე IX-VI საუკუნეებში შექმნილი სარდინიის ჯარისკაცის ბრინჯაოს ქანდაკება. მოლაპარაკებები მიდის, ასევე ქალღმერთ ნიკის გამოსახულების დაბრუნებაზე და ხვლიკების მკვლელ აპოლონის ბრინჯაოს ქანდაკებაზე. კლივლენდის სამხატვრო მუზეუმის კოლექციის ძირითადი ნაწილი 1970-1980 წლებში იყო შეძენილი. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიის მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება, უკვე მეხუთეა, რომელშიც არაკანონიერად გატანილი ფასეულობების დაბრუნების შესახებ თანხმობა ხელმოწერით არის დადასტურებული.

# პირქუში პინოკიო

### გილერმო დელ ტორო კარლო კოლოდის ზღაპრის ანიმაციურ ვერსიას გადაიღებს

"ფაუნუსის ლაბირინთისა" და "ჰელბოის" რეჟისორ გილერმო დელ ტოროს სამუშაო გრაფიკი 2017 წლამდე აქვს გაწერილი. არავინ იცის, ამ დროისთვის კინემატოგრაფი რა ფორმით ან საერთოდ იარსებებს თუ არა, თუმცა დელ ტოროს დამკვეთი კინოკომპანიები როგორც ჩანს გაცილებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ერთ-ერთი პირველი პროექტი კი "პინოკიოს" ანიმაციური ვერსია იქნება, რომლის სცენარიც თავად რეჟისორმა უნდა დაწეროს.



მართალია დელ ტოროს ჯერ სცენარის ერთ გვერდიც არ დაუწერია, უკვე ცნობილია, რომ ამ საქმისთვის მას სამი წელი დასჭირდება, რადგან გულდასმით სურს ჯერ კარლო კოლოდის ნაწარმოების სიღრმეს ჩასწვდეს, შემდეგ კი ეს ყველაფერი ფურცელზე გადაიტანოს. ცნობილია ისიც, რომ ფილმი საკმაოდ პირქუში გამოვა და ალბათ უფრო მოზრდილი მაყურებლისთვის იქნება განკუთვნილი ვიდრე ბავშვებისთვის.

პირქუში ხასიათი, რუხი ფერები და ლამის ჩამყაყებული გარემო გილერმო დელ ტოროს სტილია. ვისაც მისი გაცილებით ადრინდელი ნამუშევარი "ეშმაკის ხერხემალი" (ან იგივე "ფაუნუსის ლაბირინთი") აქვს ნანახი, ალბათ უკეთესად მიხვდება, რა სანახაობაც გველის წინ. აქვე აღვნიშნავთ, რომ გილერმო დელ ტოროს ფილმზე მუშაობისას პარტნიორობას მხატვარი გრის გრიმლი გაუწევს, რომელმაც ექვსი წლის წინ კარლო კოლოდის ნაწარმოების ხელახალ გამოცემაზე იმუშავა და საკმაოდ პირქუში ილუსტრაციები შექმნა. ილუსტრაციების გარდა ადაპტირებული იყო ტექსტიც და პინოკიო უარყოფით პერსონაჟად აქციეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ გილერმო დელ ტორომ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ჰობიტების შესახებ ფილმი უნდა გადაიღოს. სცენარზე მასთან ერთად "ბეჭდების მბრძანებლის" რეჟისორი პიტერ ჯეკსონიც მუშაობს. ამ პროექტთან დაკავშირებით ცნობილია, რომ ფილმში 3D ანიმაციის გარდა გიგანტურ მექანიკურ ფიგურებსაც გამოიყენებენ.

რაც შეეხება რეჟისორის უფრო შორს მავალ გეგმებს, 2017 წლამდე მან უნდა გადაიღოს "ფრანკენშტეინი", კურტ ვონეგუტის ნაწარმოების "სასაკლაო ნომერი ხუთის" რიმეიკი, "ექიმი ჯეკილი და მისტერ ჰაიდი", დენ სიმონსის "დრუდის" ეკრანიზაცია და სხვა.

# მილიონები ტიციანისთვის

ბრიტანეთის სახელმწიფო მემორიალურმა ფონდმა - "ეროვნული მემკვიდრეობა" (NHMF) ლონდონისა და ედინბურგის ნაციონალურ გალერეებს ათი მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოუყო იმისათვის, რომ მათ ტიციანის ნამუშევარი "დიანა და აქტეონი" გამოისყიდონ. თუ 2008 წლის 31 დეკემბრამდე ეს ორი მუზეუმი არ შეაგროვებს 50 მილიონ ფუნტს (75 მილიონი დოლარი), მაშინ ეროვნულ საკუთრებად მიჩნეული ტილო გაიყიდება, გვამცნობს BBC News-ი.



ნახატი "დიანა და აქტეონი" კერძო პირს - ჰერცოგ საზერლენდს ეკუთვნის, მაგრამ 1945 წლიდან ის გამოფენილია ედინბურგში. 2008 წელს ჰერცოგმა ამ ტილოს გაყიდვასთან ერთად, ტიციანის კიდევ ერთი ნამუშევრის, სახელწოდებით - "დიანა და კალისტო", გაყიდვა გადაწყვიტა. თითოეული ნამუშევარი მან 50 მილიონ ფუნტად შეაფასა. მუზეუმებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მოლაპარაკებები ამ ნამუშევრების პატრონთან წარუმატებლად დასრულდა და ბოლოს დიდ ბრიტანეთში დაიწყო ნაციონალური კომპანია შედევრების გადასარჩენი თანხების მოძიებასთან დაკავშირებით.

ბოლო დღეებში ამ მოძრაობას შეუერთდნენ ყველაზე ცნობილი ბრიტანელი მხატვრები - დევიდ ჰოკნი, ლუსიენ ფრეიდი, ტრეისი ემინი და დემიენ ჰერსტი.

შოტლანდიის ნაციონალური გალერეის კედლებში გამოფენილია "ძველის ოსტატების" 27 ნამუშევარი, ეგრეთ წოდებული ბრიჯუოტერსის კოლექციიდან, რომელიც ჰერცოგ საზერლენდს ეკუთვნის. სწორედ ამ კოლექციაში შედის ტიციანის ზემოთხსენებული ორი ნამუშევარიც. თუ 100 მილიონი, რომლის მიღებაც ჰერცოგს ორ ეტაპად სურს, შეგროვდება, მაშინ ბრიჯსტოუნის კოლექცია მუზეუმში კიდევ 21 წლით დარჩება.

აღსანიშნავია, რომ "ნაციონალური მემკვიდრეობა" კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ფინანსდება. ეს ორგანიზაცია კერძო პირებისაგან ხელოვნების ფასეული ნამუშევრების შესყიდვით არის დაკავებული.

# თურქეთში ნაპოვნია ადამიანის სულის უძველესი ძეგლი

ჩიკაგოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც თურქეთში, კერძოდ, სამხრეთ ანატოლიაში მუშაობდა, უძველესი ქალაქის, სახელწოდებით სამალ (Sam al, თანამედროვე ზინჯირლი, Zincirli), გათხრებისას აღმოაჩინა ქვის ფილა, რომელზეც ითხოვენ ამ სტელაში ჩასმული მიცვალებულის სული მოიხსენიონ. The New York Times მიმომხილველი იუწყება, რომ მეცნიერები ყველაზე მეტად სულის, როგორც გაგების, სხეულისაგან განცალკევებით ხსენებამ დააინტერესა.



ეს სტელა ეკუთვნოდა მოხელე კუტამუვას (Kuttamuwa). მისი სახელი ინდოევროპულია, რაც ბუნებრივია ქალაქ ზინჯირლისათვის, სადაც აქამდეც პოულობდნენ წარწერებს ლუვიურ ენაზე, რომელიც ამჟამად მკვდარია და ინდოევროპული ენების ანატოლიის შტოს ეკუთვნოდა. თუმცა, თვითონ წარწერა სტელაზე გაკეთებულია ერთ-ერთი სემიტური ენებიდან, კერძოდ არამეულის არქაულ დიალექტზე. ასოები სტელაზე ფინიკიური ანბანის ვარიანტს წარმოადგენს.

მთლიანობაში წარწერა შემდეგს იუწყება: მე, კუტამუვა, მსახური [მეფის] პანამუვის, მეთვალყურეობას ვუწევდი ამ ფილის დამზადებას, სანამ ცოცხალი ვიყავი. მე ის მარადისობის [?] ოთახში მოვათავსე და დავაარსე დღესასწაული: ხარი ღმერთისათვის ადადა". სტელაზე გამოსახულია წვერებიანი ადამიანი თასით ხელში, რომლის წინაც, მაგიდაზე საჭმელია გაშლილი. საინტერესოა, რომ იმ ადგილას, სადაც ეს ფილა იპოვეს, საფლავს ვერ მიაკვლიეს. არ არის გამორიცხული, რომ ნაგებობა, რომელშიც სტელა ინახებოდა, კუტამუვის საკუთარი სახლის ნაწილს შეადგენდა.

კუტამუვას სტელა ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნით თარიღდება, ანუ ეს არის ეპოქა, რომელიც ხეთების იმპერიის დაცემას მოჰყვა და როდესაც სამხრეთ ანატოლიასა და ჩრდილოეთ სირიაში არსებობდნენ მრავალრიცხოვანი პატარა სახელმწიფოები, რომლებიც სირო-ხეთურებად იწოდებოდნენ. სამალი (ზინჯირლი) სწორედ ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფოს ცენტრი გახლდათ.

სემიტებში, რომლებიც ზემოთხსენებულ ეპოქაში სირო-ხეთური ერების სამხრეთის მეზობლები იყვნენ, სხეული და სული განუყოფელი იყო. ამ კონცეფციიდან გამომდინარეობს აკრძალვა მიცვალებულის კრემაციაზე... ჩიკაგოს უნივერსიტეტის მკვლევარები თავიანთ გამოკვლევებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ სამალის ტერიტორიაზე არ აღმოუჩენიათ ძვლის ნარჩენები, რაც შეიძლება იყოს არაპირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ ამ ქალაქში სხეულის დაწვის პრაქტიკა არსებობდა. ამ კონკრეტული ჰიპოთეზის უტყუარობისგან დამოუკიდებლად, სამალი უნდა განიხილებოდეს ადგილად, სადაც ერთმანეთს რამდენიმე აღმოსავლური კულტურა კვეთს და ერწყმის.

# სპორტი

# შოტლანდიამ თვალი აგვიხილა

## ერთა თასზე ბრძოლა გვამრთებს

ბიბა ბურასაშვილი

*ბორჯღალოსნების შოტლანდიაში თამაშს ის მოყვა, რომ პირწმინდად დავმარცხდით. ერთნი ქილიკობენ, ესეც თქვენი რაგბიო. უფრო შორსაც მიდიან და აცხადებენ, საქართველომ მორიგი მარცხი იწვნიაო. ჩნდება კითხვა, მერამდენედ შევრცხვით? სწორი პასუხი კი ასე უნდა ჟღერდეს: თუ რაიმესი არ უნდა გვცხვენოდეს ეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებია!*

კარგი ისაა, რომ რაგბის კავშირში სწორი დასკვნები გამოაქვთ. მეტიც შოტლანდიაში ნათლად გამოჩნდა სად ვართ და რა მიმართულებით მუშაობა გვმართებს.

"პირველყოვლისა ბოდიშს ვიხდი გულშემატკივრებთან, რომლებსაც ჩვენი თამაშით გული ვატკინეთ. დიახ, საშინლად დავმარცხდით, მაგრამ კარგია, რომ ეს ახლა მოხდა და არა ერთა თასზე. ვიცით რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, - შოტლანდიაში წაგებების მიზეზებს გვამცნობს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე. - მნიშვნელოვანი იყო შემოდგომაზე სერიოზულ გუნდთან გვეთამაშა. საუბარი იყო ტონგაზე, სამოაზე. ესენი კი ის გუნდები არიან, რომლებიც კალენდარს ერთი წლით ადრე ადგენენ. ასე რომ, ეს ვარიანტი ადრევე გამოირიცხა. ბოლოს მშველელად შოტლანდიის A ნაკრები მოგვევლინა. მათთან შეხვედრას ის დატვირთვა ჰქონდა, რომ დაგვენახა სად ვართ. გათვლები ერთა თასზე კეთდება. ეს არ იყო ტესტ-მატჩი, არამედ ამხანაგური შეხვედრა, სადაც ხელ-ფეხი გაქვს გახსნილი საიმისოდ, რომ ექსპერიმენეტებს მიმართო. ცუდი ის იყო, რომ ძირითადი შემადგენლობა ვერ შევკრიბეთ. ლეგიონერები კლუბებმა არ გამოუშვეს. ასე რომ, იძულებულნი გავხდით საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეები გამოგვეძახებინა, რომლებიც სრულიად გამოფიტულები იყვნენ. ერთი ხანობა იმაზეც ვფიქრობდით საერთოდ ღირდა თუ არა შოტლანდიაში გამგზავრება. მაგრამ მგონი ღირდა, რადგან ბევრი რამ დავინახეთ. შეიძლება ითქვას, ალი-ყური მივიღეთ. საწყისი 20 წუთი ვითამაშეთ, მაგრამ მერე დავიშალეთ.

არსებობს ობიექტურობის ზღვარი. რატომღაც ბევრს ეგონა, რომ შოტლანდიის A ნაკრებთან უნდა მოგვეგო. A ნაკრები კიდევ რბილი ნათქვამია. ჩათვალეთ, რომ პირველ ნაკრებს ვეთამაშეთ. ორივე ნაკრებს შორის მუდმივი როტაცია მიმდინარეობს. საოცარი დინამიკა ჰქონდათ. თუ ისინი გადაწყვეტილებას ნახევარ წამს ანდომებდნენ, ჩვენებს საამისოდ რამდენიმე წამი სჭირდებოდათ. დარწმუნებული ვარ ტიმ ლეინი სერიოზულ კორექტივებს შეიტანს შემადგენლობაში.

მართალი გითხრათ, "ედინბურგთან", რომელიც შოტლანდიის ნაკრების ერთგვარი საბაზო კლუბია, არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან პირველი შეხვედრის შემდეგ ყველაფერი ისედაც ნათელი იყო".

ერთი სიტყვით, ნაკლოვანებები დროულად გამოჩნდა, რაც გამოსასწორებელია. მთავარია, იგივე არ განმეორდეს ერთა თასზე, სადაც იოლი გასეირნება არ გველის.

ბუნებრივია საკუთარი სამწყსოს თამაშით კმაყოფილი არ იყო ნაკრების ავსტრალიელი დამრიგებელი ტიმ ლეინიც, რომელსაც ხარვეზების აღმოსაფხვრელად გარკვეული პროგრამა აქვს შემუშავებული.

"აშკარად იმედგაცრუებული ვარ. გული დამწყვიტა ზოგი მოთამაშის დამოკიდებულებამაც. ვეუბნებოდი, რომ საქართველოს ნაკრები ყოველთვის მებრძოლი ბიჭებისგან შედგებოდა და ყოველთვის ასე უნდა იყოს-მეთქი.

როგორც არ უნდა იყოს, სერიოზული გამოცდილება მივიღეთ. შოტლანდიურმა შეხვედრებმა დაგვანახა რომ ფიზიკურად ძალზე სუსტად ვართ მომზადებული.

შოტლანდიურ ტურნემდე ცოტა ხნით ადრე 50 მორაგბეს ერთგვარი ტესტირება ჩავუტარე, გამოცდა კი მხოლოდ ხუთმა ჩააბარა. მგონი საკმარისი მიზეზია ქართული სარაგბო სურათის შესაქმნელად. A ნაკრებთან თამაშის საწყის 20 წუთის შემდეგ კედელს დავეჯახეთ.

ჩვენი უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ ბიჭებს ერთად თამაშის ნაკლები გამოცდილება აქვთ. ჩვენგან განსხვავებით შოტლანდიის ნაკრები კვირაში ორჯერ მაინც ვარჯიშობს. აღარაფერს ვამბობ მათ საკლუბო დონეზე.

...შედეგი არაა ყველაფერი. 1998 წელს, როდესაც ავსტრალიის ნაკრებში ასისტენტად ვმუშაობდი ინგლისის ნაკრებს (მესამე ნაკრებს) ვუმასპინძლეთ, რომელიც 76:0 დამარცხდა. 2003 წელს კი მსოფლიო თასი ინგლისმა მოიგო. ასე რომ, ანგარიშის გამო ნუ დავითრგუნებით. მთავარია სწორი დასკვნები გავაკეთოთ და ბიჭებმა ის პროგრამა შეასრულონ, რომელიც მათთვის შევიმუშავე.

...წლეულს ევროპის შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის ფინალში მესამე ადგილი დავიკავეთ და იმდენი ქულა დავაგროვეთ, რომ ორ უმნიშვნელოვანეს ასპარეზობაზე - 2008-09 წლის ირბ-ის მსოფლიო სერიის ტურნირებში და 2009 წლის შვიდკაცა რაგბის მსოფლიო თასზე მოვსინჯოთ საკუთარი ძალები. ირბ-ის მსოფლიო სერიაზე საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები იასპარეზებს დუბაის და ჯორჯის ტურნირებში (შესაბამისად 2008 წლის 28-29 ნოემბერს და 5-6 დეკემბერი).

საგაისო შვიდკაცა რაგბის მსოფლიო თასი 5-7 მარტს დუბაიში შედგება, რაც საქართველოს შვიდკაცა ნაკრებისთვის რიგით მესამე ასპარეზობა იქნება (პირველად საკუთარი ძალები მოვსინჯეთ 2001 და 2005 წელს).



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*ტიმ ლეინი ბორჯღალოსნებისგან ერთა თასისთვის ფიზიკურად უკეთ მომზადებას მოითხოვს*

### 2008-09 წლის მსოფლიო ირბ-ის შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერია

დუბაის შვიდკაცა (28-29 ნოემბერი, 2008 წ.)

**A ჯგუფი:**
ახალი ზელანდია
ავსტრალია
უელსი
ზიმბაბვე

**B ჯგუფი:**
სამხრეთ აფრიკა
კენია
შოტლანდია
საუდის არაბეთის სახალიფო

**C ჯგუფი:**
სამოა
არგენტინა
საფრანგეთი
**საქართველო**

**D ჯგუფი:**
ფიჯი
ინგლისი
აშშ
პორტუგალია

### ჯორჯის შვიდკაცა (5-6 დეკემბერი, 2008 წ.)

**ქვეჯგუფები**

**A ჯგუფი:**
ახალი ზელანდია
ინგლისი
საფრანგეთი
ტუნისი

**B ჯგუფი:**
სამხრეთ აფრიკა
ავსტრალია
აშშ
**საქართველო**

**C ჯგუფი:**
ფიჯი
არგენტინა
შოტლანდია
ზიმბაბვე

**D ჯგუფი:**
სამოა
კენია
უელსი
პორტუგალია

### დადგინდა სუპერთასის მატჩის დრო

საქართველოს სუპერთასის მატჩი მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონზე 3 დეკემბერს 14 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ "ვი თი ბი" ბანკის სუპერთასისთვის ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოს ჩემპიონი თბილისის "დინამო" და საქართველოს თასის მფლობელი ზესტაფონის "ზესტაფონი". ბილეთის ფასი - 2 და 3 ლარი.

### ქართველთათვის წარუმატებელი ტური

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მეცხრე ტური შუა კვირაში გაიმართა და იმ გუნდებისთვის, რომლებშიც საქართველოს ნაკრების კალათბურთელები თამაშობენ, უიღბლო გამოდგა.

ტაირონ ელისის "კახასოლი" მურსიასთან დამარცხდა და ახლა ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ბოლო, მეჩვიდმეტე ადგილზეა. თავად ელისისთვის მატჩი ურიგო არ ყოფილა. საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 32 წუთში საკუთარ ანგარიშზე 17 ქულა და 4 მოხსნა ჩაიწერა.

ბოლოსწინა საფეხურზე რჩება ვლადიმერ ბოისას "ვივემენორკა", რომელიც მორიგ ტურში "ესტუდიანტესთან" დამარცხდა. ვოვამ მოედანზე 9 წუთი დაჰყო და მხოლოდ ერთი მოხსნა შეაწია თავის გუნდს.

"ფუენლაბრადას" სასტარტო ხუთეულში ითამაშა ნიკა ცქიტიშვილმა და "უნიკახასთან" წაგებულ მატჩში 5 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა.

### შაფათავა ჩინებულად ასპარეზობს

19 წლის ქართველი ჩოგბურთელი სოფო შაფათავა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ჩინებულად ასპარეზობს - საქართველოს მესამე ჩოგანმა ერთეულთა გათამაშებაში მეოთხედფინალში გააღწია, წყვილებში კი უკვე ფინალშია.

ერთეულებში მე-2 ნომრად განთესილმა შაფათავამ საწყის რაუნდში რუს მარინა მელნიკოვას 7:5, 6:2 სძლია, უკრაინელ ლიუდმილა კიჩენოკს კი 7:6 (7:5), 1:6, 6:2 მოუგო.

მეოთხედფინალში სოფოს პირისპირ დადგება ყაზახი ზარინა დიასი, რომელმაც კვალიფიკაციიდან დაიწყო ასპარეზობა და საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის მოხვდა.

წყვილებში შაფათავასა და რუსი შამაიკოს დუეტი მე-4 ნომრად ითვლება.

ამ ტანდემმა თურქების - ბუიუკაკჩაისა და ოზგენის წყვილი 7:5, 6:3 დაამარცხა, უკრაინელების - პივენისა და ვასილევას დუეტს კი 7:5, 7:6 (7:6) მოუგო.

ნახევარფინალში შაფათავასა და შამაიკოს მე-2 რეიტინგის მქონე კაპშაისთან და რიბაკოვასთან უნდა ეთამაშათ, მაგრამ მეტოქეებმა ასპარეზობაზე უარი თქვეს და ჩვენთვის საინტერესო დუეტმაც ფინალში უბრძოლველად გააღწია.

ასტანას საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

### რამოსი არ ტყდება

ლონდონის "ტოტენჰემის" ყოფილი თავკაცი, ესპანელი ხუანდე რამოსი აცხადებს, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში დაბრუნება სურს.

"ინგლისში ჩემი კარიერა წარმატებით დაიწყო. მუშაობის პირველივე თვეს მოვიგე პირველი ტიტული. პირველი ესპანელი ვარ, რომელმაც "უემბლიზე" მოიგო ტიტული. თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ თასის მოგებაზე სასიხარულო წუთები ჩემს ინგლისურ ეპოპეაში არ ყოფილა. არადა, "ტოტენჰემში" უფრო დიდი ამბიცია მქონდა. იმედია, ინგლისში მუშაობის შანსი მომეცემა და მივაღწევ ყველაფერს, რაც "ტოტენჰემთან" ერთად მქონდა დაგეგმილი", - აცხადებს ხუანდე რამოსი.

### "ბებერი ქალბატონი" ახალ სტადიონზე ითამაშებს

ტურინის "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა ახალი სტადიონის მშენებლობას იწყებს. იტალიურმა გრანდმა უკვე მოაწყო ახალი სტადიონის მაკეტის პრეზენტაცია. მშენებლობა მომავალი წლის მარტში დაიწყება. "იუვენტუსის" ახალი არენა 40 ათას მაყურებელზეა გათვლილი. მისი აშენება 90 მილიონი ევრო დაჯდება და 2011 წლის მაისში დასრულდება.

## მექსიკელები ერიქსონის გადაყენებას ითხოვენ

მექსიკის ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩი ჰონდურასის ეროვნულ ნაკრებთან წააგო, რამაც მექსიკური მედიისა და საფეხბურთო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მექსიკაში უკვე ითხოვენ სვენ გორან ერიქსონის თანამდებობიდან გადაყენებას.

"გააგდეთ ეს კაცი. რა გახდა ეს ოთხი მილიონი, ბოლოს და ბოლოს, ამ თანხას გულშემატკივარი გადაიხდის", - დაახლოებით ასეთი შინაარსის სტატიები დაიბეჭდა ჰონდურასთან მატჩის შემდეგ მექსიკურ მედიაში.

## ადიანო ბრაზილიაში დაბრუნებას უარყოფს

მას შემდეგ, რაც ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოს კიდევ ერთხელ გაუფუჭდა ურთიერთობა "ინტერის" მესვეურებთან, იტალიურ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ფორვარდი ბრაზილიაში დაბრუნდება და "ფლუმინენსეში" ითამაშებს. "ბრაზილიაში ნაკრებში სათამაშოდ ვიყავი ჩასული და ჩემდამი "ფლუმინენსეს" ინტერესის შესახებ არაფერი მსმენია. არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე ბრაზილიაში დავბრუნდე, მაგრამ ერთადერთი კლუბი, რომელშიც ვითამაშებ, "ფლამენგოა", - აცხადებს ადრიანო.

## კეიროშმა ბოდიში მოიხადა

ოთხშაბათს გამართულ ამხანაგურ მატჩში პორტუგალიის ნაკრები ანგარიშით 2:6 დამარცხდა ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან. ასეთი სამარცხვინო მარცხის შემდეგ პორტუგალიელთა თავკაცს კარლუშ კეიროშს ისღა დარჩენოდა, რომ გულშემატკივრებისთვის ოფიციალურად მოებოდიშებინა.

"მთლიანიად ვიზიარებ მატჩის შედეგად გაღიზიანებული ქომაგების განწყობილებას. თითოეულ მათგანს ბოდიშს ვუხდი. ამ მატჩში გამოჩნდა შეცდომები, რომლებზეც უნდა ვიმუშაოთ და სასწრაფოდ გამოვასწოროთ", - განაცხადა კეიროშმა.

## კლინსმანს დონოვანი დასჭირდა

აშშ-ის ნაკრების ფორვარდი ლინდლონ დონოვანი სეზონის ბოლომდე იჯარის წესით გერმანული "ბაიერნის" ღირსებას დაიცავს.

26 წლის ფეხბურთელი მიუნხენური კლუბის რიგებში ათი დღის განმავლობაში ვარჯიშობდა და იურგენ კლინსმანსაც მოაწონა თავი.

"ჩვენი მიზანია, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე შევინარჩუნოთ დონოვანი", - აცხადებს კლინსმანი "ლოს ანჯელეს გელექსის" ფეხბურთელზე.

## "მეთოფეები" კომპენსაციას ითხოვენ

"არსენალის" ახალგაზრდა ფორვარდი ტეო უოლკოტი სამ თვეს ვერ შეძლებს თამაშს - მან ინგლისის ნაკრების შეკრებაზე მიიღო ტრავმა.

ლონდონური კლუბის მესვეურებმა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას მიმართეს და კომპენსაციას ითხოვენ ფეხბურთელის დაშავების გამო.

სანამ "მეთოფეთა" მესვეურები ინგლისური ფეხბურთის მამებისგან ფულად კომპენსაციას მიღებენ, არსენ ვენგერი უოლკოტის შემცვლელის ძიებაშია.

"იმედგაცრუებული ვარ, რადგან უოლკოტი ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამ შემთხვევაში ნაკრებს ვერ დავადანაშაულებ. ასეთი ტრავმა ტეოს შეიძლება კლუბშიც მიეღო. ამიტომ ვფიქრობ, გუნდის ხელმძღვანელობა ახლა კომპენსაციის მიღებაზე კი არა, უოლკოტის შემცვლელის პოვნაზე უნდა ფიქრობდეს", - აცხადებს ვენგერი.

## რივალდოს უზბეკეთი გაუტკბა

ბრაზილიის ნაკრებისა და კატალონიური "ბარსელონას" ექსვარსკვლავი რივალდო უზბეკურ "ბუნედკორში" თამაშობს და, როგორც ჩანს, იმდენად კმაყოფილია თავისი დღევანდელი ყოფით, რომ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა.

"მინდა წვლილი შევიტანო უზბეკური ფეხბურთის განვითარებაში. აქ შექმნილი პირობები ჩემთვის სრულიად მისაღებია. ამიტომ კიდევ რამდენიმე წელიწადს დავრჩები ამ საუცხოო ქვეყანაში", - აცხადებს რივალდო.

## ჩავი კმაყოფილია

"ბარსელონას" ნახევარმცველმა ჩავიმ აღიარა, რომ უახლოეს დღეებში გააფორმებს კლუბთან ახალ კონტრაქტს და კარიერასაც მშობლიურ კლუბში დაასრულებს.

"კლუბთან კონტრაქტის ყველა დეტალი შეთანხმებულია და უახლოეს დღეებში ახალი კონტრაქტი გაფორმდება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მშობლიურ კლუბში დავასრულებ კარიერას", - აცხადებს ჩავი.

თავიდან მოლაპარაკების პროცესში იყო გარკვეული პრობლემები. "ბარსას" მესვეურები ჩავის ხელფასის სახით 7 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, ფეხბურთელი კი 9 მილიონს ითხოვდა.

# კალაძემ და შევჩენკომ დაკითხვაზე გამოძახება უარყვეს

ორი დღის წინ უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად "მილანის" ფეხბურთელები კახა კალაძე და ანდრეი შევჩენკო უკრაინულმა პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბარა უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს მოწამვლის საქმესთან დაკავშირებით.

შევჩენკოსა და კალაძის გვარები მას შემდეგ ამოტივტივდა, რაც უკრაინის გენპროკურატურამ დაკითხა მათი ყოფილი თანაგუნდელი ანდრეი გუსინი. ამ უკანასკნელს არ უარყვია დაკითხვის ფაქტი, თუმცა რაზე იყო საუბარი დაკითხვისას, არ დაუკონკრეტებია.

უკრაინული მედიის მტკიცებით, შევჩენკო და კალაძე მოწმის სტატუსით უნდა დაეკითხათ. საქმე ის არის, რომ შევჩენკო, კალაძე და გუსინი მეგობრობენ ბიზნესმენ თამაზ ცინცაბაძესთან, რომელიც იუშენკოს მოწამვლის საქმეში მოწმის სტატუსით ფიგურირებს.

როგორც უკვე ვთქვით, გუსინს პროკურატურის წარმომადგენლებთან საუბრის ფაქტი არ უარყვია. შესაძლოა სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ უკრაინელმა ჟურნალისტებმა საქმეს შევჩენკო და კალაძეც დაუკავშირეს.

უკრაინაში გავრცელებული ინფორმაცია მაშინვე აიტაცა


კახა კალაძე უკრაინის გენპროკურატურას არ დაუბარებია

უცხოურმა მედიამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ შევჩენკოს და კალაძეს ოფიციალური განცხადების გაკეთება დასჭირდათ.

გუშინ საფეხბურთო კლუბ "მილანის" ოფიციალურ ვებგვერდზე ქართველი და უკრაინელი ფეხბურთელის ერთობლივი განცხადება გამოქვეყნდა.

"კიევში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენ არასდროს, ვიმეორებთ, არასდროს დავუბარებივართ უკრაინის გენპროკურატურაში ამ საქმესთან დაკავშირებით", - ნათქვამია კალაძე-შევჩენკოს ოფიციალურ განცხადებაში.

# სვანაძის გუნდი შესარჩევ ციკლს იწყებს

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები გუნდი ფეხბურთში, რომელსაც ზაურ სვანაძე ხელმძღვანელობს, 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური საგზურისთვის იბრძვის.

დღეს კვიპროსში შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი ჩაივლის. ქართველი ახალგაზრდები ჯგუფში ჩეხეთის, კვიპროსისა და დანიის ნაკრებ გუნდებთან ერთად არიან. მომდევნო ეტაპზე პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები გადიან.

სვანაძის შეგირდები შესარჩევი ციკლისთვის იტალიაში ემზადებოდნენ, დღეს კი შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში დანიის 19 წლამდელთა ნაკრებს შეხვდებიან. მატჩი თბილისის დროით 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. შეხვედრას ფრანგი არბიტრების ბრიგადა მოემსახურება. ქართველი ახალგაზრდები მეორე მატჩს 24 ნოემბერს კვიპროსის ნაკრებთან გამართავენ. ეს მატჩი ჩვენი დროით 16.30 საათზე დაიწყება. მას შოტლანდიელ არბიტრთა ბრიგადა მოემსახურება. შესარჩევი ციკლის მესამე მატჩში კი ჩვენი ბიჭები ჩეხებს შეხვდებიან. მატჩი 16.30 საათზე დაიწყება. მსაჯები ისევ შოტლანდიელები იქნებიან.

სვანაძემ კვიპროსში შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე (დინამო, თბილისი), ამირან კოტრიკაძე (გაგრა)

**მცველები:** გიორგი სარაჯიშვილი (ოლიმპი), გიორგი გეთიაშვილი (დინამო, თბილისი), გიორგი კაჭკაჭიშვილი (დინამო, თბილისი), დათა რიგვავა (ანორთოსისი, კვიპროსი), ილია გამრეკელიძე (ვიტ ჯორჯია), ლევან კაკუბავა (დინამო, თბილისი)

**ნახევარმცველები:** გიორგი სარალიძე (რიმინი, იტალია), ნიკა ჯიშკარიანი (დინამო, თბილისი), ირაკლი ხურციძე (ამერი), თორნიკე თარხნიშვილი (სპარტაკი), თემურ შონია (სპარტაკი), ირაკლი კვეკვესკირი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი)

**თავდამსხმელები:** მიხეილ ხოკერაშვილი (გაგრა), ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია), ზაქარია ბეგლარიშვილი (აიაქსი, ჰოლანდია), ზვიად ქანთარია (დინამო, თბილისი).

# კოკაი პოზიციებს თმობს

იაპონიის კუნძულ კიუსიუზე მიმდინარე სუმოისტთა წლის უკანასკნელ სუპერტურნირზე ორი ტური დარჩა გასამართი. ასპარეზობის მეცამეტე დღე უიღბლო გამოდგა ქართველებისთვის.

ლევან ცაგურიამ, რომელსაც ბაშოს დადებითი ბალანსით დამთავრება გარანტირებული აქვს, პირადი რეკორდის გაუმჯობესების შანსი სწორედ გუშინ დაკარგა. კოკაი აღმოსავლეთის მეთოთხმეტე მაიგაშირა ტაკამისაკირისთან დამარცხდა. ახლა ქართველის აქტივში რვა გამარჯვება და ხუთი მარცხია. საუკეთესო შემთხვევაში კოკაი ათი გამარჯვებით დაასრულებს ბაშოს. ასეთი შედეგი კი ქართველს აქამდეც აქვს ნაჩვენები.

წაგებათა რიცხვი თერთმეტამდე გაზარდა ტოჩინოშინმა, რომელიც გუშინ იორიკირის ილეთით დამარცხდა დასავლეთის პირველ მაიგაშირა ფუტენოსთან. ცამეტი დღის შემდეგ ლევან გორგაძეს სულ ორი გამარჯვება აქვს.


კოკაიმ პირადი რეკორდის დამყარების შანსი ხელიდან გაუშვა

მორიგი გამარჯვებები იზეიმეს ბაშოს ლიდერებმა სეკივაკე ამამ და იოკოძუნა ჰაკუჰომ. მათ 13-დან 11-11 ბრძოლა აქვთ მოგებული. ბაშოს გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ბრძოლის გამართვა გახდება საჭირო, თუ, რა თქმა უნდა, დარჩენილი ორი დღის განმავლობაში რომელიმემ არ წაიფორხილა.

დღეს ტურნირის ბოლოსწინა დღეა. კოკაის მეტოქეა დასავლეთის მეთექვსმეტე მაიგაშირა ჩიოჰაკუჰო, რომელსაც დადებითი ბალანსისთვის დარჩენილი ორი ბრძოლიდან ერთის მოგება სჭირდება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი ერთხელ შეხვდა ჩიოჰაკუჰოს და დაამარცხა.

ტოჩინოშინს დასავლეთის კომოსუბ ამინასიკისთან მოუწევს ბრძოლა. ამ უკანასკნელმა რვა შერკინება მოიგო და დადებითი ბალანსიც განაღდებული აქვს.

# ქართველმა მოჭადრაკეებმა მოგების გემო გაიხსენეს

დრეზდენში მიმდინარე 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მეშვიდე ტური წარმატებული გამოდგა ქართველი მოჭადრაკეებისთვის. წინა ტურში მათ საკმაოდ სუსტად ითამაშეს და სატურნირო ცხრილში პოზიციები დათმეს, თუმცა მეშვიდე ტურში ვაჟებმაც და ქალებმაც ბრწყინვალე შედეგი აჩვენეს და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

ვაჟების მეტოქე შოტლანდიის ნაკრები იყო. სქოთებმა ჩვენს ბიჭებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ჯობავამ, არუთუნიანმა და მჭედლიშვილმა გამარჯვება იზეიმეს, იზორიამ კი ყაიმით დაასრულა პარტია. ქართველებმა 3.5:0.5 დაამარცხეს შოტლანდიელები. ამ გამარჯვების წყალობით ქართველ ვაჟებს 10 ქულა დაუგროვდათ და ლიდერს - სომხეთის ნაკრებს 3 ქულით ჩამორჩებიან.

უფრო დამაჯერებლად იასპარეზეს ქალებმა. მათ ესპანეთის ნაკრებს მოუგეს - 4:0.

ვაჟების მსგავსად, ქალებსაც ათი ქულა დაუგროვდათ და ლიდერ - ჩინეთის ნაკრებთან 3 ქულას აგებენ.

# ბუფონი 75 მილიონად არ გაყიდეს

გუშინ იტალიის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" მეკარის თაობაზე ერთმანეთის მიყოლებით ორი ინფორმაცია გავრცელდა.

"გაძეტა დელო სპორტის" გუშინდელ ნომერში ითქვა, რომ "მანჩესტერ სიტიმ" წინადადებით მიმართა "იუვენტუსს" ჯანლუიჯი ბუფონის ტრანსფერის თაობაზე.

"ქალაქელთა" ახალი მეპატრონეები მზად იყვნენ ბუფონის სანაცვლოდ "ბებერი ქალბატონისთვის" 75 მილიონი ევრო გადაეხადათ. ამასთან, თავად ბუფონთან ხუთწლიან კონტრაქტს აფორმებდნენ და მეკარე სეზონში 15 მილიონ ევროს მიიღებდა. როგორც ხედავთ, თანხა მეტისმეტად სოლიდურია და ბუფონისადმი შეთავაზებული პირობებიც - საკმაოდ მაცდური.


ბუფონი "იუვეს" ერთგული რჩება

შეგახსენებთ, სულ ცოტა ხნის წინ თავად ბუფონმა განაცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს ტურინულ კლუბს, თუ რომელიმე უცხოური კლუბიდან მიიღებს შეთავაზებას და ანაზღაურებაც სოლიდური იქნება. "სიტის" წინადადება ბუფონის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, თავად "იუვენტუსისთვის" კი 75 მილიონი ევრო ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო. მით უმეტეს, რომ ტურინელებს არაერთხელ გაუყიდიათ ვარსკვლავები დიდი ანაზღაურების ფასად (გავიხსენოთ კრისტიან ვიერისა და ზინედინ ზიდანის მაგალითი).

გუშინვე იტალიურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტურინელებმა "მანჩესტერ სიტის" შეთავაზება უარყვეს. "ბუფონმა გაჭირვებისას კლუბი არ მიატოვა და, ცხადია, გუნდის ხელმძღვანელობა მისი სურვილის წინააღმდეგ არ წავა. თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ჯიჯის "იუვენტუსის" დატოვება არ სურს და, რაოდენ დიდი თანხაც არ უნდა შემოგვთავაზონ, მას არ გავყიდით", - განუცხადა ჟურნალისტებს "იუვენტუსის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჟან კლოდ ბლანმა.

# გვარდიოლას კოდექსი

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის - ეს გამონათქვამი სრულად შეეფერება "ბარსელონას" ახალ მწვრთნელს პეპ გვარდიოლას.

მას შემდეგ, რაც კატალონიური კლუბის ყოფილი ვარსკვლავი ამავე გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, "ბარსელონას" საქმეები წინ მიდის, გუნდი საუცხოო ფეხბურთს აჩვენებს და თამაშს თამაშზე იგებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ რაიკაარდის პერიოდთან შედარებით "ბარსას" შემადგენლობაში რადიკალური ცვლილება არ მომხდარა და ამ თვალსაზრისით გუნდი შესაძლოა დასუსტებულიც იყოს, უნდა დავასკვნათ, რომ "ბარსას" წარმატებების დიდი წილი სწორედ გვარდიოლაზე მოდის.

რაში მდგომარეობს პეპ გვარდიოლას საიდუმლო? პირველ რიგში, ეს სიმკაცრე ყოფილა. მან გუნდში მისვლის პირველივე დღიდან მკაცრი კანონები დააწესა, პირველი ნოემბრიდან კი "ბარსელონაში" პეპ გვარდიოლას კოდექსი მოქმედებს. გუნდის თითოეული წევრი ვალდებულია ამ კანონებს დაემორჩილოს.


გვარდიოლამ "ბარსას" ვარსკვლავებს ახალი კოდექსი შეუდგინა

ეს კოდექსი, რომელიც სამ ფურცელზეა დაწერილი, გვარდიოლამ უკვე შეათანხმა "ბარსას" კაპიტნებთან და დაურიგდა ყველა ფეხბურთელს.

კოდექსში არაერთი საინტერესო დეტალია. მაგალითად, მოქმედებს ჯარიმების სისტემა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვარჯიშზე დაგვიანებას.

თითოეული ფეხბურთელი ვალდებულია ვარჯიშზე გამოცხადებისთანავე სპეციალურ სიაში თავისი გვარის გასწვრივ დატოვოს საკუთარი ხელმოწერა და იქვე მიუთითოს დროც. ამ სიას თავად გვარდიოლა ამოწმებს. ფეხბურთელები ვალდებული არიან ვარჯიშის დაწყებამდე 55 წუთით ადრე გამოცხადდნენ საწვრთნელ ბაზაზე.

ჯარიმები კი 500-დან 6000 ევრომდე მერყეობს. მაგალითად, ერთი წუთით ვარჯიშზე დაგვიანება 500 ევროთი ისჯება. გულშემატკივრის მიმართ უყურადღებობა და ავტოგრაფზე უარის თქმა - 800 ევრო. საინტერესოა რა ღირს მატჩის შემდეგ მიქსზონაში გამოუცხადებლობა.

ფეხბურთელი 1000 ევროთი დაჯარიმდება, თუ გამოტოვებს მატჩის შემდგომ ერთობლივ ვახშამს. ამდენივე დაუჯდება ვარჯიშის შემდეგ სადილზე უარის თქმა. ერთობლივი ტრაპეზის შესახებ პეპი კვირის დასაწყისში გააფრთხილებს თითოეულ ფეხბურთელს.

მაგალითად, თუ ფეხბურთელი ღამის 12 საათის შემდეგ სახლში არ არის, მას 2000 ევროს გადახდა მოუწევს. გვარდიოლას შეუძლია ნებისმიერი ფეხბურთელის შემოწმება. ყველაზე ძვირად კი უმიზეზოდ ვარჯიშის გაცდენა დაუჯდება ფეხბურთელს. ვინც ამას გაბედავს, 6000 ევროს გადახდა მოუწევს.

### ბერბატოვი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს

ბულგარეთის ნაკრების წარუმატებელ თამაშში ყველაზე მეტად "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავს დიმიტარ ბერბატოვს ადანაშაულებენ. მწვრთნელიც და გულშემატკივარიც იმ აზრზეა, რომ ბერბატოვი ნაკრებში თამაშისას ბოლომდე არ იხარჯება. ასეთი ბრალდების გამო ბერბატოვმა სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

"იმის გამო, რომ ნაკრების წარუმატებელ თამაშში ყველა ბერბატოვს ადანაშაულებს, ის მზად არის საერთოდ წავიდეს ნაკრებიდან", - აცხადებს დიმიტარის აგენტი ემილ დანჩევი.

### ტრაპატონიმ კინერი გაანაწყენა

ამას წინათ ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ იტალიურ კლუბებს ურჩია ირლანდიის ნაკრებისა და "ნიუკასლის" მეკარის შეი გივენის შეძენა. "ჯორდების" დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა ჯო კინერმა ეს საკუთარი გუნდის უპატივცემლობად ჩათვალა.

"ტრაპატონის სიტყვები ჩვენი კლუბის მიმართ უპატივცემლობად მიმაჩნია. ბოლოს და ბოლოს, გივენს "ნიუკასლთან" კონტრაქტი კიდევ სამი წლით აკავშირებს. არ ვიცი, რატომ ერევა ტრაპატონი გივენის საქმეში. შესაძლოა მას კეთილი ზრახვები აქვს, მაგრამ მისი სიტყვები ჩემთვის მაინც გაუგებარია", - აცხადებს კინერი.

### ტერიმ თანაგუნდელები გააფრთხილა

ლონდონის "ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი თანაგუნდელებს აფრთხილებს, რომ იმ თამაშით, რომელიც გუნდმა ორი კვირის წინ რომში ჩემპიონთა ლიგის მატჩში აჩვენა, გუნდი შორს ვერ წავა.

"სიტუაცია ძალზე მარტივია. თუ საქმეს ისე მივუდექით, როგორც ეს რომაულ მატჩში მოხდა, წარმატებაზე ფიქრიც კი არ ღირს. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა. რომში უნდა დავბრუნდეთ და სულ სხვა ფეხბურთი ვაჩვენოთ", - ამბობს ტერი.

შეგახსენებთ, წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი სწორედ რომში, "სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართება.

### მოურინიოზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში "ინტერი" და "იუვენტუსი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რამდენიმე დღის წინ ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ რანიერის "იუვენტუსი" იმ დონის გუნდი არ არის, რომელიც "ინტერს" კონკურენციას გაუწევს.

კლაუდიო რანიერიმ მოურინიოს სიტყვები უპასუხოდ დატოვა. მეტიც, მან პორტუგალიელი შეაქო.

"ყველა ფეხბურთელი, ვისაც მოურინიოსთან უმუშავია, მას აქებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟოზე გუნდში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ერთადერთი, რაც მოურინიოში არ მომწონს, ის არის, რომ ხშირად კამათობს. მშურს თუ არა მისი ხელფასი? რა თქმა უნდა, არა. მოურინიო ძლიერი სპეციალისტია და იმსახურებს იმ თანხას, რასაც უხდიან", - განაცხადა რანიერიმ.

### აკვილანიმ "იუვენტუსი" უარყო

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "რომასა" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა ალბერტო აკვილანიმ "იუვენტუსთან" დაიწყო მოლაპარაკება, რაც გუშინ ფეხბურთელის აგენტმა უარყო. "საუბარი იმის შესახებ, რომ აკვილანი "რომას" დატოვებს, საფუძველს მოკლებულია".

### რონალდო - "კორინთიანსის" ინტერესის სფეროში

"მილანის" ყოფილი თავდამსხმელი რონალდო, რომელმაც მუხლის მესამე უმძიმესი ტრავმა მოიშუშა, "კორინთიანსის" ინტერესის სფეროში აღმოჩნდა. კლუბის სპორტული დირექტორი ანტონიო კარლოსი გასულ კვირას შეხვდა რონალდოს. მოლაპარაკების დეტალები არ ხმაურდება, - იტყობინება Lance.

### კასილიასმა პარტნიორებს ერთიანობისკენ მოუწოდა

"რეალის" მეკარე იკერ კასილიასმა თანაგუნდელებს ერთიანობისკენ მოუწოდა, რათა რაც შეიძლება სწრაფად იქნას დაძლეული კრიზისი, რომელშიც "სამეფო კლუბი" აღმოჩნდა.

"რა თქმა უნდა, არ მოგვწონს სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდით. ამ სეზონში გვქონდა როგორც კარგი, ისე ძალიან მძიმე წუთებიც. ახლა სწორედ ის დროა, რომ ერთად დავდგეთ და დავამტკიცოთ ჩვენი სიძლიერე. ყველას უნდა ვაჩვენოთ, რომ გუნდი ვართ და თამაში შეგვიძლია", - აცხადებს კასილიასი.

# საქართველო სოჭი-2014-ს "ჩქმიტავს"

გიგა გურასაშვილი



AFP ' 2008

სტამბოლში მიმდინარე ევროპის ოლიმპიური კომიტეტების 37-ე გენერალური ასამბლეა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იქ სოჭი-2014 საკითხია განსახილველი.

სოჭში ზანთრის ოლიმპიური თამშების ჩატარებას საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან (ეოკ-ი) ერთად რიგი ეოკ-ებიც ეწინააღმდეგებიან. ასე მაგალითად, ავსტრიის ფედერალური მიწების გუბერნატორი გაბი ბურგშტალერი აცხადებს, რომ ზალცბურგი მზადაა უმასპინძლოს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ეს იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ფედერაციის შავიზღვისპირა ქალაქი სოჭი 2014 წლისთვის მზად არ იქნება "თეთრი ოლიმპიადის" სამასპინძლოდ.

ბურგშტალერის თქმით, ზალცბურგში ფაქტობრივად ყველაფერი მზადაა საოლიმპიადოდ. ეს მაშინ, როდესაც სოჭში დღესდღეობით საჭირო 250-დან მხოლოდ 20 ნაგებობის მშენებლობა მიმდინარეობს.

ამასობაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გადატანის მოთხოვნით გამოდის.

ეს ის საკითხია, რომელიც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ასამბელაზე დააყენა.

ქართული მხარის ოფიციალურ წერილში ნათქვამია, რომ 2014 წელს სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება დაუშვებელია, რადგან ქალაქის უსაფრთხოება საქართველოს მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიის - აფხაზეთის გამო გარანტირებული არაა.

არადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ საქართველოს მოთხოვნა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სოჭიდან გადატანის შესახებ პოლიტიკური შეხედულებებითაა ნაკარნახევი.

"ინტერფაქსის" ცნობით, ქართული მხარე ყველანაირი მეთოდით ცდილობს რუსეთს "უჩქმიტოს" და ამისთვის უსახურ მეთოდებს იყენებს.

...შარშან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გვატემალის 119-ე სესიაზე ოლიმპიზმის მესაჭეთა დიდმა ნაწილმა კორეის პიონჩანსა და ავსტრიის ზალცბურგს რუსეთის სოჭი ანაცვალა.

არადა, კენჭისყრის გადამწყვეტ რაუნდამდე ანუ პირველ ტურში პიონჩანი ორი ხმით უგებდა სოჭს, გადამწყვეტ რაუნდში კი სოჭმა ოთხი ხმით გაუსწრო უმთავრეს კონკურენტს და გამარჯვებაც იზეიმა - სოკ-ის 51 წევრმა 47-ის წინააღმდეგ სოჭს დაუჭირა მხარი.


AFP ' 2008

*კანადელი მონიკა პისტოლამ და მაიკლ სტიუარტმა წყვილთა მოკლე, იგივე სავალდებულო პროგრამაში რუსეთის გრანპრიზე თითქოს კარგად ისრიალეს, მაგრამ გამარჯვება ჩინელების წყვილს დან ჟანგსა და ჰაო ჟანგს დარჩენიათ. ჩინელებს ფეხდაფეხ მიყოლია იოკო კავაგუჩისა და ალექსანდრ სმირნოვის მასპინძელთა ტანდემი. აი, მესამეზე კი უკრაინელების ტატიანა ვოლოსოჟარსა და სტანისლავ მოროზოვის წყვილი გასულა. კანადელებს კი მოკლე პროგრამაში მეექვსე შედეგი აღმოაჩნდათ.*

## შესწორება
## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

ა/წ 23 ოქტომბრის გაზეთ „24 საათში" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №5, №9, №12, №13 და №18 სალიცენზიო ობიექტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №5, №9, №12, №13 და №18 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | თერჯოლა, სოფ. ჭოგნარი | მდ. ყვირილას ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 34 000 $м^3$ | 4 559 | 912 | 1 082,4 |
| 9 | თერჯოლა, სოფ. ბარდუბანი | მდ. ყვირილას ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1+C_2$ | 5 წელი | 285 000 $м^3$ | 38 215 | 7 643 | 2 182.4 |
| 12 | ახალქალაქი, სოფ. მოდეგა | „მოდეგის" ვულკანური წიდის საბადო | A+ B | 10 წელი | 45 000 $м^3$ | 15 314 | 3 063 | 1 204.4 |
| 13 | ჩხოროწყუ, სოფ. ქვედა ჩხოროწყუ | მდ. ხობისწყლის ქვიშა, ხრეშის საბადო | $B+C_1+C_2$ | 5 წელი | 150 000 $м^3$ | 20 113 | 2 023 | 1.789.4 |
| 18 | ხობი, სოფ. ქარიატას მიმდებარედ | მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე ჭაბურღილის თერმული წყალი (სათბურისათვის) | P | 25 წელი | 430 $м^3$/დღე | 10 000 | 2 000 | 625,4 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ. №12. ტელ: 98 20 13, 98 23 62 აუქციონი ჩატარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს, 11 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს. |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000 |
| მე-5; მე-9; მე-12, მე-13 და მე-18 ობიექტებზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გაწეული მომსახურების საფასური | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო":** ს/ს „პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საიდ. კოდი: 204559691 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები.<br>**მე-18 ობიექტზე გამარჯვებული პირი ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში მოაწყოს სასათბურე მეურნეობა მინიმუმ 0,5 ჰა. ფართობზე.** |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

## შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი" აცხადებს აუქციონს ავტომანქანების რეალიზების მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის, საწყისი გასაყიდი ფასის, „ბე"-ს და ბიჯის შესახებ:**

**- ავტომანქანა (მიკროავტობუსი) CITROEN ZX 1.9 TD, AVANTAGE,** გამოშვების წელი - 1997, სახ. №MMW-092 - საწყისი სარეალიზაციო ფასი 2275 აშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში, „ბე"-ს სიდიდე 400 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში, ბიჯის ოდენობა 100 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში.

**- ავტომანქანა MAZDA MILENIA,** გამოშვების წელი - 1999, სახ. №LSL-305 - საწყისი სარეალიზაციო ფასი 3750 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში, „ბე"-ს სიდიდე 400 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში, ბიჯის ოდენობა 100 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში.

აუქციონი ჩატარდება თითოეულ ავტომანქანაზე ცალ-ცალკე.

**მესაკუთრე:** შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი".

**თანხის გადახდის ვადები:**
„მყიდველი" ვალდებულია აუქციონი ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქგნების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაიას აუქციონში მონაწილეზე და სარეალიზაციო ქონების დასახელებას;

ბ) „ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს/ს „ბაზისბანკი", ბანკის კოდი №220101956, მიმღები: შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი", ანგარიშის №9836596);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირეი დამატებით ზწარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**
აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 12 დეკემბერს, 17 საათზე და 30 წუთზე, მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) №28, VI სართული.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, 12 სთ-დან 17 სთ-მდე, ზემოაღნიშნულ მისამიართზე, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

**დამატებითი ინფორმაცია:**
სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს თითოეული ავტომანქანისთვის 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის" ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი „ბეს" თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონზე ვერგამარჯვების შემთხვევაში, გადახდილი „ბეს" თანხა უკან უბრუნდებათ.

მონაწილეს უფლება აქვს, „ბეს" დაუკავებლად, წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში. სხვა შემთხვევაში (მათ შორის: აუქციონზე გამოუცხადებლობისას) მის მიერ გადახდილი „ბეს" თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასის) გადახდა.

**შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი"**
საკონტაქტო ტელეფონი: 37-75-40

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

THE MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
NATIONAL CURRICULUM AND ASSESSMENT CENTER

Introduction

The Ministry of Education and Science of Georgia (MoES) is implementing the Education System Re-alignment and Strengthening Program (APL#2) credit number 4246 GE- to reform national primary, basic/secondary education, re-designing the core content of teaching and learning and developing new attainment target for all schools. The program is financed by the credit from the International Development Association (IDA) and grant funds provided by Japan under the PHRD Technical Assistance Program GrantNo.TF057515.

As a part of the Project, Government of Georgia has established the National Curriculum and Assessment Center (NCAC). NCAC now invites eligible consultants to indicate their interest in providing the services. NCAC is planning to select firms which will carry out the Educational Lirature Project. The assignment is divided into 3 (three) packages. Each package will be formed according to following topics:

Contractors for Educational Lterature Project

Topics:

1) "Useful instructions for teachers"
2) "Fundamental works in educational theory"
3) "Philosophy and psychology"

Main Goal

NCAC intends to launch a project for providing scientific literature in Georgian. Almost all pedagogical staff in public schools and universities currently uses old Soviet period literature which is outdated and ideologically biased. Therefore, due to lack of financing in this field coupled with small number of teachers who speak English there is need to provide these professionals with literature in their native Georgian. The main objectives of the project are aimed at translating professional, pedagogical literature from English into Georgian, creating electronic version and handing over copyrights to NCAC so, that translated material can be published in the future. Finished product will be distributed among pedagogical staffs working in Georgian public schools, future teachers and their trainers so that they can familiarize themselves with the latest methodology of western teaching style.

The volume of work to be translated can only be estimated on the basis of past experience of NCAC with projects of similar characteristics and scale. Funding, allocated for this particular project, would allow translation of approximately 80'000 pages, which in turn equals to nearly 200 different books.

Contractor will be selected based on two main criterias: i) evidence, in the form of all the necessary documentation, pointing at candidate's competence and the ability to fulfill all obligations in timely manner and, at the same time, ii) the price offered by the candidate.

Duties and Responsibilities:

· Translate material, selected by NCAC from English into Georgian;
· Paginate translated and corrected material according to the original;
· Create electronic version in pdf. format;
· Acquire copyrights of material, selected for the project, and hand them over to NCAC;
· Participate in joint trainings with experts in order to design coordinated measures for implementation - such as uniform list of terminology;
· Inform project manager about work progress on a regular basis;
· Submit processed material in compliance with deadlines set out by project manager;
· Comply with penalties, set out by project manager, if conditions stipulated in the contract are breached;
· Maintain chronological priority of books, in each package, established by NCAC;
· Comply with experts' assessment and correct material according to experts' recommendations;
· Comply with special clause in contract between NCAC and contractor, stipulating that contractor gives up any right to edit or publish finished books after copyrights are handed over to purchasing organization - NCAC;

Qualification Requirements (Criteria for Selection)

· The list of projects carried out during last 3 years and featuring tasks such as: translating material from English into Georgian and its pagination.
· Experience in translation of materials in the field of education. Quality of these works will be assessed by experts of NCAC.
· Data about their tangible assets - how many PC-s, printers, scanners what kind of software and how many specialists are at the diposal of the firm;
· Potential contractors are obliged to translate 10 pages free of charge and paginate them identically to the originals. Fulfillment of this condition will assist NCAC to assess firms' qualification and reject unqualified applicants.

Duration of Project

Duration of Project is 12 (twelve) months.

Consultants may express their interest in one, two or all three packages (topics) indicated above.

Consultants will be selected under the Least Cost Selection method (LCS) in accordance with the procedures set forth in the Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers, January 1997 (revised September 1997, January 1999, May 2002, April 2004 and February 2006).

Interested consultants shall submit information indicating that they are qualified to perform the services (brochures about the company/organization, specific description of similar assignments, specific description of experience in similar field, availability of appropriate skills among staff, etc.) to the address below. Information received by telex, fax or e-mail is acceptable:

National Curriculum and Assessment Center
3nd Floor, #330
52 Uznadze Street; 0102 Tbilisi. GEORGIA
Tel: + (995 32) 95-72-06
E-mail: vpataridze@ganatleba.org
Contact Person: Mr. Vakhtang Pataridze

The deadline for submission of expressions of interest and the information about Consultants qualifications is:

December 22, 2008 at 18:00 hours (local time).

---

**[illegible] 25% [illegible] 14.11.08 [illegible]**

[illegible]

[illegible] 9:00 [illegible] 18:00 [illegible] 18[illegible] 307.

[illegible] 18[illegible] 307.

[illegible] - 12 [illegible] 2008 [illegible] 18:00 [illegible]

[illegible] 18[illegible] 21[illegible] 9 [illegible]

[illegible] 24-[illegible] 11-[illegible] 2008 [illegible]

[illegible] 11:00 [illegible] 15 [illegible] 2008 [illegible] 18[illegible]

[illegible] - 895 11 60 00.

**შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" აცხადებს განმეორებით აუქციონს ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მოქმედი, შემდგომი ექსპლუატაციისათვის უვარგისი) გაყიდვაზე, 14.11.08 წ. დანიშნული აუქციონის ღირებულებების 25%-ით შემცირებული სასტარტო ღირებულებებით**

გასაყიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მოქმედი, შემდგომი ექსპლუატაციისათვის უვარგისი) სრული ჩამონათვალი და მათი საწყისი ფასი მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება ყველა პოტენციური ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- უნდა ფლობდეს სამოქალაქო უფლებაუნარიანობას შესყიდვების ხელშეკრულების გასაფორმებლად;
- უნდა იყოს გადამხდელუნარიანი, არ იყოს ლიკვიდაციის სტადიაში, მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა, მისი ფინანსური და სამეურნეო საქმიანობა არ უნდა იყოს შეჩერებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
- უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება შესაძლებელია სამუშაო დღეებში 09:00 საათიდან 18:00 საათამდე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 18ა, ბუღალტერია, ოთახი 307.

პოტენციურ მონაწილეების მიერ, აუქციონში მონაწილეობის შესახებ განაცხადი წარედგინება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს", მისამართზე საქართველო, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 18ა, ბუღალტერია, ოთახი 307.

საკონკურსო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა - 2008 წლის 12 დეკემბერი 18:00 საათი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ექვემდებარებიან რეალიზაციას, განლაგებულია მისამართებზე: მიცკევიჩის ქ. 18ა, ქავთარაძის ქ. 21ა, მაისურაძის ქ. 9 და ს. ყარაჯალარი (გაჩიანი).

აუქციონში პოტენციურ მონაწილეებს შეუძლიათ გაეცნონ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ექვემდებარებიან რეალიზაციას, 2008 წლის 24 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 15 დეკემბერს 11:00 საათზე შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. 18ა.

დამატებითი ინფორმაციისა და ცნობების მიღება შესაძლებელია ტელეფონის ნომერზე - 8 95 11 60 00.

---

შპს „ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტი"-ს რეორგანიზაციის (ნატურით გაყოფის) შედეგად შეიქმნა შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა-გიმნაზია "The First", რომლის დამფუძნებელია ლაშა კანდელაკიშვილი, ხოლო დირექტორი ნინო ოქროჯანაშვილი. შპს „ქართულ-ამერიკული სკოლა-გიმნაზია "The First" მდებარეობს ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. 26. ტელ: 291201; 893328718. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ.

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

იწვევს პირებსა და ორგანიზაციებს
**ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ**
ინფორმაციის წარმოსადგენად

**შესავალი**

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო ახორციელებს განათლების სისტემის გარდაქმნისა და გაძლიერების პროგრამას (APL#2) საკრედიტო ნომერი 4246 GE, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი და მეორადი განათლების გარდაქმნას და ყველა საჯარო სკოლისთვის ახალი მიზნების ჩამოყალიბებას. პროგრამის დაფინანსება ხდება საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ გამოყოფილი კრედიტის მეშვეობით და, აგრეთვე, იაპონიის მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამის - PHRD ეგიდით გამოყოფილი გრანტით - Grant No.TF 057515.

ამ პროექტის ფარგლებში დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ამჯერად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი იწვევს პირებსა და ორგანიზაციებს ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად ქვემოთ მითითებული პროექტისთვის:

**საგანმანათლებლო ლიტერატურის პროექტი**

თემატიკები:
1. **"სასარგებლო რჩევები მასწავლებლებისთვის"**
2. **"ფუნდამენტური ნაშრომები საგანმანათებლო თეორიაში"**
3. **"ფილოსოფია და ფსიქოლოგია"**

**მიზანი**

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) აპირებს დაიწყოს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას ქართულ ენაზე. ამჟამად თითქმის ყველა პედაგოგიური კოლექტივი სარგებლობს მოძველებული საბჭოთა ლიტერატურით, რომელიც ხშირად იდეოლოგიურად ტენდენციურია. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს დაფინანსების სიმწირე, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც ფლობენ ინგლისურს, მცირეა, გადაწყდა, მასწავლებლებს მიეწოდოთ ლიტერატურა მშობლიურ ქართულ ენაზე. პროექტის ძირითადი მიზნებია: პროფესიული ლიტერატურის თარგმნა ინგლისურიდან ქართულად, ელაქტრონული ვერსიის შექმნა და საავტორო უფლებების გადაცემა ცენტრისთვის, რათა მომავალში შესაძლებელ იქნას თარგმნილი მასალის გამოცემა. დასრულებული პროდუქტი ხელმისაწვდომი იქნება საჯარო სკოლებში მომუშავე პედაგოგიური კოლექტივებისთვის, მომავალი მასწავლებლებისთვის და მათი მწვრთნელებისთვის, რათა მათ შეძლონ უახლეს მეთოდოლოგიასა და სწავლების სტილთან გაცნობა.

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მსგავს პროექტებში ცენტრის მონაწილეობის გამოცდილების საფუძველზე. ამ პროექტისთვის განკუთვნილი დაფინანსება საშუალებას იძლევა, ითარგმნოს დაახლოებით 80000 გვერდი, რაც უტოლდება დაახლოებით 200 წიგნს.

კონტრაქტორი შეირჩევა ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: 1) ყველა სახის აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელიც მიუთითებს, რომ კანდიდატს შესწევს უნარი, დროულად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები; 2) კანდიდატის მიერ შემოთავაზებული ფასი.

**მოვალეობა - პასუხისმგებლობები**

- ცენტრის მიერ შერჩეული მასალის თარგმნა ინგლისურიდან ქართულად;
- ნათარგმნი და კორექტირებული მასალის დაკაბადონება ორიგინალის შესატყვისად;
- ელექტრონული ვერსიის შექმნა pdf. ფორმატში;
- პროექტისთვის შერჩეული მასალის საავტორო უფლებების მოპოვება და მათი გადაცემა ცენტრისთვის;
- ტრეინინგებში მონაწილეობა, რომლებიც ჩატარდება ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა, მაგალითად, საერთო ტერმინოლოგიური სიის შემუშავება და მისი დანერგვა;
- სამუშაოთა მსვლელობის თაობაზე ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება პროექტის მენეჯერისთვის;
- დამუშავებული მასალის წინასწარ დათქმულ ვადებში ჩაბარება;
- კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმების გადახდა;
- წიგნების თარგმნისას ცენტრის მიერ განსაზღვრული ქრონოლოგიური პრიორიტეტულობის დაცვა;
- ექსპერტთა შეფასებებისა და რეკომენდაციების თანახმად ნათარგმნი მასალის გასწორება;
- საავტორო უფლებების ცენტრისთვის გადაცემა და მასალის გამოცემის უფლებაზე უარის თქმა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები (კრიტერიუმები შერჩევისთვის)**

- ბოლო 3 წლის მანძილზე შესრულებული პროექტების სია, რომლებიც შეიცავენ ისეთ სამუშაოებს როგორიცაა მასალის ინგლისურიდან ქართულად თარგმნა და აგრეთვე მასალის დაკაბადონება;
- განათლების სფეროსადმი განკუთვნილი მასალების თარგმნის გამოცდილება. ამ სამუშაოთა ხარისხი შეფასდება ცენტრის ექსპერტების მიერ;
- ინფორმაცია აქტივების შესახებ - რამდენი კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, რა სახის პროგრამები და რამდენი სპეციალისტი არის მათ განკარგულებაში;
- პოტენციური კონტრაქტორები ვალდებულნი არიან, უსასყიდლოდ თარგმნონ და დააკაბადონონ მასალის 10 გვერდი. ამ პირობის შესრულება ცენტრს დაეხმარება, შეაფასოს კვალიფიკაცია და გამორიცხოს არაკვალიფიციური პრეტენდენტები.

**პროექტის ხანგრძლივობა**

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.

**ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შეიძლება ზემოთ მითითებული 3 თემატიკიდან ერთ-ერთზე, ორზე ან სამივეზე ერთად.**

კონტრაქტორის შერჩევისას ცენტრი იხელმძღვანელებს უმცირეს ღირებულებაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდით ("სახელმძღვანელო მსოფლიო ბანკის სესხის მიმღების მიერ კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების შესახებ" *გამოცემული 1997 წლის იანვარში. ცვლილებები შეტანილია 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში, 2002 წლის მაისში, 2004 წლის აპრილსა და 2006 წლის თებერვალში).*

ინტერესის გამოხატვის წერილები და სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში შემდეგ მისამართზე:

**ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, მე-3 სართული, ოთახი N330.
ტელეფონები: 95-72-06 F
ელ-ფოსტა: vpataridze@ganatleba.org
საკონტაქტო პირი: ბ-ნი **ვახტანგ პატარიძე**

**ინტერესის გამოხატვის წერილების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2008 წლის 22 დეკემბერი, 17:00 სთ.**

დოკუმენტაცია არ მიიღება, თუ წარმოდგენილ იქნა დაგვიანებით, ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

# განცხადება საერთაშორისო მრავალწლიანი ტენდერის გამოცხადების შესახებ

**1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო** მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ N150, აცხადებს ტენდერს ჰიდრომეტეოროლოგიური სატელეკომუნიკაციო სისტემის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი.**

შესყიდვის ობიექტია:

"ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემთა და მეტეოროლოგიური პროგნოსტიკული პროდუქციის ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე შეკრება-გავრცელების, დამუშავებისა და ვიზუალიზაციის კომპლექსური სისტემა", რომელსაც უნდა ქონდეს შემდეგი შესაძლებლობები:

- მეტეოროლოგიური ინფორმაციის ავტომატური შეკრება-გავრცელება;
- მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად ინფორმაციის კოდირება-დეკოდირება;
- ინფორმაციული ბიულეტენების კომპლექტაცია;
- საერთაშორისო პროგნოსტიკული ცენტრებიდან მიღებული პროგნოსტიკული პროდუქციის ვიზუალიზაცია;
- თანამგზავრული მეტეოროლოგიური ინფორმაციის ვიზუალიზაცია

**2**. ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ სატენდერო კომისიის აპარატში **2008 წლის 24 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე**, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია შემდეგ ანგარიშზე: საქრთველოს ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექცია ა/ა N 200122900, საქართველოს ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, ს/კ 206160606

დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

**3.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, ან მისთვის სასურველ ნებისმიერ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული ქართული თარგმანის თანდართვით) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში **2008 წლის** 15 დეკემბრის 10 საათიდან 18 **საათამდე** განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**4.** პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**ფიზიკურ პირთათვის:**
- მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

